# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 15 აპრილი 1997 №42 (407) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**უემბლიმდე 15 დღე დარჩა**

# ლაპარაკობს და უჩვენებს „უემბლი“

## რუსთავი 2-ის საჩუქარი: რეპორტაჟი ლონდონიდან

„რუსთავი 2“ სენსაციით უბრუნდება საქართველოს ტელეეთერს — ამ ტელეკომპანიის თავკაცობა „უემბლიდან“ ინგლის — საქართველოს მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს გვპირდება. ამბის დაზუსტება ვთხოვეთ „რუსთავი 2“-ის დირექტორს დათო დვალს.

— ჩვენს პარტნიორებთან მოლაპარაკება უკვე დამთავრებულია, ასე რომ, შემიძლია განვაცხადო: 30 აპრილს, ღამის 12 საათზე ტელეკომპანია „რუსთავი 2“ „უემბლიდან“ გადმოსცემს ინგლის — საქართველოს მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს. ტელერეპორტაჟს კომენტატორები გაუძღვებიან, კონკრეტულად ვინ, ჯერ არ ვიცით, რადგან მათ ახლა ვარჩევთ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ისინი ძველი, ცნობილი კომენტატორები არ იქნებიან.

**— ტელეტრანსლაციის უფლება ვისგან მიიღეთ?**

— ამის თქმის უფლება არ მაქვს. ჩვენი პარტნიორი ფირმა შუამავალია ჩვენსა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას შორის.

**— ასეთი მატჩის რეპორტაჟში მცირე თანხას არ მოითხოვდნენ...**

— თანხას ვერ დავასახელებ. იმას კი გეტყვით, რომ მოხდა ბარტერული გაცვლა.

**— კერძოდ?**

— ჩვენმა პარტნიორებმა მატჩის ჩვენების სანაცვლოდ გარკვეული დროით თავისი სარეკლამო ბლოკის გაშვება მოითხოვეს, რაზეც ჩვენ დავთანხმდით.

**— საქართველოს რომელიმე ტელეკომპანიამ, ჩვეულებისამებრ, მატჩი ყოველგვარი საფასურის გარეშე რომ აჩვენოს...**

— კონფლიქტისგან თავის დასაზღვევად წინასწარ გვსურს ყველა ტელეკომპანიის ხელმძღვანელთან შეხვედრა. შეიძლება დილეტანტმა იფიქროს, რომ ჩვენ ხარჯი საერთოდ არ გვექნება, რაკი ბარტერული გაცვლა მოხდა, მაგრამ ჩვენი პარტნიორების სარეკლამო ბლოკი უფასოდ რომ გავა, ამ რეკლამებიდან ჩვენც ხომ შეგვეძლო თანხის მიღება? მოკლედ, ძალზე არასასურველი იქნება, თუ რომელიმე არხი ჩვენთან შეუთანხმებლად გადასცემს თამაშის რეპორტაჟს. და თუ ეს მაინც მოხდა, მოვიფიქრებთ, რა მოვიმოქმედოთ. უყურადღებოდ ასეთ ფაქტს ნამდვილად არ დავტოვებთ.

**— და ბოლოს: როდის გახვალთ ეთერში და რომელ დიაპაზონზე?**

— გადაცემების განახლებას 28 აპრილიდან ვაპირებთ. მეორე არხი, OPT და ჩვენი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ — აი, ასეთი თანმიმდევრობით ვართ განლაგებული მე-12 მეტრული არხის დიაპაზონზე.

**მერაბ გამულაშვილი**

**მაშ ასე, უყურეთ „რუსთავი 2“-ს და იკითხეთ „სარბიელი“!**



შაბათს ეროვნულ სტადიონზე: „დინამო“ — „მერანი“. გიორგი დემეტრაძე ზაზა ცქიფურიშვილს გაექცა, გიორგი კიკნაძემ კი ალეკო გოგიბერიშვილს დაასწრო

ზაქრო ქათამაძის ფოტოები



საქართველოს თასი ნახევარფინალი

**დინამო 2:0 მერანი**

**ოდიში 3:5 ბათუმი**

**საქართველოს ჩემპიონატი — 17 ტური**

გამოტოვებული შეხვედრები

სიონი 1:0 სამგურალი

დილა 0:0 იბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 68:15 | 53 |
| ბათუმი | 21 | 13 | 6 | 2 | 50:12 | 45 |
| კოლხეთი | 21 | 13 | 4 | 4 | 46:21 | 43 |
| მერანი | 21 | 11 | 5 | 5 | 31:20 | 38 |
| ტორპედო | 21 | 11 | 2 | 8 | 49:39 | 35 |
| ოდიში | 21 | 10 | 1 | 10 | 36:28 | 31 |
| მარგვეთი | 20 | 10 | 1 | 9 | 32:39 | 31 |
| დილა | 21 | 7 | 7 | 7 | 22:25 | 28 |
| გურია | 21 | 8 | 3 | 10 | 24:41 | 27 |
| სიონი | 21 | 7 | 4 | 10 | 16:23 | 25 |
| სამტრედია | 21 | 7 | 2 | 12 | 22:40 | 23 |
| გორდა | 21 | 6 | 2 | 13 | 28:42 | 20 |
| თსუ | 21 | 4 | 8 | 9 | 21:27 | 20 |
| სამგურალი | 21 | 5 | 4 | 11 | 19:38 | 19 |
| იბერია | 21 | 4 | 6 | 11 | 16:36 | 18 |
| კახეთი | 21 | 5 | 1 | 15 | 12:45 | 11 |

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ 2-3 გვერდზე

# შლიემას თუ გადავურჩით, რუსებს ველარ გადავურჩებით

INTERTOTO CUP

პარასკევს შვეიცარიაში გამართულ ინტერტოტოს თასის წილისყრისას გაირკვა, რომ საქართველოს გუნდი შარშანდელივით მე-12 ჯგუფში მოხვდა და ამჯერად საბერძნეთის, ავსტრიისა და რუსეთის ინტერტოტოელ მესამეებს და მალტის ერთადერთ გუნდს გაუმხანაგდა.

ოთხიდან რომელ ორს უმასპინძლებს ჩვენი გუნდი, ჯერ არ დადგენილა. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მატჩები 21-22, 28-29 ივნისს და 5-6, 12-13 და 19 ივლისს გაიმართება.

მეტოქე ქვეყნებიდან ჩემპიონატი მხოლოდ რუსეთს აქვს გასრულებული, მაგრამ რაკი თასის მფლობელს 11 ივნისამდე ვერ გამოავლენს, ჩვენების მეტოქის გარკვევა გაჭირდება. შარშანდელ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე მოსკოვის „ლოკომოტივი“ გავიდა, მაგრამ რაკი თასის ალების შანსი პირველი ექვსეულის არცერთ გუნდს დაუკარგავს, შესაძლოა, ჩვენი მეტოქეობა მის მომდევნო კალინინგრადის „ბალტიკას“ მოუწიოს.

„ლოკომოტივი“ ჩვენთვის უცნობი არ იქნება, მითუმეტეს, რომ მის რიგებში ზაზა ჯანაშია თამაშობს. რაც შეეხება რუსეთს მოწყვეტილი მიწის „ბალტიკას“, მას შეპეტოვკის „ტემპის“ ყოფილი მწვრთნელი ლეონიდ ტკაჩენკო წვრთნის. მის რიგებში კი საქართველოში დაბადებული აფხაზი ძმები ბესლან და რუსლან აჯინჯალები თამაშობენ.

ავსტრიის გუნდებიდან ჩვენს ჯგუფში მოხვედრის დიდი შანსი ვენის „აუსტრიას“ და „კაზინოს“ აქვთ. ეს „კაზინო“ ზალცბურგის კი არა, გრაცერის ყოფილი გუნდია, რომელიც 1982 წელს თბილისის „დინამომ“ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში სძლია.

ჩვენი ბერძენი მეტოქე ალბათ პირგოსის „პანილიაკოსი“ იქნება, რომელიც ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე „კავალას“ 4 ქულით ჩამორჩება და „იონიკოსს“ შვიდით უსწრებს.

მალტის ჩემპიონატში რა მდგომარეობაა, ღმერთმა უწყის. ღმერთმა ნუ ქნას, ხმელთაშუა ზღვის კუნძულიდან „შლიემა უონდერერზმა“ გვიწიოს, თორემ, ვშიშობთ, „მერანმა“ ან „ტორპედომ“ „მარგვეთის“ ბედი არ გაიზიარონ.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ლონდონში, ინგლის — საქართველოს მატჩზე წამსვლელ ჟურნალისტებს ვთხოვთ, დღეს ორის ნახევარზე მობრძანდნენ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში

დღევანდელი „სარბიელი“ თორმეტგვერდიანია და ფასიც შესაბამისი აქვს.

## ბოისა და მისი რაზმი ესტონეთში

საქართველოს 1980 და შემდგომ წლებში დაბადებულ კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ტალინს გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში სათამაშოდ. ჯგუფში ჩვენებთან ერთად არიან ესტონეთის, ჰოლანდიის, რუმინეთის, რუსეთის და ფინეთის გუნდები. ამათგან მომდევნო შესარჩევ ეტაპზე სამი გუნდი გავა. გამგზავრების წინ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა გვითხრა:

„ჩვენი კალათბურთის უმთავრესი მიზანი ევროპის საკალათბურთო ოჯახში სრულფასოვან წევრად დამკვიდრებაა. ამ მხრივ „ვითამ“ და საქართველოს ეროვნულმა გუნდმა გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. კონკრეტულად ამ შეჯიბრში წარმატება კი მოგვცემს იმის შანსს, რომ ვითამაშოთ შემდგომ შესარჩევ ტურნირში. იქ წარმატება ფინალში მონაწილეობის უფლებას მოგვცემს. მეტოქეებზე მხოლოდ ეს ვიცით: ძალზე აქებენ რუსეთის ნაკრებს. სპეციალისტების აზრით, მათ ისეთი მაღალი დონის ნაკრები ჰყავთ, როგორიც არ ჰყოლიათ მას შემდეგ, რაც ამ ასაკის სსრკ ნაკრებში საბონისი და ტიხონენკო გამოდიოდნენ“.

ჩვენი გუნდი ესტონეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: გიორგი გაგნიძე, ირაკლი ნიჟარაძე, ვანო მეჭურჭლიშვილი, ლევან კიკაბიძე, ლაშა ლოსაბერიძე, გიგი ნაცვლიშვილი, ლევან ხარებავა, გიგა გიგანი (ყველა „კაქტუსი“), ზვიად ბაბიაშვილი, თორნიკე ნინიაშვილი („დინამო“), ლევან წიკლაური და ვლადიმერ ბოისა (რუსთავის „ქიმიკოსი“). მწვრთნელები: თამაზ ოქრუაშვილი და მერაბ ცირეკიძე.

საკვალიფიკაციო ტურნირი ტალინში 21 აპრილამდე გასტანს.

# საქართველოს თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩები

## დინამო 2:0 მერანი

თბილისი. ეროვნული სტადიონი
დინამო: ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დოდავა, მაჭავარიანი, კ. გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, ყიზილაშვილი (ხომერიკი 68), ანჩაბაძე, დემეტრაძე
მერანი: დოლიძე, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, გოგიბერიშვილი, კაკუბავა, გელა ქორიძე, კვარაცხელია, მაზიაშვილი (დანელია 78), ჯიშკარიანი, გოგიტაძე, დავითაშვილი
1:0 კალაძე (81), 2:0 დემეტრაძე (87 პ)
გაფრთხილება: დოლიძე, დავითაშვილი, ანჩაბაძე
გაძევება: კაკუბავა
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**კობა ინასარიძე**



კახი გოგიჩაიშვილის ამ დარტყმას პენალტი მოჰყვა

# საჩუქარი დინამოს

მერანული ამბები ხომ იცით... ამიტომაც, მოსალოდნელი იყო, უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილი გუნდი მაინც და მაინც ვერ გამოიჩენდა თავს. მითუმეტეს, რომ „მერანს“ აკლდა გაბისონია, გოდერძიშვილი და ბაჩვა ამბიძე, რომელთაც სათასო დებულება თამაშის უფლებას არ აძლევდა. „დინამომ“ კი პირიქით, დღეისთვის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. მართალია, ფილტვების ანთების გამო არც დავით ყიფიანი ესწრებოდა ამ შეხვედრას, მაგრამ სერგო გაბელაიასგან განსხვავებით, ნოდარ აკობია უკვე საკმაოდ გამოცდილია მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესასრულებლად. მოკლედ, „დინამოს“ დიდი ანგარიშით მოგება სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ თამაში ისე წარიმართა, ადვილი შესაძლებელი გახლდათ, უგოლოდ დამთავრებულიყო. ყოველ შემთხვევაში, რომ არა გუბაზ დოლიძის უნებლიე შეცდომა, ამისი წინაპირობა ნამდვილად იყო.

მთელი მატჩი „დინამოს“ უპირატესობით მიმდინარეობდა. „მერანი“ კი კონტრშეტევების ხარჯზე ცდილობდა თამაშის გამწვავებას. პირველი სახიფათო მომენტიც ასე შეიქნა: დინამოელებმა მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგეს ბურთი, ჯიშკარიანმა კი გამოზომილი პასით ზოიძესთან თითქმის პირისპირ დატოვა კვარაცხელია, რომელიც თავად წაიქცა და ხელიდან გაუშვა რეალური შანსი. პირველ ტაიმში სულ ეს იყო, „მერანს“ მეტად აღარ შეუწუხებია არც მეკარე, არც მცველები. ლოგიკით, ასეც უნდა ყოფილიყო: მერანელებმა დაცვითი ტაქტიკა ირჩიეს. ქორიძე და გოგიტიძე დაცვის ცენტრს აკონტროლებდნენ, ფლანგებზე ამბიძე და კაკუბავა მოქმედებდნენ, ცქიფურიშვილს და ჯიშკარიანს ამათსა და ნახევარდაცვას შორის არსებული თავისუფალი ზონა ებარათ, თანაც მორიგეობით მეურვეობდნენ დინამოელთა თავდამსხმელებს. ერთი სიტყვით, „მერანის“ ექვსი ფეხბურთელი დაცვით უფრო იყო დაკავებული. ეგ კი არა, ტაიმის მიწურულს „დინამომ“ ისე შეუტია, ყველამ, დავითაშვილისა და კვარაცხელიას ჩათვლით, უკან დაიხია. მაგრამ, ხშირად ისე ქაოსურად თამაშობდნენ, დინამოელებიც კი იბნეოდნენ და შეტევას ხეირიანად ვერ ამთავრებდნენ.

შესვენების შემდეგაც აშკარა იყო დინამოელთა უპირატესობა. თამაში კი მას მერე უფრო გამწვავდა, მერანელთა კონტრშეტევებმა ცოტა ორგანიზებული სახე რომ მიიღო. კვარაცხელიას, ამბიძესა და ჯიშკარიანს ისეთი მომენტები გაუცუდდათ, სხვა მატჩებში უეჭველად გოლად რომ აქცევდნენ. თუმცა, ეტყობა, „დინამოს“ ფაქტორმაც თავისი როლი ითამაშა და კართან მიახლოება არც უცდიათ — შორიდან ურტყამდნენ. ამათ მომენტებამდე კი „დინამოს“ ჰქონდა რამდენიმე რეალური შანსი, მაგრამ, უკვე ვთქვით, მცველებისა და დოლიძის დაბნეულობა ამათზეც მოქმედებდა ხოლმე. დინამოელთა მიერ შექმნილი ყველა სახიფათო მომენტის აღწერას ალბათ აზრი არ აქვს და უმჯობესია, გოლებზე ვთქვათ: „დინამომ“ კუთხური ჩააწოდა, „მერანს“ თითქოს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, დოლიძემ კი ელემენტარული შეცდომა დაუშვა: გამოსვლისას სწორი პოზიცია კი შეარჩია და ბურთსაც დაეუფლა, მაგრამ დაშვებისას გაუვარდა, იქვე მდგომმა კალაძემ კი შეიშნოვა საჩუქარი და ანგარიშიც გახსნა. ამის მერე მერანელები გატყდნენ, სრულიად უხიფათო სიტუაციებში უხეშად ცდებოდნენ, დინამოელებს კი მეტი რა უნდოდათ: გოგიჩაიშვილს თავისუფალი დერეფანი გამოუჩნდა, საჯარიმოში „გაისეირნა“, ქორიძე მისებურად მოატყუა, დოლიძეს ორიგინალურად დაურტყა, კაკუბავამ კი მხოლოდ ხელით შეძლო კარის გადარჩენა, რისთვისაც ლაცაბიძემ მინდორიც დაატოვებინა და პენალტიც დანიშნა. სამართლიანობისთვის ესაც აღვნიშნოთ: პირველ გოლამდე გოგიბერიშვილის წაქცევა უკანასკნელი იმედის ჯარიმას წააგავდა, მაგრამ დინამოელთა ორი მცველი გაძევებას კი არა, ყვითელ ბარათსაც გადაურჩა.



ლაშა ამბიძეს ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა...

# XVII ტური

გადადებული მატჩები

## დილა 0:0 იბერია

გორი. ცენტრალური სტადიონი
დილა: ვოლკოვი, ფეხუაშვილი (ფხალაძე 36), რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარჯანიშვილი, მჭედლიშვილი, რევაზიშვილი, კაიდარაშვილი (ტაბატაძე 60), გ. გვაზავა
იბერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (თაბაგარი 89), ტყემალაძე, ზადუნელი, ზირაქაძე (კალმახელიძე 77), წიქნიძე, თორია
გაფრთხილება: აბაშიძე, ხაჭაპურიძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვანტალიანი**
გორიდან

# საფეხბურთო საცოდაობა

„დილამ“ თავის გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა. ეს ნამდვილად არ იყო ბურთაობა, უფრო წვალებას ჰგავდა, ტრიბუნებზე მსხდომნიც საათნახევრის განმავლობაში აშკარად გაიტანჯნენ. გორელები მეზობლების წინააღმდეგ იმ შემადგენლობით გამოვიდნენ, რომლითაც ამასწინათ „კახეთი“ დაამარცხეს. მაშინაც ვთქვით, „დილამ“ ვერ ითამაშაო, მაგრამ „ივერიასთან“ გუნდი მოშლილ მექანიზმს უფრო წააგავდა: გორელები კი ინდომებდნენ, მაგრამ საერთო საქმის კეთებას ყველა ცალ-ცალკე ცდილობდა, კომბინაციური თამაში ვერა და ვერ ააწყვეს. ერთი ხანობა მაყურებელი აღშფოთდა კიდეც, ემანდ, თამაში გაყიდული ხომ არ არისო. არა, ჩაწყობილ-გარიგებულისა მატჩს არაფერი ეტყობოდა. არეულობა უფრო გორელთა გუნდში არსებული უთანხმოების ბრალია. ამის დასტურად თამაშის შემდეგ მასპინძელთა გასახდელში მომხდარი შელაპარაკებაც გამოდგება. ფეხბურთელთა ნაწილი ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა. „დილა“ ადრე იმით ამაყობდა, რომ ადგილობრივი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ახლა რამდენიმე გორელი სხვა გუნდში ირჯება, მათ ნაცვლად კი ახლები მოიყვანეს. ყველამ იცის, რომ სხვა რაიონიდან ჩაყვანილს შესაბამისადაც უნდა აუნაზღაურო ნაშრომი და შეპირებული არ უნდა დაუგვიანო, თორემ ჯანყი გარდაუვალია. სწორედ ამით და სხვა ვერაფრით აგვიხსნია გორელთა იმდღევანდელი უილაჯობა.

„ივერია“ გავარდნის კანდიდატთაგანია. ამიტომაც ყველა თამაშზე ბოლომდე იხარჯება. სხვა ამბავია, რის საშუალებას აძლევს ამჟამინდელი სათამაშო დონე. სტუმრებს თავი არ დაუზოგავთ, ხისტად, თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ ქულის მოპოვების გარდა ვერაფერი გააწყვეს. ფრე წაგებას კი სჯობს, მაგამ ხაშურელთათვის დიდი ვერაფერი ხეირია. არადა, ბოლო წუთზე გამარჯვებაც შეეძლოთ: შეტევით გართულ მასპინძლებს სტუმარმა თორიამ კინაღამ გაუტანა, მაგრამ მისი სახიფათოდ დარტყმული ვოლკოვმა გაჭირვებით მოიგერია.

მანამდე სულ მასპინძლები უტევდნენ. უტევდნენ ქაოსურად და... სამი საგოლე მომენტი შექმნეს. დანარჩენი დრო გუნდებმა ერთმანეთის ფეხთა ლეწვას და უზუსტო გადაცემებს დაუთმეს. ორივე კლუბის მწვრთნელებმა შეცვლებსაც მიმართეს. სოსო ვაშაკიძის გამოყვანილებმა თამაშს სიმწვავე ვერ შემატეს, მალხაზ ლაცაბიძემ კი პირიქით — ცვლილებები იმიტომ გამოიყენა, რომ ისედაც ნელი ტემპი მთლად გაენელებინა, თამაში დაეწყნარებინა და ხაშურელთა იმ დღეს შეუვალი დაცვის ხაზი კიდევ უფრო გაემაგრებინა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნულოვანი ფრე ასეთი მატჩისთვის ზედგამოჭრილი იყო.

## სიონი 1:0 სამგურალი

ბოლნისი. სტადიონი „თემურ სტეფანია“
სიონი: ჩლაიძე, გ. ზომახიძე, ყველაშვილი, ყიფშიძე (მეფარიშვილი 46), შაკიაშვილი, მ. სამხარაძე (ც. სამხარაძე 89), ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, გოგოლაძე (ა. ქანტურია 86), ჯაგიდისი, მოსეშვილი
სამგურალი: ქვაჩახია, ლ. ქობულაძე, ბ. ჯანელიძე, გელაშვილი (მანაგაძე 46), გოგელიძე, ძაგნიძე, ვაშაკიძე, გოჩა კვარაცხელია (უშვერიძე 66), დ. ჯანელიძე, ფესტვენიძე (ხურცილავა 46), ჯანაშია
1:0 ჯაგიდისი (41)
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

**ვახტანგ ზზიკაძე ბოლნისიდან**

# შენ ჯო არ გააბრაზო!

ბევრმა როდი იცის დუნიაზე, რომ სადღაც, დიდი რუსეთის სამხრეთით, გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს სივრცეში არსებობს პატარა ქვეყანა — საქართველო. არც ის იციან, რომ ამ ქვეყნის სამხრეთით ერთი პატარა ქალაქი ბოლნისია. არც ის, რომ ამ ქალაქს თემურ სტეფანიას სახელობის პატარა სტადიონი აქვს, რომლის ფირნიშზე დამარცვლით წერია „აქ თამაშობს სი-ო-ნი“... აბა, ის ვილას ეცოდინება, რომ დღეს „სიონი“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში დასარჩენად იბრძვის. იბრძვის და წვალობს. წვალობს, რათა მსაჯების გასასტუმრებელი ფული თამაშამდე ნახევარი საათით ადრე ჯიბურ-ჯიბურ მოაგროვოს...

ბოლნისის თვალი დიდი ჯოა — „სიონის“ თავდამსხმელი ჯონი ჯაგიდისი, რომელსაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე ჩემპიონატის სამ ჯგუფში ასორმოცდაათამდე გოლი გაუტანია და „სიონი“ ჯერ მესამიდან მეორეში, მერე კი პირველ ჯგუფშიც გადმოუყვანია.

დიდი რატომაა ჯონი? ასე მიაჩნიათ „სიონის“ გულშემატკივრებს და... ასეცაა, რადგან წელსაც მისი იმედი აქვთ, გუნდს პირველ ჯგუფში დაგვიტოვებსო. იმედი აქვთ მათ, ვინაც შაბათს საქომაგო რეპლიკათა მთელი არსენალი დახარჯეს. დახარჯეს კი არა და... ბოლნისში მყოფს თავი სადმე ინგლისურ ან ჰოლანდიურ დაბაში მეგონა. „სიონის“ ქომაგთა შეძახილები არ იყო ქაოსური ღრიანცელი — სამასი კაცის ხმაშეწყობილი ყიჟინა გახლდათ. იმ სამასი კაცისა, რომელთაც თავისი ლოტბარი ჰყავდათ, როგორც ტრიბუნაზე, ისე — მინდორზე. „სიონის“ გულშემატკივართა გასახარად, „სიონი“, ჰე! ჰე-ს ტაშს რომ უწყობდნენ, მათმა ფალავანმა „სამგურალზე“ ოდნავ მეტი გააკეთა. ეს მეტი კი ის ერთადერთი გოლი იყო, ჯონი ჯაგიდისმა პირველი ტაიმის მიწურულს რომ გაიტანა. გაიტანა და ხელაწეული ქომაგებს მიესალმა, ისე, როგორც უცხოეთში იციან. რა იყო მანამდე, სანამ ჯაგიდისი ერთადერთხელ შეარხევდა კარის ბადეს? რა და, „სამგურალის“ შორეული (მთელი თამაშის მანძილზე საჯარიმოს შიგნიდან არ დაურტყამთ) გასროლები, რომელთაც ჩლაიძე ან იღებდა, ანაც კუთხურზე იგერიებდა. ამათი საპასუხო „სიონის“ შეტევებიც საკმაოდ იყო, კუთხურისას შაკიაშვილის მიერ თავით აცილებული დარტყმებიც და ქვაჩახიას საკბილო მოსეშვილ-გოგოლაძის შეტევებიც. სულ ეს იყო. არა, იყო ბრძოლაც მინდვრის ცენტრში, რომელიც აქეთ-იქიდან ტარტარაშვილისა და გივი ჯანელიძის გლადიატორული ჟინით იყო გაჯერებული. ამის მიუხედავად, შეხვედრის არბიტრ ხანიაშვილს ყვითელი ბარათის ჯიბიდან ამოღება არ დასჭირვებია, განსხვავებით იმ უბის წიგნაკისგან, რომელშიც ექვსივე შეცვლა უნდა ჩაეწერა. ჰო, შეცვლები... შეცვლები, რომელთაც თამაშის შინაარსი ვერაფრით შეცვალეს. და იყო სიხარულის... სიჩუმე ბოლნისის სტადიონზე, სიჩუმე, რადგან არავინ იცოდა, ვინ გაისტუმრებდა „ხვალამდე“ მახლობელ ჯიბურებს და სულაც გამარჯვებულ „სიონს“.

## ოდიში 3:5 ბათუმი

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი
ოდიში: აბუსერიძე, კუტალია, გუჩუა, ქედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, გაბედავა, წიტაიშვილი, ფანცულაია, კალანდაძე
ბათუმი: ტოგონიძე (გვარამაძე 67), ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
0:1 სიჭინავა (6), 1:1 ფანცულაია (31 პ), 1:2 თორლაშვილი (37), 1:3 ღლონტი (51), 2:3 ფანცულაია (56 პ), 2:4 უჯმაჯურიძე (60), 3:4 გაბედავა (87), 3:5 უჯმაჯურიძე (90 პ)
გაფრთხილება: ბარქაია
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**მირაბ მამულაშვილი**
ზუგდიდიდან

# ხურცილავამ ძალიან მოიწყინა

„ბათუმი“ „ოდიშისთვის“ უხერხული მეტოქეა. ზუგდიდელებს ბათუმელთათვის 1991 წლის შემდეგ არ მოუგიათ და, ბუნებრივია, ნავსის გატეხვა სურდათ, მით უფრო, რომ ევროტურნირებზე მოხვედრის ერთადერთ იმედად თასზე წარმატებული თამაშიღა რჩებოდათ.

...ზუგდიდს წინა დღეებში მობრუნებული სუსხის ნატამალიც არ ეტყობოდა — დარი ისეთი იყო, სათამაშო რომ ეთქმოდა. თამაშამდე ერთი საათით ადრე მაყურებლებმა ტრიბუნების შევსება იწყეს, რაც მთავარია, „მწყობრში“ იყო მეხუთე სექტორი, საიდანაც თამაშისას არაერთხელ დასჭექს „ოდიშის“ გასამხნევებელი შეძახილები, მაგრამ, მოგეხსენებათ, სასურველი შედეგის მიღწევა მოთამაშეთა საქმეა, ამის უნარი კი იმ დღეს მასპინძლებს არ აღმოაჩნდათ.

მურთაზ ხურცილავა, რომელიც ძლიერ განიცდის, რომ მისთვის სასურველ თამაშს გუნდისგან ვერ ელირსა, მატჩის შემდეგ ბედს შეგუებულს ჰგავდა — დღეს მეტად ძნელია „ბათუმის“ დამარცხება, ჩვენზე მაღალი კლასის გუნდიაო. ეს თამაშმაც დაადასტურა. ვერ იტყოდი, მასპინძლებმა გამარჯვებისთვის ბოლომდე არ იბრძოლესო. პირიქით, არც თავი დაუზოგავთ და ბევრიც იმოძრავეს, მაგრამ გაღებული ენერგია ორგანიზებულად ვერ წარმართეს, რის გამოც სურვილი შედეგში ვერ ასახეს. ბათუმელთა კლასი კი სწორედ უკეთესი შეთამაშებისა და ორგანიზაციის შედეგია — ისინი ზედმეტი მოძრაობებისა და ენერგიის ხარჯვის გარეშე სწრაფად გადადიოდნენ მასპინძელთა ნახევარზე, გამარჯვებას მოწყურებულ მასპინძელთა დაცვაშიც ხშირად პოულობდნენ თავისუფალ ზონებს და ხშირადაც ახერხებდნენ ხიფათის შექმნას.

შეხვედრის სიუჟეტი ელვისებურად დაიძაბა — მეხუთე წუთზევე სიჭინავას შორიდან, დაახლოებით 25 მეტრიდან, ყუმბარისებურმა გასროლამ აბუსერიძე პირველად დააყენა უსიამოვნო ფაქტის წინაშე — ბურთი ცხრიანში ჩაეშვა. სათავისო ანგარიშმა სტუმრები შეაგულიანა და შორიდან თუ ახლოდან ხშირად ამოწმებდნენ „ოდიშის“ მეკარის სიფხიზლეს. მუჯირს, ტულუშსა და შეყილაძეს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლომდე ვერ იმარჯვეს.

ამასობაში გაშვებული გოლით გულდაწყვეტილი ზუგდიდელი ქომაგები გამოფხიზლდნენ და თავისიანები ისე გაამხნევეს, რომ ნელ-ნელა გამოაცოცხლეს კიდეც და უფრო თამამად შეუტიეს „ბათუმს“. განსაკუთრებით ახვლედიანი და გაბედავა აქტიურობდნენ. ორჯერ წიტაიშვილმა და კალანდაძემ გაამწვავეს ვითარება, თუმცა გოლი ვერ გაიტანეს. 31-ე წუთზე მაინც მოახერხეს გათანაბრება — ახვლედიანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფანცულაიამ გამოიყენა. ბუნებრივია, გოლმა და, რაც მთავარია, თამაშის სათავისოდ შემობრუნებამ მასპინძლებს იმედი დაუბრუნა, მაგრამ... საჯარიმოსთან ახლოს მყოფი თორლაშვილის დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა, მიმართულება იცვალა და საპირისპირო მხარეს გადამხტარი აბუსერიძე სახტად დატოვა. ამის შემდეგ თამაშის ტემპს ბათუმელები აკონტროლებდნენ. 51-ე წუთზე ღლონტმა ჩინებული დარტყმით კვლავ სოლიდური სახე მისცა ანგარიშს. მართალია, მალე ფანცულაიამ მეორე პენალტიც გამოიყენა (ბათუმელები აღშფოთდნენ და მალაღურაძეს უსამართლობა დააბრალეს — ივანე მახარაძემ ახვლედიანს ბურთი სუფთად აართვაო), მაგრამ სტუმართა უპირატესობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ბათუმელებს ერთადერთხელ მაშინ შეუქანდათ გული, როდესაც 3:4-ზე ჯერ გაბედავას და მერე ფანცულაიას გაყაიმების ურეალურესი შანსი მიეცათ, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა „კოშკამ“ თავისი მეტსახელი გაამართლა და ორი უძნელესი დარტყმა მოიგერია. ბოლო წუთზე კი უჯმაჯურიძემ თავისი საპენალტო ნავსი გატეხა და თამაშსაც საბოლოო წერტილი დაუსვა და ოდიშელთა საევროპო იმედებსაც ხაზი გადაუსვა.

## ქართველები დაასვენეს

სარიერში „ტრაბზონი“ შოთას წაქცევისთვის დანიშნული პენალტის გატანის შემდეგ 1:0-ს იგებდა, მაგრამ ამის მერე „ტრაბზონის“ თავკაც იალმაზს (რომელიც „ტრაბზონში“ სწორედ „სარიერიდან“ გადავიდა) შოთაც გამოუცვლია და ნემსაძეც, „სარიერს“ კი უპირატესობა მოუპოვებია და გოლი გაუქვითავს — 1:1 ასე დამთავრდა ეს მატჩი. იალმაზს უთქვამს, 16 აპრილს ქოჯაელიში თასის საპასუხო მატჩის მოსაგებად ვემზადები და ქართველები იმიტომ დავასვენეო...

## იაშკას ბესტსელერი

მეორე წრის მერვე ტურში იაშვილის „ლიუბეკმა“ მესამე ადგილზე მყოფ „ვოლფსბურგთან“ შინ 0:0 ითამაშა. იაშკას სამი საგოლე მომენტი თავად შეუქმნია, ერთხელ ძელისთვისაც გაურტყამს ბურთი, მაგრამ გოლი ვერ შეუგდია. ახლა „ლიუბეკმა“ რვა ტურში იმდენი ქულა დააგროვა, რამდენიც პირველი წრის 17 მატჩში. შვიდი ტურია, „ლიუბეკმა“ წაგება არ იცის, რასაც სწორედ იაშვილის აქტიური თამაშით ხსნიან: წინ ორი კაცის საქმეს აკეთებს და „ლიუბეკის“ დაცვასა და შუა ხაზსაც დიდად ეშველებაო. იაშკას №26 მაისური კი უკვე „ბესტსელერად“ იქცა — 100 გერმანული მარკის ღირებულების მიუხედავად „ლიუბეკის“ ფანებმა პირველი პარტია უცებ შეისყიდეს. მომდევნო თამაში იაშკას 20 აპრილს ელის ბერლინის „ჰერტასთან“. „კარლ ცაისს“ ვერ შეუგდო და იქნება „ჰერტასთან“ გოლის გატანით ამოიღოს ქართველ გულშემატკივართა 20 წლიანი ბოღმა, იაშკა ხომ მაშინ დაიბადა, ჩვენებმა რომ „ჰერტასთან“ 0:2 წააგეს...

## მამის-ო(ი)ნმა სამტრედიას მიბაძა

მას შემდეგ, რაც „მერანი“ — „სამტრედიის“ მატჩში მომხდარი დარღვევა გამოაშკარავდა, ერთმა ცულლუტობამაც იჩინა თავი. ამჯერად მეორე ჯგუფის ერთ-ერთმა გუნდმა მისცა თავს თამამი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

წინა „სარბიელში“ მეორეჯგუფელთა ბოლო ტურის ანგარიშები რომ გაუწყეთ, შენიშნავდით, „მამისონი“ — „მაღაროელის“ გასწვრივ შედეგი არ გვეწერა. ამ თამაშზე ფედერაციის პრესცენტრმა გვითხრა, შედეგი გაუქმებულია და მას სადისციპლინო კომიტეტი განიხილავსო. არადა, რა შედეგი გაუქმდა, ეს აღარ უთქვამთ და ჩვენც სხვათაგან შევიტყვეთ ონში გამართული მატჩის პერიპეტიები. რა მოხდა ონში? ეტყობა, ონელები იმან გაათამამა, რომ „მერანი“ — „სამტრედიის“ შემდეგ სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჯერაც არ გამართულა. შესაბამისად, არც არავინ დასჯილა. დაუსჯელობის პრეცედენტი კი რაჭველებისთვის ცუდი მაგალითი გამოდგა და „მაღაროელთან“ მატჩში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები სხვისი გვარით ათამაშეს. მატჩი ფრედ — 1:1 მორჩა, რამაც ჭიათურელებს სატურნირო მდგომარეობა გაუუარესა. ბედის ირონიით, მატჩის კომისარი ჭიათურელთა მდევრისა და ისტორიული მეტოქის ქალაქიდან ყოფილა — ტყიბულის „მეშახტის“ ყოფილი მწვრთნელი ბიძინა თოდიძე, მაგრამ სიმართლე ვერ დაიმალა.

ფედერაცია 17 აპრილს აპირებს ორივე საქმის ერთად გარჩევას და, ონელებზე ვერას გეტყვით, მაგრამ, როგორც ამბობენ, „სამტრედიის“ მწვრთნელებს ბადრი ქორიძესა და დავით გენძეხაძეს ან სულ ჩამოაშორებენ ფეხბურთს, ანაც პირობით დისკვალიფიკაციას აკმარებენ.

## მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

XXV ტურის გადადებული შეხვედრები

შირაქი — ლოკომოტივი 0:0, მესხეთი — სამგორი 3:0 (სამგორი არ გამოცხადდა), ცხინვალი — აკადემია 0:0, კოდაკო — იბერია 2:2, თსუ 2 — ავაზა 3:0 (ავაზა არ გამოცხადდა), ჭაბუკიანი — ყინწი 3:0, თორი — ასკ 4:0, დურუჯი — 35 სტუ 2:0, მორკინალი — დინამო 2 2:0, მრეტები — არმაზი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი | 27 | 22 | 4 | 1 | 68:8 | 70 |
| ლოკომოტივი | 27 | 21 | 6 | 0 | 59:7 | 69 |
| ასკ | 27 | 19 | 1 | 7 | 57:33 | 58 |
| ცხინვალი | 26 | 18 | 1 | 7 | 50:25 | 55 |
| დინამო 2 | 27 | 16 | 5 | 6 | 79:21 | 53 |
| აკადემია | 27 | 14 | 7 | 6 | 60:25 | 49 |
| არმაზი | 27 | 15 | 2 | 10 | 63:44 | 47 |
| კოდაკო | 27 | 13 | 6 | 8 | 39:31 | 45 |
| შირაქი | 27 | 11 | 10 | 6 | 36:30 | 43 |
| იბერია | 27 | 13 | 2 | 12 | 38:36 | 41 |
| თორი | 27 | 12 | 4 | 11 | 31:43 | 40 |
| თსუ 2 | 26 | 10 | 1 | 15 | 31:51 | 31 |
| 35 სტუ | 27 | 7 | 8 | 12 | 39:45 | 29 |
| მრეტები | 27 | 6 | 7 | 14 | 30:45 | 25 |
| მესხეთი | 27 | 6 | 3 | 18 | 33:65 | 21 |
| სამგორი | 27 | 7 | 4 | 16 | 32:60 | 20 |
| დურუჯი | 27 | 4 | 5 | 18 | 17:68 | 17 |
| ყინწი | 27 | 6 | 3 | 18 | 34:87 | 16 |
| ჭაბუკიანი | 27 | 3 | 6 | 18 | 21:48 | 15 |
| ავაზა | 27 | 2 | 3 | 22 | 22:67 | 9 |

„ავაზა“ გათამაშებიდან მოიხსნა, მაგრამ რადგან მატჩების 50 პროცენტზე მეტი ითამაშა, ცხრილში მისი შედეგები დარჩა.

# საქართველო პატარებით იწყებს



## რევაზ გაგუა: მე ჩემი ბიჭების იმედი მაქვს!

რეზო გაგუა ერთადერთი მწვრთნელია, ვინც ჩვენი ნაკრები საკვალიფიკაციო ქვეჯგუფს გაცილა. ეს ის შემთხვევაა, როცა სამართალი არ დაიმშია — მწვრთნელმა მოიმკო ის, რაც უთესია. გაგუას ბავშვებში სიყვარულის მეტი არაფერი დაუთესია და აკი გაუმართლა კიდევაც. დასტურად დევაძის, გუჯაბიძის, ნემსაძის, ყიზილაშვილის, კიურჯევის და სხვა მრავალთა აღზრდა და გზაზე დაყენებაც კმარა, ჰოდა, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ქართველ მწვრთნელთაგან პირველს სწორედ მას მიჰყავს. მოსაგებად? რატომაც არა...

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 16 აპრილს გაემგზავრება გერმანიას და ათდღიან შეკრებას გაივლის ჰამბურგის მახლობლად. ჩვენები 26 აპრილის შვერინში ჩავლენ, 28 აპრილს კი ქალაქ პოლზში უნგრელ თანატოლებთან მატჩით ჯგუფურ ტურნირში ჩაებმებიან. ღმერთმა ქნას, ქართველები ფინალის დღემდე, 10 მაისამდე შერჩნენ ჩემპიონატს — მაისში გერმანიაში ფინალის თამაში ხომ კარგად გვაქვს დაცდილი...

— ნაკრები შარშან, ზუსტად 2 აპრილს ჩავიბარე, მოვაწყვეთ რამდენიმე შეკრება და 30-მდე მატჩიც ვითამაშეთ. სულ 80 ბავშვი გამოვცადე და ბოლოს ამ თექვსმეტზე შევჩერდი. ბოლო შეკრება ორიოდე დღის წინ დავასრულეთ ყვავილნარში, სადაც საკმაოდ კარგ პირობებში ვცხოვრობდით და სამი საკონტროლო მატჩიც ვითამაშეთ: სენაკის „ეგრისთან“ 2:1 (აფხაზავა, ბურდული), ოდიში 2-თან 2:1 (შენგელია, რომანაძე) და კოლხეთი 2-თან 0:1. ამ შეკრებაზე არ გვყავდა ლაშა ჯაკობია, რომელიც ბელგიიდან ორიოდე დღის წინ ჩამოვიდა.

**— თბილისში თუ ითამაშეთ საკონტროლო მატჩები?**

— არა, აღარ მინდა გავრისკო, ტრავმებს ვერიდები, ვარჯიშით კი უკვე სამჯერ ვივარჯიშეთ და ბიჭების მომზადებით კმაყოფილი ვარ.

**— ამ ასაკის ლეგიონერი ჩვენთვის ჯერ უცხო ხილია, ამიტომ ლაშა ჯაკობიაზე გვითხარით ორიოდე სიტყვა...**

— ლაშამ შესარჩევ ეტაპზე ჩინებულად ითამაშა, საბერძნეთთან და ბელგიელებთან ოთხი გოლი შეაგდო. ბელგიელებსაც ძალიან მოეწონათ მისი ოსტატური თამაში და „სტანდარდში“ წაიყვანეს. აქ ახლა ჯერ მესამედ ივარჯიშა და ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ კიდევ უფრო მოუმატებია. ლაშაზე დიდ იმედებს ვამყარებ.

**— ჩვენს ქვეჯგუფში ბელგიელებიც არიან, ალბათ ლაშა ზუსტად მოგაწვდიდათ ინფორმაციას.**

— მეტოქეებზე პრაქტიკულად არაფერი ვიცოდით, ლაშამ კი გვითხრა, რომ ბელგიელებს ამასწინათ იტალიელებისთვის 1:0 მოუგიათ, უნგრეთმა კი დაამარცხა პორტუგალია, რომელიც ზედიზედ ორჯერ იყო ამ ასაკში ევროპის ჩემპიონი. ძალზე ძლიერი გუნდი ჰყოლიათ სლოვენებს, რომლებიც თურმე ყველა ტურნირს იგებენ...

**— ბიჭებს ახლა გარდატეხის წლები უდგათ. ალბათ, ფსიქოლოგიურადაც მუშაობთ მათთან.**

— რა თქმა უნდა — ამ ასაკში ფსიქოლოგიური მომზადება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ვინ ელოდა წინა ჩემპიონატში თურქთა გამარჯვებას? მე ჩემი ბიჭების იმედი მაქვს, საბერძნეთში შესარჩევ ჯგუფში წარმატებამ ფსიქოლოგიურად გაამაგრა ისინი.

**— ამ ასაკის მოთამაშეები თავიანთ კლუბების ძირითადში ჯერ ვერ იქნებიან. მათი უთამაშებლობა პრობლემას არ გიქმნით?**

— ცხადია, ასეა. ფაქტობრივად, მხოლოდ ბათუმელები თამაშობენ რეგულარულად მეორე ჯგუფში, ჯაკობიას ამ მხრივ ყველაზე უკეთ აქვს საქმე, დანარჩენი კი ტურნირებზე თუ იმაღლებენ ოსტატობას...

**— ნაკრებში არცერთი ქუთაისელი არაა...**

— შვიდი მოთამაშე გამოვცადე ქუთაისიდან, მაგრამ ვერცერთმა დამაკმაყოფილა, რამაც ძალიან მატკინა გული. გავსინჯე აგრეთვე სამტრედიელი, ფოთელი, გურჯაანელი, ზესტაფონელი ბავშვები, მაგრამ ვინც მყავს, ესენი ვარჩიე...

**— ევროპის ჩემპიონატის მერე ამ ბიჭებს რა ბედი ელით?**

— ნოდარ ახალკაცის მითითებით, გუნდი არ უნდა დაიშალოს და ერთი წლის მერე ისინი ავტომატურად აღმოჩნდებიან 18-წლამდელთა ნაკრებში. მე კი ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებისთანავე 1981 წელს დაბადებულთა ნაკრებს ჩავიბარებ.

**— გავიგე, საბერძნეთში თქვენი წარმატება ბევრს გულზე მწარედ მოხვედრია. რამენაირ უყურადღებობას ხომ არ გრძნობთ?**

— მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ისე, ნოდარ ახალკაცი ერთადერთია ფედერაციაში, ვინც მხარში გვიდგას. ნებისმიერ ჩვენს წინადადებას უმალ მხარს უჭერს. მაგრამ რას იზამ, ასე ყოფილა საქართველოში — თურმე შეიძლება, შენი წარმატება ბევრს არ გაუხარდეს.

**— ჩემპიონატის მოგების იმედი გაქვთ?**

— თუ მივდივართ, მოგებაზეც უნდა ვიფიქროთ. ნუ დავაკონკრეტებთ, რომელი ადგილია ჩვენთვის უპრიანი ამ ჩემპიონატზე. ფაქტი ისაა, რომ საქართველოს ნაკრებს პირველად მიეცა შანსი გახდეს ევროპის ჩემპიონი. ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავიღებთ, შემადგენლობაც ოპტიმალური გვყავს. თუ ფსიქოლოგიურმა მომზადებამ არ დაგვალალატა, ეს ბიჭები თავის სათქმელს იტყვიან...

## გიორგი ლოლაძე: შიში საბერძნეთში დავტოვეთ

...ნაკრების კაპიტანი გიორგი ლოლაძე მეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი:

— რაც მთავარია, შიშის ფაქტორი გადავლახეთ, საბერძნეთში მასპინძლებს არაფერი დავუთმეთ. კარგი, შეკრებული გუნდი გვყავს, ეგაა, მეტოქეებზე არანაირი ინფორმაცია არა გვაქვს, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ყველა ჩვენგანმა იცის — არის შანსი, გავხდეთ ევროპის ჩემპიონები!

### საქართველოს ნაკრები

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| გიორგი სომხიშვილი | დურუჯი | 1980 |
| გიორგი კალანდია | ლაზიკა (ზუგდიდი) | 1980 |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ლოლაძე | ნორჩი დინამოელი | 1980 |
| ლადო კაკაშვილი | ნორჩი დინამოელი | 1980 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ნორჩი დინამოელი | 1981 |
| ედუარდ საჯაია | ნორჩი დინამოელი | 1981 |
| ჯაბა სიამაშვილი | ბათუმი 2 | 1980 |
| პაატა ჩახუნაშვილი | ბათუმი 2 | 1980 |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| ოლეგ გველესიანი | ნორჩი დინამოელი | 1980 |
| ლადო ბურდული | ნორჩი დინამოელი | 1980 |
| გიორგი დეკანოსიძე | ნორჩი დინამოელი | 1981 |
| მიხეილ სოსელია | ავაზა | 1981 |
| არჩილ რომანაძე | ბათუმი 2 | 1980 |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| შალვა აფხაზავა | ბათუმი 2 | 1980 |
| ირაკლი შენგელია | 35-ე სკოლა | 1981 |
| ლაშა ჯაკობია | სტანდარდი (ბელგია) | 1980 |

მთავარი მწვრთნელი: რევაზ გაგუა
მწვრთნელი: ოთარ რუხაძე
ექიმი: თემურ თურმანიძე
მასაჟისტი: ლევან ხოჭოლავა

### C ჯგუფის განრიგი

**28 აპრილი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი — საქართველო | პოლზი |
| ბელგია — იტალია | შიონბერგი |

**30 აპრილი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი — ბელგია | შვერინი |
| საქართველო — იტალია | ლიუბტეენი |

**2 მაისი**

| | |
|---|---|
| იტალია — უნგრეთი | ნოიშტადტი |
| საქართველო — ბელგია | ნოიკიოლსტერი |

**მეოთხედფინალი, 5 მაისი**

| | |
|---|---|
| ა. A 1 — C 2 | ჰილდესჰაიმი |
| ბ. C 1 — A 2 | ნინბურგი |
| გ. B 1 — D 2 | ბიუკებურგი |
| დ. D 1 — B 2 | ლებირტე |

**ნახევარფინალი, 7 მაისი**

| | |
|---|---|
| ა — გ | ბრაუნშვაიგი |
| ბ — დ | მინდენი |
| III ადგილისთვის, 9 მაისი | გარბსენი |
| ფინალი, 10 მაისი | ჰალე |

## ლაშა ჯაკობია: რატომ არ უნდა გავხდეთ ევროპის ჩემპიონები?!

...ლაშა ჯაკობიას მამა — გია გულშემატკივრებში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. თავის დროზე ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოდიოდა. მამის კვალზე წასული ლაშა ახლა გოლებს იმ „სტანდარდის“ მაისურით იტანს, ჩვენს „დინამოს“ 1982 წელს თასების თასის ფინალისკენ რომ გადაუღობა გზა. ახლა მწვრთნელს არ იკითხავთ? „სტანდარდს“ ჟოზ დაარდენი წვრთნის, ის წოწოლა თავდამსხმელი, თბილისშიც რომ გაგვიტანა და ლიეჟშიც...

— დაარდენი დიდი ვერაფერი მწვრთნელი გამოვიდა. სანამ გუნდში მოვიდოდა, „სტანდარდი“ ლიდერობდა, ახლა კი მეხუთე ადგილზეა და, ფაქტობრივად, ჩემპიონობის შანსიც დაკარგა. სხვათა შორის, „სტანდარდის“ ტექნიკური დირექტორი ის ტაჰამატაა, „დინამო“ რომ გვარიანად უწვალებია...

**— თხუთმეტი წლის წინანდელი ამბავი თუ ახსოვს იქ ვინმეს?**

— მხოლოდ დაარდენს და ტაჰამატას, იმ შემადგენლობიდან კლუბში მეტი აღარავინ დარჩა. მალე დაარდენსაც გაუშვებენ, ახალი სეზონიდან ჰოლანდიელი აად დე მოსი მოჰყავთ „სტანდარდში“.

**— ახლა შენი ამბები გვითხარი. როგორ აღმოჩნდი ბელგიაში?**

— შესარჩევი ტურის ორ მატჩში ოთხი გოლი გავიტანე, ძალზე ლამაზი და თან გადამწყვეტი გოლები, ჰოდა, საბერძნეთში ბელგიის მენეჯერს მოვეწონებივარ. თბილისში ჩამოსვლისთანავე მოწვევა ჩამომივიდა...

**— „სტანდარდის“ რომელ გუნდში ხარ?**

— ჯერ 16-წლიანებში ვთამაშობდი, მერე 18-წლიანთა გუნდმა ერთ-ერთ ტურნირზე წამიყვანა, სადაც „აიაქსის“, „ინტერის“, აშშ-ის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების 18-წლიანები გამოდიოდნენ. ამერიკის ნაკრებს ერთადერთი გოლი გავუტანე და მას მერე ორი წლით უფროსებში მათამაშებენ. ამ ბოლო ხანს კი „სტანდარლის“ დუბლებში ვთამაშობ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში რომ ყოფილა დუბლების ჩემპიონატი, ისეთი პირველობაა ბელგიაშიც, ჰოდა, მეც „სტარდარდის“ მატჩის წინა დღეს დუბლებში ვთამაშობ-ხოლმე. ახლა დუბლების ჩემპიონატში მეორე ადგილზე ვართ.

**— გოლებს თუ გაგაქვს?**

— ოთხ თვეში 22 გოლი გავიტანე.

**— კიდევ რა ხანს დარჩები ბელგიაში?**

— კონტრაქტი სამწლიანი მაქვს, ყველა სიკეთესთან ერთად ფრანგულიც შემომესწავლა. თვრამეტი წლისა ბელგიაში გავხდები, მერე ვნახოთ...

**— ახლა რა გუნდია „სტარდარდი“?**

— როცა იგებდა, სტადიონი სავსე იყო — 35 ათასი კაცი ესწრებოდა ყველა თამაშს, რაც წაიფორხილა, მაყურებელიც შემოაკლდა. საშუალო ევროპული დონის გუნდია. ჩვენს თამაშს, დუბლებს ვგულისხმობ, ათასი, ორი ათასი კაცი მუდამ ესწრება. 18 წლის ბრაზილიელიც გვყავს — ფრანს ლეოდი დოს სანტოს სილვა, ნიგერიელი სანდი ოლისეს ძმაც ჩამოიყვანეს დუბლებში გასასინჯად.



**— ევროპის ჩემპიონატის ქვეჯგუფში მესამე მატჩს ბელგიელებთან ითამაშებთ. შენი თანაგუნდელი თუ თამაშობს ვინმე?**

— ორი ბიჭია ნაკრებში, აქედან ერთი ტანმაღალი თავდამსხმელი ძალზე სახიფათოა...

**— ჩვენი და იქაური ბავშვთა ფეხბურთი დიდად განსხვავდება?**

— ისინი შრომისუნარიანობით გვჯობნიან, თანაც ფანტასტიკურ პირობებში იზრდებიან. სხვათა შორის, ტექნიკური ბიჭებიც ჰყავთ, ზოგი ისე ოსტატურად თამაშობს, ქინქლაძესაც კი შემიძლია შევადარო. კარგი პირობების გამო მაქსიმალურად ავლენენ შესაძლებლობებს. ჩვენთან კი ყველა ტექნიკურია, მაგრამ პირობები არაა. ცხელ წყალზე და სპეციალურ კვებაზე რომ არაფერი ვთქვა, ჩვენს ასაკში მხოლოდ ტურნირის იმედზე არიან, უთამაშებლობა კი არაფრისდიდებით არ შეიძლება...

**— ევროპის ჩემპიონატს იმედით უყურებ?**

— რატომაც არა, საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს, შანსი გვაქვს და რატომ არ უნდა გავხდეთ ევროპის ჩემპიონები?!

# ადამიანი XXI საუკუნიდან

## როგორ ხარშავდა ჯეინ ფონდა ყულიშკარში ღომს

მოსკოვში, ესენგეს თასის გათამაშებაზე, ანზორ კიკალიშვილი გვერდიდან არ მოსცილებია „დინამოს“. მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრებისას თბილისშიც კი ჩამოჰყვა. მისმა ახლანდელმა სტუმრობამაც თითქმის ორი კვირა გასტანა. ბატონი ანზორი დაესწრო საქართველო — სომხეთის, „ოდიში“ — „დინამოს“ და „ბათუმი“ — „დინამოს“ მატჩებს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან, როგორც დავით ყიფიანმა გვაცნობა, ანზორ კიკალიშვილი თბილისის „დინამოს“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ე.წ. „მზრუნველთა საბჭოს“ ხელმძღვანელი ყოფილა. ბატონი ანზორი მეტად ენაწყლიანი მოსაუბრეა და, რაც ყველაზე სასიამოვნოა, ხანდახან ისეთ სალაღობო ამბებს იხსენებს, მხოლოდ ქართველს რომ შეიძლება გადახდეს. დიახ, ქართული ენის არცოდნის მიუხედავად, ბატონი ანზორი საგანგებოდ უსვამს ხაზს თავის ქართველობას — ბათუმში დავიბადე და ქუთაისში გაიარა ჩემმა ბავშვობამ. როგორც სამხედრო მოსამსახურის ვაჟი, რუსულ სკოლაში მიმაბარეს. ამასწინათ ზუგდიდში რომ ვიყავი, „დინამოს“ მატჩზე, ქუთაისში გავიარეთ და მატჩის წინადღეს იქ გავჩერდით. დათო ყიფიანს ვთხოვე, ჩემი სკოლა მაჩვენე-მეთქი. სახლიდან სკოლამდე გზა კი გავიხსენე, მაგრამ ჩემი მე-10 საშუალო სკოლა ველარ ვნახეთ. ბოლოს ერთმა დედაბერმა მითხრა, ეგ სკოლა რახანია დაანგრიესო. გული დამწყდა და დავიფიცე, თუ კაცი ვარ, ამ სკოლას აღვადგენ-მეთქი...

წარმოშობით კი სოფელ ყულიშკარიდან ვართ, ზუგდიდიდან ათიოდ კილომეტრში რომაა. იქ დღესაც ცხოვრობენ ბიძაჩემი და ჩემი ნათესავები. სხვათა შორის, ყულიშკარში ჯეინ ფონდას ღომი მოუხარშავს. ეს ამბავი ასე იყო:

...მოსკოვში პასუხსაგებ კომკავშირულ თანამდებობაზე ვმუშაობდი და „ზემოდან“ დამავალეს, ტედ ტერნერი და ჯეინ ფონდა ჩამოვიდნენ და ბელარუსის ტყეებში დომბებზე უნდა ანადიროო. მე ვუთხარი, საქართველოში ჩავიყვან, ჯიხვებზე ვანადირებ და მერე ვნახოთ, ბელარუსს საერთოდ თუ ახსენებენ-მეთქი. დამთანხმდნენ. თქმით კი ვუთხარი, მაგრამ გულში მაინც გამკენწლა, შევძლებთ კი საქართველოში მულტიმილიონერ ტედ ტერნერის გაკვირვებას? იმავწამს ბიძაჩემს დავურეკე ზუგდიდში, დამაიმედეს, შენ ჩამოიყვანე და პატივისცემა ჩვენზე იყოსო. ჩავფრინდით სოხუმში, გავიხედე ილუმინატორიდან და რას ვხედავ — რაც კი საქართველოში „ჩაიკები“ ჰყავდათ, ყველა იქ მოეყვანათ. ორი ვერტმფრენიც გამოეყოლებინათ. ტერნერმა მანქანით მგზავრობა ირჩია, გაოცებული შესცქეროდა ბუნებას. ზუგდიდში დახვედრამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ის რამდენიმე დღე ისეთ სახლში აცხოვრეს ტერნერი და ფონდა, თავად გამიკვირდა. მოახურეს ნაბდები, სვანური ქუდები, ქამარ-ხანჯლებს და ყანწებს ხომ თვლა არ ჰქონდა. ბოლოს დადგა კულმინაცია: ტერნერი ჯიხვებზე უნდა ვანადიროთ. მეტად ცოცხალი, ენერგიული კაცია და მთაში ფეხით ასვლა ისურვა. ფონდაც, ეს ამერიკელი ქალის სიმბოლოც, თან გაჰყვა. როგორც მოლაპარაკებული ვიყავით, ნაკრძალში შევუშვით. უცებ გარეული თხა გამოჩნდა, ტედმა თოფი მოიმარჯვა, თხა კი მიუახლოვდა და ლამის დრუნჩი შეახო. ტერნერმა თოფი დაუშვა და მომიტრიალდა, ანზორ, მონადირე ვარ, მკვლელი კი არაო... ბოლოს, დაადო თავი ცოლ-ქმარმა და მთაში ავიდა. ტერნერმა რომ ორთავე უშბა დაინახა, სუნთქვა შეეკრა. ისე სწრაფად მიდიოდა მაშინ ორმოცდაათს გადაცილებული ეს წყვილი, რომ გვარიანად ჩამოვრჩით და შევშინდით, მაგრამ ჩინებული მთამსვლელები გამოდგნენ და ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ყულიშკარში ფონდამ ღომის ხარშვა რომ დაიწყო, ტერნერი მოიღუშა. ვიფიქრე, რამე ხომ არ ვაწყენინე-მეთქი. გამოველაპარაკე და ასე მითხრა: ანზორ, ხომ იცი, უდიდესი სიმდიდრის პატრონი ვარ, მაგრამ ეს სამი დღე, შენ რომ საქართველოში გამატარებინე, არასოდეს დამავიწყდება და პირდაპირ გეტყვი: ჩემი სიმდიდრის მიუხედავად, ვერ შევძლებ, ასევე ღირსეულად დაგიხვდე ამერიკაშიო. თურმე მთელი სამი დღე იმის თვლაში გაუტარებია, რა დაჯდებოდა მისი დახვედრა, მანქანები, ვერტმფრენები, რესტორნები, საჩუქრები, ხალხი, და იმხელა თანხა გამოსვლია, ლამის გული შეულონდა...

— ფეხბურთს თუ თამაშობდით ახალგაზრდობაში?

— ქუთაისში ეზოში ვთამაშობდი ხოლმე, როგორც ყველა, მაგრამ დიდი ვერაფერიშვილი ფეხბურთელი ვიყავი, ისე, ხშირად მეორე ანზორი — კავაზაშვილი ვგონებივარ.

**— დავით ყიფიანთან დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებთ?**

— 70-იანი წლების დასაწყისში გავიცანი, როცა დათო „დინამოში“ გამოჩნდა და მერე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა. მე, როგორც მოსკოვის კომკავშირის ლიდერი, ფეხბურთს ვკურირებდი და დათო მაშინ გავიცანი. მას მერე დიდი მეგობრობა გვაკავშირებს, ასევე ახლოს ვარ ვოვა გუცაევთან და სხვა ქართველ ფეხბურთელებთან.

**— ყიფიანის თქმით, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების „მზრუნველთა საბჭოს“ ხელმძღვანელი ხართ. უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყოდით, რას აპირებს „საბჭო“?**

— საბჭოს საქმიანობის მიზანი ქართული ფეხბურთის დახმარებაა. ქართველებმა ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ მსოფლიო ფეხბურთში. ჩვენი უდიდესი პოტენციის ამბავი კარგად ვიცი, მაგრამ დღეს გაჭირვება არ გვაძლევს იმის საშუალებას, სრულად გამოვავლინოთ ჩვენი უნარი. ჰოდა, დათო ყიფიანის ნაკრების სათავეში მოსვლის მერე მისივე თაოსნობით, ამ საბჭოს შექმნაზე შევთანხმდით.

**— თქვენი ასოციაცია „XXI საუკუნე“ დღეს ყველას პირზე აკერია. ორიოდ სიტყვით მისი საქმიანობის შესახებაც გვითხარით.**

— ასოციაციის საქმიანობა მრავალ სფეროს მოიცავს. მე იურისტი ვარ და როდესაც საბჭოთა კავშირი უკანასკნელ წლებს ითვლიდა, სწორედ მაშინ შევქმენი ასოციაცია, რომელიც უცხოურ ფირმებთან და საზოგადოებებთან იურიდიულ კავშირს დაამყარებდა. ახლა რუსეთში ერთ-ერთი უძლიერესნი ვართ.

**— ქართული გვარი საქმიანობაში ხელს არ გიშლით?**

— კვეხნით არ ვიტყვი, მაგრამ სადაც ვმუშაობდი, ჩემს ორგანიზაციას ყველგან საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა. შეიძლება ვინმეს არ ეპიტნავებოდა ჩემი დაწინაურება, მაგრამ ფაქტები თავად მეტყველებდნენ. თუმცა, სსრკ-ში სულ ზედა ეშელონში, რა თქმა უნდა, ვერაფრით მოვხვდებოდი სწორედ ჩემი გვარის გამო. სხვათა შორის, ახლახან შემომთავაზეს რუსეთის ფედერაციის მთავრობის კონსულტანტის თანამდებობა რუსეთის საგარეო ვალების სფეროში.

**— ვინაიდან ქართულ ფეხბურთს ასე დაუახლოვდით, ალბათ საქართველოშიც ხშირად ჩამოხვალთ?**

— მე ქართველი ვარ და ახლა, როცა ამხელა შესაძლებლობები მაქვს, ალბათ არა მაქვს უფლება, ჩემიანებს გვერდში არ ამოვუდგე. მამაჩემი დღემდე საქართველოს მოქალაქედ ითვლება. სხვათა შორის, რეზო ჩხეიძემ „ჯარისკაცის მამა“ სწორედ ჩვენი ოჯახის თავსგადანახად ამბავზე გადაიღო: მამაჩემი იოსები ომში დაწყების დღიდან წავიდა, მისი დივიზია ანაპასთან თითქმის სულ განადგურდა და როდესაც ბაბუაჩემი აქვსენტი მის სანახავად ჩავიდა, მამა-შვილის შეხვედრის სცენამ ლამის ყველა აატირა. ორივე ბერლინამდე მივიდა და შინაც მშვიდობით დაბრუნდნენ, კინოში კი სიუჟეტი გაატრაგიკულეს. რადგან მამაჩემზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც ვიტყვით, რომ იოსებ კიკალიშვილი ის კაცია, ვინც 1959 წლის 9 მარტს საკუთარ ხალხს არ ესროლა, მიუხედავად იმისა, რომ უბრძანეს. ამის გამო იგი მე-18 ქართული დივიზიის სარდლობიდან მოხსნა ხრუშჩოვმა, ჩამოაქვეითა და ჩვენი ოჯახიც ქუთაისიდან ყაზანში გადავიდა. ის დივიზია რომ დაშალეს, „ცნობილი“ მერვე პოლკი მაშინ ჩამოაყალიბეს.

მე მგონი, გავეცი პასუხი თქვენს კითხვას. თამარ გვერდწითელის, სოსო პავლიაშვილის, ვალერი მელაძესა და ჩემი თანამშრომლობა ხომ ცნობილი ამბავია, ახლა ერთი ვუნდერკინდი მუსიკოსი ქართველი გოგონა გამაცნეს, მასაც მხარში ამოვუდგები. თუმცა, რადგან სპორტული გაზეთიდან ხართ, შეგიძლიათ დაწეროთ, რომ ქართველი ანზორ კიკალიშვილი ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩადგა და მის საკეთილდღეოდ არაფერს დაიშურებს...

**მამუკა კვარაცხელია**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — პარი სენ ჟერმენი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| რენი — ლიონი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ნიცა — ლანსი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ოსერი — ლე ავრი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლილი — კანი | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| მეცი — გინგამი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბორდო — მონაკო | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| მარსელი — მონპელიე | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| სტრასბური — ნანტი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| კაენი — ნანსი | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი — ბარსელონა | 3,6 | 3,1 | 1,7 |
| ბილბაო — სპორტინგი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ესტრემადურა — ვალენსია | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| რეალი — სევილია | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სელტა — ლოგრონიესი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| დეპორტივო — კომპოსტელა | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ერკულესი — ტენერიფე | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ბეტისი — სარაგოსა | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რაიო ვალეკანო — სოსიედადი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ოვიედო — რასინგი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ესპანიოლი — ატლეტიკო | 2,4 | 2,8 | 2,3 |

### გერმანიის თასის ნახევარფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აპრილი | | | |
| კოტბუსი — კარლსრუე | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| 16 აპრილი | | | |
| შტუტგარტი — ჰამბურგი | 1,25 | 4,0 | 7,0 |

### საბერძნეთის თასის ფინალი

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი — აეკი | 2,4 | 2,6 | 2,4 |

### ჰოლანდიის თასის ნახევარფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 აპრილი | | | |
| როდა — ტილბურგი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| 17 აპრილი | | | |
| ჰერენვენი — ჰელმონდი | 1,15 | 5,0 | 8,0 |

### ბელგიის თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩები

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტილენი — ანდერლეხტი | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ეკერენი — აალსტი | 1,6 | 3,1 | 4,2 |

### ინგლისის ლიგის თასის ფინალი. გადათამაშება შეფილდში

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — მიდლსბრო | 2,6 | 2,6 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;

ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის 16.

ფირმა „ფორტუნა-97“ ატარებს
თბილისის პირველ ღია ჩემპიონატს
ჯოკერსა და პრეფერანსში
მონაწილეობა ფასიანია:
ჯოკერი 30 ლარი | პრეფერანსი 40 ლარი
პრიზიორები დაჯილდოვდებიან
სოლიდური თანხით
მსურველთა რეგისტრაცია:
17 აპრილის ჩათვლით — „ჯოკერში“
1 მაისის ჩათვლით — „პრეფერანსში“.
ცნობებისთვის მიმართეთ: ჭავჭავაძის გამზ. №49ა
სპორტის დეპარტამენტის შენობაში, სალონი „ფერია“
ლოკომოტივის სტადიონის პირდაპირ
10 საათიდან 20 საათამდე ☎ 23 41 96

### ლიბერტადორესის თასი

**I ჯგუფი**

სერო პორტენო (პარაგვაი) — ბოლივარი (ბოლივია) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივარი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:10 | 10 |
| ორიენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| გუარანი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:11 | 8 |
| სერო პორტენო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |

**შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: ბოლივარი, ორიენტე (ბოლივია) და გუარანი (პარაგვაი)**

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველესი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 13 |
| ნასიონალი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| რასინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| ემელეკი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:10 | 4 |

**გავიდნენ: ველეს სარსფილდი (არგენტინა), ნასიონალი (ეკვადორი), რასინგი (არგენტინა)**

**III ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლო-კოლო | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| უნ. კატოლიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 15:6 | 8 |
| მინერვენი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:9 | 7 |
| მინეროსი | 6 | 0 | 3 | 3 | 1:9 | 3 |

**გავიდნენ: კოლო-კოლო (ჩილე), უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე), მინერვენი (ვენესუელა)**

**IV ჯგუფი**

კრუზეირო (ბრაზილია) — სპორტინგ კრისტალი (პერუ) 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:3 | 9 |
| კრუზეირო | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| კრისტალი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ალიანსა | 6 | 1 | 2 | 3 | 2:9 | 5 |

**გავიდნენ: გრემიო (ბრაზილია), კრუზეირო (ბრაზილია), სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

**V ჯგუფი**

მილიონარიოსი (კოლუმბია) — ნასიონალი (ურუგვაი) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილიონარიოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| პენიაროლი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ნასიონალი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:8 | 6 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |

**15 აპრილს: პენიაროლი — დეპორტივო კალი, 18 აპრილს: ნასიონალი — დეპორტივო კალი**

### შოტლანდია

**33-ე ტური. დანფერმლაინი — ჰიბერნიანი 1:1, ჰართსი — აბერდინი 0:0, მოზერველი — რეით როვერსი 5:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 32 | 23 | 5 | 4 | 77:28 | 74 |
| სელტიკი | 32 | 20 | 5 | 7 | 69:31 | 65 |
| დანდი იუნ. | 32 | 16 | 8 | 8 | 44:28 | 56 |
| ჰართსი | 33 | 13 | 9 | 11 | 42:40 | 47 |
| აბერდინი | 33 | 9 | 13 | 11 | 42:50 | 40 |
| დანფერმლაინი | 33 | 11 | 7 | 15 | 46:61 | 40 |
| ჰიბერნიანი | 33 | 9 | 9 | 15 | 35:50 | 36 |
| კილმარნოკი | 32 | 11 | 3 | 18 | 38:56 | 36 |
| მოზერველი | 33 | 8 | 9 | 16 | 39:52 | 33 |
| რეით როვერსი | 33 | 6 | 6 | 21 | 28:64 | 24 |

იყიდება სასწრაფოდ
3-ოთახიანი ჩეხური პროექტის კუთხის ბინა დიდ დიღომში
ფასი 8 500 დოლარი
☎ 66 48 12

გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?
ERC
მოაკითხეთ „ელიტა-სკ“-ს. თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა, სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.
გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლით? მოაკითხეთ „ელიტა-სკ“-ს.
„ელიტა-სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.
მოაკითხეთ „ელიტა-სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25

# შავი კატის დღე ტურინში

## იტალია

XXVII ტური

### სამპდორია 1:0 ლაციო

25 000 მაყურებელი

სამპდორია: ფერონი, ბალერი, მანინი, დინგა, პეზარეზი, კარპარელი (სალსანო 55), კარემბუ, ვერონი, ლეილი, მონტელა (იაკოპინო 89), მანჩინი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, გრანდონი, შამოტი, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი (ბუზო 68), ოკონი, ნეოვეა, გოტარდი (რამბაუდი 80), სინიორი

გოლი: მონტელა (65 პ)

93-ე წუთზე მანჩინიმ პენალტი ვერ გაიტანა

გაფრთხილება: მანჩინი, ბალერი, ვერონი, მანინი, ვენტურინი, გოტარდი

### ნაპოლი 1:1 კალიარი

45 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, კოლონეზე, აიალა, მილანეზე, ესპოზიტო, პეკია, ბოლოსიანი (ალტომარე 90), კრუსი (კრასონი 54), კაზა (კაიო 73), ალიენტი

კალიარი: სტერჩელე, პანკარო, ვილა, მინოტი, ბეტარინი, მუცი, ბერეტა, სანა, ონილი, ტოვალიერი, სილვა

გოლი: ესპოზიტო (77 პ), ტოვალიერი (83)

გაფრთხილება: ალიენტი, ბალდინი

### ატალანტა 1:1 ბოლონია

18 000 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, სოტილი, კარერა, ბონაჩინა, ფოლიო, სგრო, გალო, დ. მორფეო (მაგალიანესი 75), ინძაგი, ლენტინი

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი (დე მარჩი 67), ტორიზი, კარდონე, მანგონე, პარამატი, სკენარდი, მაროკი (ბრამბილა 61), სკაპოლო, ფონტოვანი (ბრეშანი 77), კოლივანოვი

გოლი: ტორიზი (50 საკ. კარში), სკაპოლო (72)

გაფრთხილება: ლენტინი, სკაპოლო

### პიაჩენცა 1:1 ფიორენტინა

10 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, მ. კონტე, ლუჩი, დელი კარი, დი ფრანჩესკო, შიენცა, ვალოტი (პინი 72), ვალტოლინა (მორეტი 57), ტენტონი (ლუიზო 46), პიოვანი

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, პადალინო, ლ. ამორუზო, კარნაშალი, კანჩელსკისი (რობიატი 79), შვარცი, რუი კოშტა, ოლივეირა (კოისი 70), ბატისტუტა, ბაიანო

გოლი: ამორუზო (56), ლუიზო (67)

გაფრთხილება: კანჩელსკისი

### ვერონა 2:0 პერუჯა

ვერონა: გუარდალბენი, ფატორი, სივილია, კავერძანი (დე ვიტისი 46), ვანოლი, ორლანდინი, კოლუჩი (ჯუნტა 65), ბაკი, მანეტი, მანიერო (ბარონი 79), ძანინი

პერუჯა: ბუჩი, ტრავერზა, დიზარა, მატრეკანო, მიალკოვიჩი, დი კიარა (მატერაცი 46), კრეეკი (პიცი 72), მანიკონე (რუდი 69), გორეტი, გაუტიერი, ნეგრი

გოლი: მანიერო (67), დე ვიტისი (80)

### იუვენტუსი 0:3 უდინეზე

30 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, პესოტო (დი ლივიო 29), ფერარა, მონტერო, დიმაში, ლომბარდო, ზიდანი, ტაკინარდი, იუგოვიჩი (კონტე 70), ბოკშიჩი (ნ. ამორუზო 57), ვიერი

უდინეზე: ტურჩი, ჟენო, პიერინი, კალორი, სერჯო, ჰელვეგი (ბერტოტო 90), ჯანიკედა, როსიტო, ლოკატელი (გარგო 4), ბირჰოფი, ამოროზო (კაპიოლი 75)

გოლი: ამოროზო (42 პ, 48), ბირჰოფი (46)

55-ე წუთზე ვიერიმ და 63-ე წუთზე ზიდანმა პენალტები ვერ გაიტანეს

გაფრთხილება: ფერარა, ჯანიკედა

გაძევება: ჟენო (3), ტაკინარდი (60)

### რეჯანა 0:0 ვიჩენცა

10 000 მაყურებელი

რეჯანა: ბალოტა, სორდო (გრიუნი 45), გალი, ბაიერსდორფერი, ტონეტო, პარენტე, მაცოლა, ლონგი, პაშეკუ (დე ნაპოლი 76), ვალენსია (მინეტი 64), სიმუტენკოვი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, სარტორი, ვივიანი, ბელოტი, დიგნაციო, ოტერო (ჯენტილინი 93), დი კარლო, მაინი, ამბროზეტი, კორნაჩინი (ბეგეტო 71)

გაფრთხილება: გალი, ლონგი, ბელოტი

### რომა 0:1 პარმა

52 560 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, პივოტო, პეტრუცი, კარბონი, კანდელა, ტომაზი (ფონსეკა 60), დი ბიაჯო, სტატუტო, თეთრაძე (მორიერო 60), ბალბო, ტოტი (დელვეკიო 84)

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, ბენარივო, კრიპა, დ. ბაჯო, სენსინი, სტრადა (ზე მარია 75), მელი (ბრავო 82), კრესპო

გოლი: კრესპო (43)

გაფრთხილება: ბალბო, პეტრუცი, კარბონი, მუსი, სენსინი, სტრადა

### ინტერი 3:1 მილანი

70 996 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, პაგანინი, ფრეზი, პისტონე, ინსი, სფორცა, ძანეტი, ჯორკაეფი (ბერტი 77), განცი (ბრანკა 69), სამორანო (ვინტერი 90)

მილანი: როსი, კოსტაკურტა, ვერხოვოდი, ბარეზი (ტასოტი 46), კოკო, ერანიო, დესაი, ბობანი, ბლომკვისტი (სიმონე 46), რ. ბაჯო, ვეა

გოლი: ჯორკაეფი (32 პ), სამორანო (43), განცი (59), ბაჯო (88)

გაფრთხილება: დესაი, ტასოტი

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ამაზეა ნათქვამი. „იუვენტუსი", რომელიც შინ თუ გარეთ ყველაფერს იგებს, რატომღაც „უდინეზესთან" მარცხდება. განა არსებობს უკეთესი დასტური იმისა, რომ ადამიანი რაგინდ გონიერი და ღონიერი იყო, ნებისმიერ წამს უნდა ელოდო რაღაცას, რაც ვერ გაითვალისწინე, ან უბრალოდ არ იცი, ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ხარ.

იმის თქმა, რომ ტურინის გუნდს რაიმე საშინელება შეემთხვა, არასწორია. ეს მარჩელო ლიპის ყველაზე კარგად მოეხსენება დღუნიაზე:

— არ ვიცი, რა მოხდა. მოთამაშეები როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად ამოწურულნი იყვნენ. სამაგელი თამაშით დავმარცხდით. წინა ორი მატჩი „მილანთან" და „აიაქსთან" გვქონდა. ორივე მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ და ვეებერთელა ძალთა ხარჯვას ითხოვდა. იქნებ სწორედ ამის საფასური გადავიხადეთ. გუნდს ყველაფერი გაცემული ჰქონდა, დატოვებული კი არაფერი. რაც მოხდა, მოხდა. ამისგან დრამა არ უნდა შევქმნათ, უნდა მივიღოთ, როგორც ფაქტი.

კეთილი, შესაძლოა „იუვენტუსის" ფეხბურთელები მართლაც გადაიღალნენ ფიზიკურად და ემოციურადაც, მაგრამ ორი პენალტის ვერგატანა რაღა იყო? ჯერ კრისტიან ვიერიმ გაარტყა ხარიხას, მერე კი ზინედინ ზიდანს „უდინეზეს" მეკარემ ლუიჯი ტურჩიმ აუღო. სიმძაფრისთვის დავძინოთ, რომ მე-3 წუთიდან ტურინელები რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ — მეტოქეს ბელგიელი მცველი რეჟ ჟენო გაუძევეს — თუმცა მე-60-ზე ალესიო ტაკინარდიც მის გზას გაუყენეს და ბოლო ნახევარი საათი მხარეებმა ათმა ათზე გააგრძელეს ბრძოლა.

ამრიგად, იტალიის პირველობის ლიდერმა მიმდინარე სეზონში შინ პირველად წააგო; წააგო გუნდთან რომელმაც ტურინში ბოლოს 1962 წელს გაიმარჯვა; წააგო თერთმეტთამაშიან მოგებათა და ფრეთა სერიის შემდეგ; წააგო ბრაზილიელი მარსიო ამოროზოს და გერმანელი ოლივერ ბირჰოფის გოლებით.

პირველი გოლი პენალტით გავიდა. წააქციეს ბირჰოფი, პერუცი კი მცდარ მხარეს ამოროზომ გადაახტუნა. შესვენების შემდეგ „უდინეზემ" მალევე მოათავა მეტოქის კარის რბევა. თავიდან ბირჰოფმა აჯობა ფერარას და თაურით იმარჯვა, შემდეგ კი ისევ ამოროზომ ივარგა, დრიბლინგით დაჯაბნა ზოლიანი მცველები და მესამე შეაგდო.

მილანელები სულ სხვა ვნებით იყვნენ შეპყრობილნი — „სან სიროზე" დიდი დერბი შედგა: „ინტერი" „მილანის" წინააღმდეგ. ამ შეხვედრის გმირად „ინტერის" იური ჯორკაეფი აღიარეს, რომელმაც პირველი გოლი პენალტით შეაგდო, მეორე სამორანოს გაატანინა, მესამე საგოლე კომბინაცია კი წამოიწყო — განცმა დაასრულა. „მილანმა" მხოლოდდამხოლოდ თავმოყვარეობის მეტნაკლებად დაკმაყოფილება მოახერხა — გოლი რობერტო ბაჯომ გაიტანა.

„სან სიროზე" ორ ბანაკად დაყოფილი 70 ათასი თანაქალაქელი წინა თაობების მიერ დაწყებულ ჯიბრს აგრძელებდა. ამჯერად თავწეულნი შავ-ლურჯების ქომაგები დარჩნენ, შავ-წითელთა თაყვანისმცემლებმა კი სიმწრისგან კინაღამ ორჯერ ჩაშალეს შეხვედრა. პირველად მაშხალები მაშინ ჩაყარეს მინდორზე, განცმა 3:0 რომ გახადა, მეორედ კი არემარე ჟორჟ ვეას მიერ საუცხოო მომენტის გაფუჭების შემდეგ გაბოლეს. ისე, მათი განწყობილება გასაგებიცაა. წინა შეხვედრა „იუვენტუსთან", ამავე სტადიონზე ხომ ასევე „მილანის" მარცხით, თან სამარცხვინო მარცხით, 1:6 დამთავრდა.

— როდესაც გუნდი უმძიმესი კვირის შემდეგ იგებს, ის დიდი სიხარულის ღირსია, ჩვენ ვძლიეთ „მონაკოს" და ახლა „მილანს". ამ ორი 3:1-ის მიღწევა იოლი საქმე არ გეგონოთ. დღეს დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენ მას ვიმსახურებდით. ამ ყაიდის შეხვედრებში დიდი მნიშვნელობა პირველი გოლის გატანას ენიჭება. ამჯერად ბედმა ჩვენ გაგვიღიმა. დღევანდელი სამი გოლი შემთხვევით არ გასულა. ეს მძიმე მუშაობის შედეგია — ლაღობდა მატჩის შემდეგ როი ჰოჯსონი.




რომა — პარმა. მასპინძელთა არგენტინელმა აბელ ბალბომ ფაბიო კანავაროს მოტყუება კი შეძლო, მაგრამ იმ დღეს გოლი მაინც ვერ გაიტანა

„მილანის" გაწბილებული თავკაცი არიგო საკი უპირველესად „ინტერის" გოლკიპერის ჯანლუკა პალიუკას ბრწყინვალე თამაშს აღნიშნავდა:

— ბოლო ორ წაგებულ შეხვედრაში მეტოქეთა მეკარეებმა ითამაშეს ბრწყინვალედ. დღეს პირველი ტაიმის შემდეგ 0:2-ს არ ვიმსახურებდით. აშკარაა, რაღაც უნდა შევცვალო, თორემ ამდენი მარცხი თვითრწმენას გვინგრევს. აღსანიშნავი ისიცაა, რომ ოთხი თუ ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა, ზედაც ბარეზიმ მიიღო ტრავმა, „ინტერი" კი სრული შემადგენლობით თამაშობდა. გოლის გატანის ხუთი თუ ექვსი შესაძლებლობაც ვერ გამოვიყენეთ, თანაც ჩემმა მოთამაშეებმა უნდა გაიგონ, რომ პირველი გოლის გაშვება წაგებას სულაც არ ნიშნავს. ვიმეორებ, თავის მეტი რწმენაა საჭირო.

პირველი მომენტი ჯორკაეფს ჰქონდა — ხარიხას გადააცილა ბურთი. შემდეგ ბაჯომ ითამაშა ჩინებულად, ვეას მიაწოდა, ლიბერიელმაც თითქოს შეიშნო თანაგუნდელის პასი, მაგრამ ბოლოწამს პალიუკამ აჯობა. ბაჯომ ამას ორი სახიფათო ჯარიმა დაურთო ზედ. ტაიმი შუას რომ გადაცდა, ანგარიშიც გაიხსნა: განცის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი ჯორკაეფმა გაიტანა. „მილანმა" გათანაბრება სცადა, დესაიმ ვეას აუწია, ვეამ თაური დაარტყა, მაგრამ პალიუკას საოცარ რეაქციას წააწყდა. „ინტერმა" მომენტს მომენტებითვე უპასუხა — ჯერ განცმა ააცილა, შემდეგ ინსს აუღო როსიმ, რასაც ორი კუთხური მოჰყვა — უშედეგო და შედეგიანი.

შესვენება ახლოვდებოდა და ბაჯო აქტიურობდა. ერთხელ თაური დაარტყა, ერთხელაც ფეხით, თუმცა პალიუკას ვერაფერი მოუხერხა. მეორე ნახევარში სამორანომ ვერ გაიტანა უმარტივესი მდგომარეობიდან, განცმა კი ჯორკაეფის დაწყებული და ძანეტის გაგრძელებული კომბინაცია ზუსტი თაურით დაასრულა. 75-ე წუთზე ბაჯომ ისევ ვეა გაიყვანა საგოლე პოზიციაზე — ისევ პალიუკამ ჩაიდინა სასწაული, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ცოტათი ადრე „ინტერის" მეკარის ჯადო-მარაგი ამოიწურა: ბაჯომ ბურთი მოიხელთა, გოლკიპერს გასცდა და, როგორც იქნა, გაიტანა.

გენუაში „სამპდორიამ" „ლაციოს" სძლია. რომაელთა კარი ვინჩენცო მონტელამ პენალტით დალაშქრა, მისმა თანაგუნდელმა რობერტო მანჩინიმ კი იგივე ვერ შეძლო. დედაქალაქის მეორე გუნდმა „რომამ" შინ წააგო კარლო ანჩელოტის „პარმასთან". ერნან კრესპოს სეზონის მეშვიდე გოლმა პარმელებს მე-13 შეხვედრაში მე-10 გამარჯვება მოუტანა და ვინაიდან „იუვემ წააგო, ახლა მათ შორის სხვაობა სამი ქულაღაა. პარმელთა სიხარული მასპინძელთა ქომაგების რისხვამ დაფარა. იმ დღეს „რომა" ახალი მწვრთნელის, 74 წლის შვედის ნილს ლიდჰოლმის თავკაცობით პირველ მატჩს ატარებდა. ლიდჰოლმი ის კაცია, გუნდს ადრეც რომ ედგა სათავეში. 1983 წელს სკუდეტოც მოაპოვებინა, მაგრამ გულშემატკივრებს, თუნდაც პატივცემული კაცის ხელმძღვანელობით ნაწნევი, წაგება არაფრად ეპიტნავათ.

**პაპუნა კედია**

#### სერია A

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 27 | 14 | 10 | 3 | 40:19 | 52 |
| პარმა | 27 | 14 | 7 | 6 | 31:20 | 49 |
| ინტერი | 27 | 11 | 12 | 4 | 38:26 | 45 |
| სამპდორია | 27 | 12 | 7 | 8 | 49:39 | 43 |
| ბოლონია | 27 | 12 | 7 | 8 | 43:34 | 43 |
| ლაციო | 27 | 11 | 7 | 9 | 32:27 | 40 |
| უდინეზე | 27 | 10 | 8 | 9 | 37:34 | 38 |
| ფიორენტინა | 27 | 8 | 12 | 7 | 34:29 | 36 |
| ვიჩენცა | 27 | 9 | 9 | 9 | 35:32 | 36 |
| რომა | 27 | 9 | 9 | 9 | 39:37 | 36 |
| ატალანტა | 27 | 9 | 9 | 9 | 36:35 | 36 |
| მილანი | 27 | 10 | 6 | 11 | 36:37 | 36 |
| ნაპოლი | 27 | 7 | 13 | 7 | 30:34 | 34 |
| პიაჩენცა | 27 | 5 | 13 | 9 | 21:33 | 28 |
| კალიარი | 27 | 6 | 9 | 12 | 32:44 | 27 |
| პერუჯა | 27 | 7 | 6 | 14 | 33:49 | 27 |
| ვერონა | 27 | 5 | 7 | 15 | 33:52 | 22 |
| რეჯანა | 27 | 2 | 13 | 12 | 24:42 | 19 |

#### სერია B

29-ე ტური: ფოჯა — რავენა 0:1, რეჯინა — პადოვა 1:0, კრემონეზე — ტორინო 1:1, ჩეზენა — ბარი 0:2, ბრეშია — დი სანგრო 1:1, სალერნიტანა — კიევო 2:2, ლეჩე — პალერმო 1:1, ემპოლი — კოზენცა 4:0, პესკარა — ჯენოა 1:3, ვენეცია — ლუკეზე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 29 | 15 | 9 | 5 | 39:23 | 54 |
| ლეჩე | 29 | 13 | 10 | 6 | 42:33 | 49 |
| ემპოლი | 29 | 13 | 9 | 7 | 39:31 | 48 |
| რავენა | 29 | 13 | 9 | 7 | 35:25 | 45 |
| პესკარა | 29 | 11 | 11 | 7 | 38:28 | 44 |
| ჯენოა | 29 | 10 | 13 | 6 | 41:22 | 43 |
| ტორინო | 29 | 11 | 9 | 9 | 37:32 | 42 |
| კიევო | 29 | 9 | 15 | 5 | 33:29 | 42 |
| ბარი | 29 | 9 | 14 | 6 | 38:29 | 41 |
| ფოჯა | 29 | 10 | 9 | 10 | 30:31 | 39 |
| რეჯინა | 29 | 9 | 10 | 10 | 30:33 | 37 |
| ვენეცია | 29 | 8 | 11 | 10 | 34:35 | 35 |
| პადოვა | 29 | 7 | 13 | 9 | 31:35 | 34 |
| სალერნიტანა | 29 | 7 | 11 | 11 | 20:32 | 32 |
| დი სანგრო | 29 | 8 | 7 | 14 | 18:33 | 31 |
| ჩეზენა | 29 | 6 | 11 | 12 | 25:33 | 29 |
| ლუკეზე | 29 | 6 | 11 | 12 | 22:33 | 29 |
| კოზენცა | 29 | 7 | 8 | 14 | 31:43 | 29 |
| პალერმო | 29 | 5 | 14 | 10 | 20:39 | 29 |
| კრემონეზე | 29 | 6 | 10 | 13 | 20:34 | 28 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 18 |
| მონტელა (სამპდორია) | 18 |
| ბალბო (რომა) | 14 |
| მანჩინი (სამპდორია) | 13 |
| ტოვალიერი (კალიარი) | 13 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 12 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 12 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 11 |
| სინიორი (ლაციო) | 11 |
| კოლივანოვი (ბოლონია) | 11 |
| ვეა (მილანი) | 10 |
| კიეზა (პარმა) | 10 |
| ამოროზო (უდინეზე) | 10 |
| მანიერო (ვერონა) | 10 |
| პოჯი (უდინეზე) | 9 |
| ნეგრი (პერუჯა) | 9 |
| ბირჰოფი (უდინეზე) | 9 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 9 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 8 |
| პადოვანო (იუვენტუსი) | 8 |
| ალიენტი (ნაპოლი) | 8 |

## ბელგია

30-ე ტური: სტანდარდი — სერკლ ბრიუგე 1:2, შარლერუა — აალსტი 2:3, ბრიუგე — მუსკრონი 3:0, ეკერენი — ლომელი 4:1, გენკი — ანტვერპენი 3:0, ლიერსი — ჰარელბეკე 1:0, მეხელენი — ლოკერენი 0:1, მოლენბეკი — ანდერლეხტი 0:0, სენტ ტრიუდენი — გენტი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიერსი | 30 | 18 | 10 | 2 | 59:32 | 64 |
| ბრიუგე | 30 | 19 | 5 | 6 | 63:32 | 62 |
| მუსკრონი | 30 | 16 | 9 | 5 | 54:32 | 57 |
| ანდერლეხტი | 30 | 14 | 10 | 6 | 50:31 | 52 |
| ლომელი | 30 | 14 | 7 | 9 | 42:42 | 49 |
| ჰარელბეკე | 30 | 12 | 9 | 9 | 44:32 | 45 |
| სტანდარდი | 30 | 14 | 2 | 14 | 50:47 | 44 |
| ანტვერპენი | 30 | 13 | 5 | 12 | 41:41 | 44 |
| გენკი | 30 | 11 | 8 | 11 | 41:36 | 41 |
| შარლერუა | 30 | 9 | 7 | 14 | 40:46 | 34 |
| სტ. ტრიუდენი | 30 | 9 | 7 | 14 | 40:51 | 34 |
| ეკერენი | 30 | 9 | 7 | 14 | 39:50 | 34 |
| ლოკერენი | 30 | 9 | 7 | 14 | 37:51 | 34 |
| გენტი | 30 | 9 | 6 | 15 | 42:54 | 33 |
| მოლენბეკი | 30 | 8 | 9 | 13 | 28:36 | 33 |
| მეხელენი | 30 | 7 | 10 | 13 | 32:45 | 31 |
| აალსტი | 30 | 6 | 10 | 14 | 37:52 | 28 |
| სერკლ ბრიუგე | 30 | 5 | 8 | 17 | 30:59 | 23 |

## რუსეთი

მე-5 ტური: სპარტაკი — ჩერნომორეცი 3:0, ალანია — ბალტიკა 0:0, როტორი — კრილია 1:1, დინამო — როსტსელმაში 1:0, ნ. ნოვგოროდი — ტიუმენი 1:0, ტორპედო — კამაზი 2:0, ჟემჩუჟინა — ზენიტი 1:0, შინიკი — ცსკა 0:1, ფაკელი — ლოკომოტივი 1:0

ტურში ჩვენებურთაგან მხოლოდ მამუკა მინაშვილმა გამოიჩინა თავი: მისი გატანილი გოლით სამარელები ერთხანს ვოლგოგრადში, სადაც ქარბუქის გამო ოთხი საათის დაგვიანებით ჩაფრინდნენ, იგებდნენ კიდეც.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 13 |
| როტორი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 10 |
| როსტსელმაში | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| კრილია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ჟემჩუჟინა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ბალტიკა | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ალანია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| ზენიტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:2 | 7 |
| ტორპედო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ცსკა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 6 |
| ჩერნომორეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | 4 |
| ფაკელი | 5 | 1 | 0 | 4 | 1:6 | 3 |
| შინიკი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:10 | 3 |
| კამაზი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:13 | 3 |
| ტიუმენი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |

## ჰოლანდია

28-ე ტური. ტილბურგი — ფეიენოორდი 0:2, უტრეხტი — ჰერენვეენ 2:2, გრააფსხაპი — ბრედა 2:2, ტვენტე — გრონინგენი 0:1, ვიტესი — ვოლენდამი 1:1, ეინდჰოვენი — აიაქსი 2:0, სიტარდი — აზ 67 1:0, როდა — სპარტა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 28 | 19 | 5 | 4 | 71:20 | 62 |
| ფეიენოორდი | 28 | 19 | 5 | 4 | 49:24 | 62 |
| ტვენტე | 28 | 17 | 4 | 7 | 47:23 | 55 |
| აიაქსი | 27 | 13 | 9 | 5 | 38:23 | 48 |
| ჰერენვეენი | 28 | 12 | 11 | 5 | 50:34 | 47 |
| ვიტესი | 27 | 12 | 8 | 7 | 43:31 | 44 |
| როდა | 29 | 12 | 8 | 9 | 42:38 | 44 |
| ბრედა | 28 | 10 | 8 | 10 | 38:42 | 38 |
| გრააფსხაპი | 28 | 10 | 6 | 12 | 41:43 | 36 |
| უტრეხტი | 28 | 6 | 13 | 9 | 34:37 | 31 |
| გრონინგენი | 28 | 7 | 10 | 11 | 32:48 | 31 |
| სიტარდი | 28 | 7 | 10 | 11 | 24:41 | 31 |
| ვოლენდამი | 29 | 7 | 9 | 13 | 27:48 | 30 |
| ტილბურგი | 27 | 8 | 5 | 14 | 30:44 | 29 |
| სპარტა | 27 | 8 | 4 | 15 | 30:41 | 28 |
| ნაიმეგენი | 28 | 5 | 9 | 14 | 29:50 | 24 |
| აზ 67 | 29 | 5 | 7 | 17 | 22:37 | 22 |
| ვალვაიკი | 27 | 5 | 7 | 15 | 28:51 | 22 |

## ავსტრია

26-ე ტური. ტიროლი — ლინცერი 1:0, აუსტრია — კაზინო 1:1, შტურმი — ზალცბურგი 0:0, ლინცი — რიედი 2:2, ადმირა ვაკერი — რაპიდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 26 | 14 | 9 | 3 | 33:12 | 51 |
| რაპიდი | 26 | 14 | 8 | 4 | 49:24 | 50 |
| ტიროლი | 26 | 11 | 7 | 8 | 36:28 | 40 |
| ლინცერი | 26 | 8 | 12 | 6 | 27:24 | 36 |
| შტურმი | 26 | 8 | 11 | 7 | 29:23 | 35 |
| კაზინო | 26 | 7 | 11 | 8 | 27:32 | 32 |
| აუსტრია | 26 | 9 | 5 | 12 | 28:40 | 32 |
| რიედი | 26 | 8 | 4 | 14 | 32:45 | 28 |
| ლინცი | 26 | 5 | 8 | 13 | 17:31 | 23 |
| ადმირა ვაკერი | 26 | 5 | 7 | 14 | 25:44 | 22 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# CROCO და ბრიტანული ფირმა Travel Club International

## სუპერ კონკურსი შანსით

### მთავარი პრიზი:

*ერთკვირიანი დასვენება ორ კაცზე სამხრეთ ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირა ფეშენებელურ კურორტ კოსტა დელ სოლში!*

ახალ წლამდე თქვენთვის სასურველ დროს ივლის-აგვისტოს გარდა

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო;
ავიაბილეთები: თბილისი-მოსკოვი-მალაგა-მოსკოვი-თბილისი;
დახვედრა მალაგის აეროპორტში და სასტუმროში მიყვანა

### საგანგებო პრიზი:

ინგლისის ნაკრების ნაღდი მაისური გადაეცემა კონკურსის იმ მონაწილეს, რომელიც ყველაზე მეტ ვარიანტს ითამაშებს.

პატიოსანი თამაშის პრინციპის დასაცავად 26 აპრილის „სარბიელში" გამოქვეყნდება შემოსულ ვარიანტთა სრული ნუსხა.




## კონკურსში მონაწილეობის წესები

☑ კონკურსის მონაწილემ უნდა შეავსოს ქვემოთ შემოთავაზებული ბილეთი (პასუხი ჩაიწეროს შესაბამის გრაფაში), ამოჭრას და ჩააბაროს შემდეგ მისამართებზე:

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში (პუშკინის ქუჩა №16)

☑ კონკურსის მონაწილეს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი.
☑ თითოეული ბილეთის (ვარიანტის) ღირებულებაა 50 თეთრი, რომელსაც კონკურსის მონაწილე გადაიხდის ბილეთის ადგილზე ჩაბარებისას.
☑ ბილეთები მიიღება 5-დან 20 აპრილამდე ყოველდღე, ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა, 13-დან 16 საათამდე.
☒ მიიღება მხოლოდ „სარბიელიდან" ამოჭრილი ბილეთები
☑ საკონკურსო ბილეთები დაიბეჭდება „სარბიელში" 5, 8, 10, 12, 15, 17 და 19 აპრილს.
☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას ორმა ან მეტმა მონაწილემ გასცა სწორი პასუხი, მათ მიიწვევენ ბრიტანული ფირმის თბილისის ოფისში მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად.
☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას სწორად ვერავინ უპასუხა, მაშინ გამარჯვებულად ჩაითვლება ოთხ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ ბოლო ორ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემთ.

## დღევანდელ „სარბიელში" გთავაზობთ ექვს ბილეთს ანუ ექვს შანსს!

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ გიყვართ ფეხბურთი! ფეხბურთი გაძლევთ შანსს! უპასუხეთ მხოლოდ ხუთ შეკითხვას და დაისვენეთ ესპანეთში

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი



# იჩქარეთ!

## ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა 20 აპრილია

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

# ლივერპული გონს მოეგო

## ინგლისი

XXXIV ტური

### შეფილდი 1:1 ნიუკასლი

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი (კოლინზი 42), უითინგემი, კარბონი, ბუთი (ჰამფრიზი 20), ნიკოლი (ბლინკერი 76), სტეფანოვიჩი, ოუქსი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, ბარტონი, ბერესფორდი, ბეტი, პიკოკი, ლი, გილესპი, უოტსონი, ელიოტი, შირერი (ასპრილია 82), ფერდინანდი

**გოლი:** ელიოტი (35), პემბრიჯი (57)

პირველ ნახევარში ნიუკასლელმა ბეტიმ უოქერს და ბუთს ნაადრევად დაატოვებინა მინდორი — ჯერ იყო და, ბუთს ეუხეშა, რის გამოც ყვითელი აუფრიალეს, ტაიმის მიწურულს კი არც უოქერი დაინდო, მაგრამ მსაჯმა თავხედი სტუმარი მოედნიდან არ გააძევა. ორი ძირითადი მოთამაშის გამოთიშვა დიდი დანაკლისი იყო შეფილდელებისთვის, მაგრამ მათ მშვიდობიანად დააღწიეს თავი მარცხს და შინ წაუგებელ მატჩთა რაოდენობა 14-მდე გაზარდეს. საზარდულის ოპერაციაგადატანილმა შირერმა მეორედ ითამაშა, მართალია, უგოლოდ დატოვა მოედანი, მაგრამ საგოლე პასი გააკეთა — მისი თაურის მერე ელიოტმა სტუმრები დააწინაურა და მთელი შეხვედრის მანძილზეც კარგად გაისარჯა. თუმცა, მატჩის მიწურულს დალგლიშმა იგი მაინც შეცვალა. მანამდე კი პემბრიჯმა აპენინელ კარბონის გარჯა დაუფასა და მარცხენათი უძლიერესი დარტყმით ბურთი კარის ბადეში მოათავსა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში ასპრილია აზერტონმა საჯარიმოში წააქცია, აღშფოთებულმა კოლუმბიელმა ბევრი იდავა, მაგრამ არბიტრმა პენალტი არ დანიშნა.

### სანდერლენდი 1:2 ლივერპული

**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, კუბიჩკი (ქუინი 66), ჰოუი, ორდი, ჯონსონი, ბრაისველი, ბოლი, გრეი, უოდლი, სტიუარტი (ბრიჯისი 77)

**ლივერპული:** ჯეიმსი, ჯოუნსი, ბიორნებიუ, რაიტი, კვარმე, ჰარკნესი, მაკმანამანი, რედნეპი, ტომასი, ბარნსი, ფაულერი

**გოლი:** ფაულერი (33), მაკმანამანი (47), სტიუარტი (53)

ლივერპულელებმა ჩემპიონატში „ქოვენტრისთან“ და თასების თასზე პსჟ-სთან სამარცხვინო მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, იმარჯვეს, თუმცა მათ თამაშს აშკარად აკლდა ის ხიბლი, რითაც როი ევანსის გუნდი პრემიერლიგის სხვა ბინადრებისგან გამოირჩევა. ფეხბურთელები გადაღლილები ჩანდნენ, ალბათ — გადატვირთული კალენდრის გამო. პარიზში ფრანგებთან სირცხვილნაჭამ „ლივერპულს“ კოლიმორი, მატეო და მაკატირი აკლდნენ, რაც წითლებს, ცხადია, დაეტყოთ კიდეც, მაგრამ ჩემპიონობისთვის მებრძოლმა გუნდმა მაინც მონახა ძალა გამარჯვებისთვის. პირველ ტაიმში ფაულერმა თაურით შეაგდო და ყველა წლევანდელ შეჯიბრებაში გატანილ 30-ზე მეტ გოლს ერთიც მიუმატა. მეორე ნახევრის დასაწყისშივე მაკმანამანმა გააორმაგა, თუმცა მალევე ყოფილმა ლივერპულელმა სტიუარტმა, რომელმაც უოდლის კუთხურით იხეირა, წითლების გამარჯვება საეჭვო გახადა. უოდლის კუთხურის შემდეგ ჰოუისაც შეეძლო გაყაიმება, მაგრამ ჯეიმსმა თაური აუღო. მატჩის მიწურულს ბიორნებიუმ ფაულერი პერესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ამან ფრანგ მეკარეს ველარ ააცილა.

### არსენალი 2:0 ლესტერი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, პლატი, კიოუნი, ჰიუზი (პარლოუ 76), რაიტი, ბერხკამპი

**ლესტერი:** კელერი, უითლოუ, უოტსი, ლენონი, ტეილორი (კემპბელი 72), რობინსი (კლერიჯი 63), ჰილი (იზეტი 63), ელიოტი, მარშალი, ლოურენსი, ჯაპი

**გოლი:** ადამსი (35), პლატი (66)

ტონი ადამსმა დაბრუნება საუცხოო გოლით აღნიშნა. ინგლისელთა ექს-კაპიტანმა ბერხკამპის გადაცემით პირდაპირ შეჭედა ბურთი კელერის კარში. ადამსის გოლი ლონდონელთა შეტევების ლოგიკური დაგვირგვინება იყო: მარტო რაიტს, ბერხკამპს და ვიეირას ორ-ორჯერ შეეძლოთ გატანა, რომ აღარაფერი ვთქვათ პლატის მიერ გამოუყენებელ ასპროცენტიან საგოლე მომენტზე. სტუმრებმა ოთხშაბათს ლიგის თასის განმეორებითი ფინალი უნდა ითამაშონ და ალბათ ამიტომაც იყო, ხუთი ფეხბურთელი რომ დაასვენეს. ძირითადი ლესტერელების არყოფნამ კელერს ცოტა ოფლი როდი აღვრევინა, მაგრამ ამერიკელმა მეკარემ მაინც ვერ იხსნა თავისიანები გარდაუვალი მარცხისგან. მეორე ტაიმში, როცა მატჩის გადარჩენის იმედი კიდევ იყო, ელიოტმა სტუმართა ერთადერთი სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენა და ცხადი გახდა, რომ მასპინძელთა გოლი დროის საქმე იყო.



ბლექბერნი — მანჩესტერი. ბურთისთვის სტუმარი ენდი კოული და მასპინძელთა ნორვეგიელი ჰენინგ ბერგი იბრძვიან

ასეც მოხდა — მეთოფეებმა „ლესტერს“ მომენტის გაფუჭება არ აპატიეს და პლატმა მეორედ შეარხია სტუმართა კარის ბადე. მატჩის მიწურულს ვენგერმა „არსენალის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი სტეფან ჰიუზი შეცვალა, რომელიც გულშემატკივრებმა მქუხარე ტაშით გააცილეს.

### ბლექბერნი 2:3 იუნაიტედი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი (პირსი 82), ლე სო, გალაშერი (პედერსენი 78), უერჰარსტი, ფლიტკროფტი (დონისი 78), უილკოქსი, მაკკინლი, ბერგი

**იუნაიტედი:** ვან დერ ჰაუვე, გ. ნევილი, პალისტერი, ბათი, იონსენი, ფ. ნევილი, კინი, სქოულზი (ბექემი 88), კოული, კანტონა, სოლსკიაერი

**გოლი:** კოული (32), მაკკინლი (34), სქოულზი (43), კანტონა (80), უერჰარსტი (88)

მანჩესტერელებს შმაიხელი, მეი, გიგზი, ირვინი და ბექემი აკლდათ, მაგრამ მაინც ღირსეულად აჯობეს მეტოქეს, რომელმაც იმ დღეს კი არ ითამაშა, იომა. მასპინძლებმა ერთობ უხეშად დაიწყეს და კინაღამაც დაისაჯნენ — კანტონამ ბათის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გააფუჭა. მიუხედავად ამისა, სტუმართა გამარჯვება არავის აეჭვებოდა და 25-ე წუთიდან „ბლექბერნის“ განადგურება დაიწყო. მასპინძელთა მიერ შეხვედრის მიწურულს გატანილმა მეორე გოლმა ანგარიშში სხვაობალა შეამცირა და საბოლოო შედეგს სოლიდურობა შესძინა, თორემ „ბლექბერნი“ იმ დღეს აშკარად ვერ მოვიდოდა ძალუმად მოთამაშე „მანჩესტერთან“.

### დერბი ქაუნთი 2:1 ასტონ ვილა

**დერბი:** ჰოლტი, როუეტი, ს. პაუელი, ვან დერ ლაანი (დ. პაუელი 79), სტარიჯი, ასანოვიჩი (სოლისი 79), უორდი (ვენზოპი 79), ტრილოპი, ლაურსენი, მაკგრათი, დეილი

**ასტონ ვილა:** ოუქსი, ნელსონი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ჰიუზი (იოაკიმი 74), ტეილორი, დრეიპერი (ჩურჩიჩი 63), თაუნსენდი, მილოშევიჩი, იორკი

**გოლი:** როუეტი (21), ვან დერ ლაანი (36), იოაკიმი (84)

„დერბის“ სეზონის დასაწყისში ისე რომ ეთამაშა, როგორც ამ ბოლო ტურებში, პრემიერლიგაში დასარჩენად კი არა, ევროტურნირებისთვის იბრძოლებდა. მასპინძლებმა სტუმრებს დასაწყისიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს და კარგი საყურებელი თამაშიც გაჩაღდა, თუმცა ბოლოში ფეხბურთელები ისე დაიღალნენ, ველარ დარბოდნენ. „დერბიში“ 72-ედ მოთამაშე გარი როუეტმა პირველი გოლი გაიტანა ამ კლუბში, მეორე გოლი მასპინძლებს საუთგეიტმა „აჩუქა“ — ვან დერ ლაანმა სწორედ მისი შეცდომით იხეირა.

### ევერტონი 1:0 ტოტენჰემი

**ევერტონი:** საუთჰოლი, ბარეტი, უოტსონი, ფელანი (ბოლი 46), სტიუარტი, რიდიუ, ფერგიუსონი, ტომსენი, დანი, ბრენზი (ბარმბი 58), სპიდი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ედინბურგი, კალდერვუდი, ნილსენი (ოსტინი 32), ვეგა, კემპბელი, კარი (ფოქსი 51), სკაილზი (ფინი 46), დოზელი, შერინგემი, როზენტალი

**გოლი:** სპიდი (11)

ლივერპულელთა მოთამაშე-მწვრთნელმა დეივ უოტსონმა პირველი სამი ქულა მოიპოვა. ნაადრევმა გოლმა სტუმრები კი დააბნია, მაგრამ გონსაც მალე მოეგნენ და საუთჰოლს არაერთი უსიამოვნო წუთი განაცდევინეს. პირველ ნახევარში „ევერტონის“ შეტევებს ძირითადად ტრავმამოშუშებული რიდიუ ხელმძღვანელობდა, სტუმართაგანაც იძულებით დასვენებული და ახლაღა ათამაშებული შვეიცარიელი მცველი რამონ ვეგა გამოირჩეოდა. მე-20 წუთზე საუთჰოლმა შერინგემს მკვდარი ბურთი აუღო, ამან კი ისეთი გინება ატეხა, არბიტრმა გააფრთხილა. შეხვედრის ბოლოს საუთჰოლმა ნერვებაშლილი შერინგემი მთლად ჭკუიდან გადაიყვანა, როცა ზედიზედ ორჯერ სხვადასხვა კუთხეებში დარტყმული არ გაატანინა.

### საუთჰემპტონი 2:0 ვესტ ჰემი

**საუთჰემპტონი:** ტეილორი, დოდი, ლუნდეკვამი, ვან გობელი, ბენალი, ხლეიტერი, ოსტენსტადი, ბერკოვიჩი (ნილსონი 72), ევანსი, ოუკლი (დრაიდენი 54), მეჯილტონი

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, რიპერი (დაუი 46), ჰოლი, ბილიჩი, პოტსი, ლომასი, ბიშოპი (პორფირიუ 46), ჰიუზი, კიტსონი, როულენდი (ლაზარიდისი 79), ჰარტსონი

**გოლი:** ევანსი (13), ბერკოვიჩი (36)

**გაძევება:** დოდი (44)

აუტსაიდერებმა დროის მეტი ნაწილი ბურთის ცენტრში გორებას მოანდომეს, რამაც თამაშს ყოველგვარი ელფერი დაუკარგა. „საუთჰემპტონს“ „ვესტ ჰემისთვის“ ხუთი სეზონია, ვერ მოეგო და, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. ის კი არა, დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება, მაგრამ ლე ტისიეს არყოფნაში პენალტი მეჯილტონმა დაარტყა, ახალგამომცხვარ პენალტისტს კი ჩეხმა მიკლოშკომ იოლად აუღო.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 33 | 19 | 9 | 5 | 66:38 | 66 |
| არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 57:28 | 63 |
| ლივერპული | 33 | 18 | 9 | 6 | 55:30 | 63 |
| ასტონ ვილა | 34 | 16 | 8 | 10 | 43:30 | 56 |
| ნიუკასლი | 32 | 15 | 9 | 8 | 61:38 | 54 |
| შეფილდი | 33 | 13 | 14 | 6 | 44:39 | 53 |
| ჩელსი | 33 | 13 | 10 | 10 | 52:50 | 49 |
| უიმბლდონი | 32 | 12 | 10 | 10 | 42:40 | 46 |
| ტოტენჰემი | 34 | 12 | 6 | 16 | 40:46 | 42 |
| დერბი ქაუნთი | 34 | 10 | 12 | 12 | 41:51 | 42 |
| ლიდსი | 32 | 11 | 8 | 13 | 26:34 | 41 |
| ევერტონი | 34 | 10 | 10 | 14 | 40:49 | 40 |
| ლესტერი | 33 | 10 | 10 | 13 | 38:47 | 40 |
| ბლექბერნი | 32 | 8 | 12 | 12 | 35:35 | 36 |
| ქოვენთრი | 34 | 8 | 12 | 14 | 32:48 | 36 |
| საუთჰემპტონი | 34 | 8 | 10 | 16 | 45:53 | 34 |
| ვესტ ჰემი | 33 | 8 | 10 | 15 | 31:43 | 34 |
| სანდერლენდი | 34 | 8 | 10 | 16 | 31:51 | 34 |
| მიდლსბრო | 32 | 9 | 9 | 14 | 44:52 | 33 |
| ნოტინგემი | 34 | 6 | 13 | 15 | 29:52 | 31 |


გინდათ იყოთ ჯანმრთელი?
გინდათ გქონდეთ ლამაზი აღნაგობა?
გინდათ გქონდეთ ლამაზი სახის კანი?

მოგვმართეთ!!!

☎ 98-58-97

დარეკეთ 9⁰⁰-დან 12⁰⁰-მდე

ან 20⁰⁰-დან სანამ არ დაგვიკავშირდებით


## პირველი დივიზიონი

### ვესტ ბრომვიჩი 1:3 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი, ბრაითველი, ჰორლოკი, მაკგოლდრიკი (კლაფი 31), ბრენენი, კერნაგენი, საიმონსი, სამერბი, ატკინსონი (ყაველაშვილი 84), ქინქლაძე, როსლერი (ინგრემი 69)

**გოლი:** როსლერი (3, 35), ჰორლოკი (23), მერფი (45)

მანჩესტერელებმა, შესაძლოა, საუკეთესო საგარეო მატჩი ჩაატარეს ამ სეზონში. ქინქლაძის ჩაწოდების წყალობით როსლერმა მესამე წუთზევე თაურით დააწინაურა თავისიანები. მალე ჰორლოკმაც თაურით გააორმაგა სხვაობა, 35-ე წუთზე კი იმავე როსლერმა სამერბის გადაცემით ანგარიში მასპინძელთათვის კატასტროფული გახადა. პირველ ტაიმშივე მერფიმ ერთი გოლი გაქვითა, მეორეში კი აღარაფერი მომხდარა.

**ტურის სხვა მატჩები:** ბარნსლი — ჩარლტონი 4:0, ბირმინგემი — ჰადერსფილდი 1:0, ბოლტონი — ოქსფორდი 4:0, ნორვიჩი — სტოკ სიტი 2:0, პორტ ველი — ოლდემი 3:2, პორტსმუთი — ტრანმერი 1:3, ქუინზ პარკი — გრიმსბი 3:0, რედინგი — ვულვერჰემპტონი 2:1, შეფილდ იუნაიტედი — კრისტალ პალასი 3:0, საუთენდი — ბრედფორდი 1:1, სვინდონი — იფსვიჩი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 43 | 27 | 12 | 4 | 94:50 | 93 |
| ბარნსლი | 41 | 20 | 13 | 8 | 68:45 | 73 |
| ვულვზი | 42 | 20 | 9 | 13 | 61:47 | 69 |
| შეფილდი | 43 | 19 | 11 | 13 | 73:51 | 68 |
| პორტ ველი | 43 | 17 | 15 | 11 | 56:50 | 66 |
| იფსვიჩი | 42 | 17 | 13 | 12 | 63:49 | 64 |
| ნორვიჩი | 43 | 17 | 11 | 15 | 63:63 | 62 |
| ტრანმერი | 42 | 17 | 11 | 14 | 58:53 | 62 |
| პორტსმუთი | 42 | 18 | 8 | 16 | 53:48 | 62 |
| კრისტალ პალ. | 41 | 16 | 12 | 13 | 69:44 | 60 |
| ქუინზ პარკი | 43 | 16 | 12 | 15 | 59:57 | 60 |
| ბირმინგემი | 42 | 15 | 13 | 14 | 47:47 | 58 |
| სტოკ სიტი | 42 | 16 | 10 | 16 | 47:53 | 58 |
| ჩარლტონი | 42 | 15 | 10 | 17 | 49:60 | 58 |
| სიტი | 41 | 15 | 9 | 17 | 53:53 | 54 |
| რედინგი | 42 | 14 | 12 | 16 | 52:59 | 54 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 13 | 14 | 16 | 65:70 | 53 |
| სვინდონი | 43 | 15 | 8 | 20 | 52:67 | 53 |
| ოქსფორდი | 43 | 14 | 9 | 20 | 57:65 | 51 |
| ჰადერსფილდი | 43 | 12 | 13 | 18 | 46:60 | 49 |
| ბრედფორდი | 42 | 10 | 12 | 20 | 43:68 | 42 |
| გრიმსბი | 41 | 9 | 12 | 20 | 52:75 | 39 |
| ოლდემი | 42 | 9 | 12 | 21 | 48:62 | 39 |
| საუთენდი | 43 | 8 | 15 | 20 | 40:76 | 39 |

## თასის ნახევარფინალები

### მიდლსბრო 3:3 ჩესტერფილდი

**მიდლსბრო:** რობერტსი, ვიკერსი, ემერსონი, კინდერი, მასტო, ფესტა, ფლემინგი, ჰინეტი (მური 115), ბექი (ბლექმორი 39), ჟუნინიო, რავანელი

**გოლი:** მორისი (54), დეიში (60 პ), რავანელი (64), ჰინეტი (70 პ), ფესტა (100), ჰევიტი (119)

**გაძევება:** კინდერი (37)

მეორე დივიზიონში მეცამეტე ადგილზე მყოფმა „ჩესტერფილდმა“ არად ჩააგდო ზემდგომი მეტოქე და პირველივე წუთებიდანვე მედგრად დაუხვდა, მეორე ტაიმში კი კინაღამ მოუგო კიდეც. უინტერესო და უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ (რომელშიც პრემიერლიგელები ათნი დარჩნენ) გოლების წვიმა წამოვიდა. ჯერ ქვედადივიზიონელებმა იძალეს — დეივის რობერტსს გასცდა, მაგრამ კარში დარტყმას პასი ამჯობინა და არც შემცდარა — მორისმა ათი-თერთმეტი მეტრიდან უნაკლოდ დაარტყა. ექვს წუთში გოლის ავტორმა ფესტასთან ბურთისთვის ბრძოლაში პენალტსაც გამოჰკრა ხელი და დეიშმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. სტუმართა ფანებს გაგიჟებამდე ცოტაღა აკლდათ, მაგრამ რავანელიმ დააწყნარა — ბლექმორის პასით გაიტანა. მალე ანგარიში გათანაბრდა კიდეც — დეიშმ ჟუნინიოს საჯარიმოში მხარი გაჰკრა, ბრაზილიელი დაეცა, მსაჯმა პენალტი დანიშნა, ჰინეტმა კი გაქვითა. დარჩენილმა 20 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და დამატებითი დროც დაინიშნა. მე-100 წუთზე ვიკერსმა შორიდან ლონივრად დაარტყა, მერსერმა ბურთი ვერ დაიჭირა, უხეიროდ მოგერიებულს კი ფესტამ ბადეში მიუჩინა ადგილი. დრო ნელ-ნელა იწურებოდა, „მიდლსბროს“ ფინალში გასვლა აღარავის ეეჭვებოდა. მაგრამ, ისევე როგორც ლიგის თასის ფინალში, რობსონის გუნდს იღბალმა ამჯერადაც უმტყუნა: საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე ჰევიტის თავმა „ჩესტერფილდს“ „უემბლიზე“ თამაშის შანსი შეუნარჩუნა. ამ დრამატული შეხვედრის გადათამაშება, ისევე როგორც ლიგის თასის ფინალისა, შეფილდის „ჰილსბროს“ სტადიონზე გაიმართება.

### უიმბლდონი 0:3 ჩელსი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, გეილი, პერი, ერდლი (ჰოლდსუორსი 63)

**ჩელსი:** გროდასი, ლებეფი, კლარკი, უაიზი, იონსენი, ნიუტონი, სინკლეირი, ბარლი, ჰიუზი, დი მატეო, ძოლა

**გოლი:** ჰიუზი (43, 90), ძოლა (64)

რამდენიმე მარცხის შემდეგ „ჩელსიმ“, როგორც იქნა, იმარჯვა. ჩელსელებს ყველაფერი გამოსდიოდათ. „უიმბლდონი“ კი, მთელ იმედებს თასზე რომ ამყარებდა, უსახური იყო. მასპინძლებს ვერც იმან უშველა, რომ „ჩელსის“ პეტრესკუ და მინტო აკლდა. ტაიმის შუაშივე ნათელი გახდა, რომ „უიმბლდონი“ მეტოქის შეტევებს ვერ გაუძლებდა და ასეც მოხდა: ჰიუზის ორ გოლს შორის ძოლამაც იყოჩაღა და 17 მაისს „უემბლიზე“ თასის ფინალისტთაგან ერთი „ჩელსი“ იქნება.



უიმბლდონი — ჩელსი. ჩელსელმა იონსენმა წამით დაასწრო ეკოკუს

## პოლონეთი

24-ე ტური. პოლონია — გკს 1:1, ჰუტნიკი — ამიცა 0:0, სტომილი — რაკოვი 0:1, რუხი — ვიძევი 1:2, ოდრა — შლიონსკი 3:1, ბელხატოვი — ლეგია 0:1, ლეხი — სოკოლი 1:0, გურნიკი — ვისლა 3:1, ლკს — ზაგლებიე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 24 | 17 | 3 | 4 | 42:19 | 54 |
| ვიძევი | 24 | 15 | 6 | 3 | 45:13 | 51 |
| ოდრა | 24 | 12 | 4 | 8 | 40:32 | 40 |
| გკს | 24 | 10 | 10 | 4 | 33:26 | 40 |
| ამიცა | 24 | 11 | 5 | 8 | 30:30 | 38 |
| პოლონია | 24 | 10 | 5 | 9 | 26:31 | 35 |
| სტომილი | 24 | 10 | 4 | 10 | 32:30 | 34 |
| ლეხი | 24 | 9 | 7 | 8 | 29:27 | 34 |
| ლკს | 24 | 8 | 9 | 7 | 33:31 | 33 |
| ზაგლებიე | 24 | [illegible] | [illegible] | 3 | 29:29 | 32 |
| რაკოვი | 24 | [illegible] | [illegible] | 8 | 22:25 | 32 |
| ვისლა | 24 | 7 | 7 | 10 | 20:26 | 28 |
| გურნიკი | 24 | 7 | 5 | 12 | 24:34 | 26 |
| ბელხატოვი | 24 | 7 | 5 | 12 | 28:33 | 26 |
| ჰუტნიკი | 24 | 5 | 10 | 9 | 18:24 | 25 |
| რუხი | 24 | 4 | 10 | 10 | 22:28 | 22 |
| სოკოლი | 24 | 5 | 6 | 13 | 18:36 | 21 |
| შლიონსკი | 24 | 4 | 6 | 14 | 20:37 | 18 |

## თურქეთი

29-ე ტური. სარიერი — ტრაბზონი 1:1, ისთანბული — გალათასარაი 2:3, ფენერბაჰჩე — ქოჯაელი 0:0, გენჩლერბირლიგი — ბურსა 0:4, გაზიანთეფი — ზეითუნბურნუ 3:1, სამსუნი — ანთალია 2:1, დარდანელი — ვანსფორი 2:1, დენიზლი — ანკარაგიუჯუ 2:6, ალთაი — ბეშიქთაში 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 29 | 21 | 6 | 2 | 75:26 | 69 |
| ბეშიქთაში | 29 | 19 | 7 | 3 | 74:20 | 64 |
| ფენერბაჰჩე | 29 | 18 | 7 | 4 | 60:20 | 61 |
| ტრაბზონი | 29 | 18 | 5 | 6 | 58:31 | 59 |
| ბურსა | 29 | 15 | 6 | 8 | 44:28 | 51 |
| გაზიანთეფი | 29 | 12 | 8 | 9 | 33:37 | 44 |
| ისთანბული | 29 | 12 | 7 | 10 | 44:34 | 43 |
| ქოჯაელი | 29 | 10 | 11 | 8 | 29:25 | 41 |
| სამსუნი | 29 | 11 | 8 | 10 | 40:42 | 41 |
| ანთალია | 29 | 11 | 6 | 12 | 34:40 | 39 |
| გენჩლერბირ. | 29 | 10 | 5 | 14 | 29:39 | 35 |
| ანკარაგიუჯუ | 29 | 9 | 7 | 13 | 35:42 | 34 |
| სარიერი | 29 | 8 | 7 | 14 | 37:45 | 31 |
| დარდანელი | 29 | 8 | 6 | 15 | 29:51 | 30 |
| ალთაი | 29 | 7 | 9 | 13 | 26:54 | 30 |
| ვანსფორი | 29 | 5 | 7 | 17 | 20:48 | 22 |
| დენიზლი | 29 | 5 | 3 | 21 | 33:68 | 18 |
| ზეითუნბურნუ | 29 | 2 | 5 | 22 | 24:74 | 11 |

## გერმანია

XXVII ტური

**დუისბურგი 3:2 დორტმუნდი**
1:0 სალუ (8), 2:0 მარინი (47), 2:1 რიკენი (60), 3:1 ზაიერი (86 პ), 3:2 ცორკი (88 პ)

**შალკე 1:1 ვერდერი**
1:0 ლატალი (21), 1:1 ბოდე (59)

**შტუტგარტი 5:1 ჰანზა**
1:0 ბობიჩი (3), 2:0 ბალაკოვი (48), 3:0 ბალაკოვი (50), 4:0 ელბერი (71), 5:0 ჰაბერი (74), 5:1 რადეგანი (87)

**გლადბახი 4:3 ფრაიბურგი**
1:0 დალინი (3), 1:1 ვასმერი (22), 2:1 დალინი (23), 2:2 სპიში (31), 3:2 ლუპესკუ (50), 4:2 ფლიპსენი (57), 4:3 ვასმერი (88)

**ზანქტ პაული 0:0 მიუნხენ 1860**

**ბაიერნი 3:2 კიოლნი**
1:0 რიციტელი (42), 2:0 რიციტელი (49), 3:0 კლინსმანი (51), 3:1 შერი (79), 3:2 ზდებელი (89)

**არმინია 1:1 ჰამბურგი**
1:0 რეინა (13), 1:1 სალიჰამიჯიჩი (25)

**ლევერკუზენი 3:1 კარლსრუე**
1:0 კირსტენი (22), 1:1 დანდი (33), 2:1 მაიერი (66)

**ბოხუმი 3:1 ფორტუნა**

„კიოლნთან" 3:2 გამარჯვებით მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონის ტიტულს მიუჩოჩდა, მითუფრო, რომ მისმა კონკურენტმა „დორტმუნდმა" დუისბურგში იმავე ანგარიშით წააგო. კიოლნელთა ორმა გვიანმა გოლმა ბავარიელებს ვერაფერი დააკლო, რადგან მანამდე, 17 წუთში გატანილი სამი გოლით გვარიანი უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული.

„ბაიერნის" იტალიელმა ნახევარმცველმა რუჯერო რიციტელიმ 42-ე და 49-ე წუთებზე გატანილი გოლებით გაათუნა კიოლნელები, იურგენ კლინსმანმა კი, რომელიც სულ რამდენიმე დღეა, რაც მამა გახდა, მალევე მესამე დაამატა. მიუხედავად 0:3-სა, სტუმრებმა ძალები მოიკრიბეს და უვე შერისა და თომას ზდებელის გოლებით ფრეს მიუახლოვდნენ. ყველაზე ახლოს ქულის მოპოვებასთან ისინი მაშინ იყვნენ, იონ ვლადოიუმ რომ დაარტყა, მაგრამ „ბაიერნის" გოლკიპერმა ოლივერ კანმა ჩინებულად დაიცვა კარი და სამი ქულა.

„დორტმუნდს" კი, მართალია ტრავმათაგან შეთხელებულმა შემადგენლობამ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „მანჩესტერთან" გამარჯვებაში ხელი ვერ შეუშალა, სამაგიეროდ დუისბურგში დაატოვებინა 3 ქულა. მასპინძელთა შორის კაშკაშებდა სალუ, რომელმაც ერთი თავად შეაგდო, ორი კი გუნდელებს გაატანინა.

— არა უშავს, ჯერ კიდევ ოცდაერთი ქულაა საბრძოლველი, ასე რომ, შეჯიბრებას აზრი არ დაუკარგავს. დღეს ფეხი დაგვიცდა, ესე იგი, „ბაიერნი" გვყავს დასამარცხებელი — თქვა „დორტმუნდის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 27 | 17 | 7 | 3 | 50:26 | 58 |
| ლევერკუზენი | 27 | 16 | 5 | 6 | 53:33 | 53 |
| შტუტგარტი | 27 | 15 | 7 | 5 | 66:28 | 52 |
| დორტმუნდი | 27 | 16 | 4 | 7 | 55:33 | 52 |
| ბოხუმი | 27 | 10 | 10 | 7 | 40:40 | 40 |
| მიუნხენ 1860 | 27 | 10 | 9 | 8 | 45:41 | 39 |
| შალკე 04 | 27 | 10 | 9 | 8 | 32:32 | 39 |
| კარლსრუე | 27 | 10 | 8 | 9 | 43:36 | 38 |
| ვერდერი | 27 | 10 | 6 | 11 | 41:43 | 36 |
| გლადბახი | 27 | 10 | 5 | 12 | 31:35 | 35 |
| დუისბურგი | 27 | 9 | 8 | 10 | 33:40 | 35 |
| კიოლნი | 27 | 10 | 4 | 13 | 44:50 | 34 |
| ჰამბურგი | 27 | 7 | 10 | 10 | 38:44 | 31 |
| არმინია | 27 | 8 | 7 | 12 | 31:39 | 31 |
| ფორტუნა | 27 | 8 | 4 | 15 | 22:44 | 28 |
| ჰანზა | 27 | 7 | 6 | 14 | 29:41 | 27 |
| ზანქტ პაული | 27 | 7 | 6 | 14 | 31:47 | 27 |
| ფრაიბურგი | 27 | 4 | 3 | 20 | 30:62 | 15 |




დუისბურგი — დორტმუნდი. სტუმარი რაინჰარტი ამაოდ ცდილობს ხოტორა ემერლინგის გავლას

## მეორე ბუნდესლიგა

25-ე ტური: აინტრახტი — კარლ ცაისი 1:1, კაიზერსლაუტერნი — ლაიპციგი 4:1, მანჰაიმი — ურდინგენი 1:0, როტ ვაისი — გიუტერსლო 2:2, ლიუბეკი — ვოლფსბურგი 0:0, ფორტუნა (კიოლნი) — უნტერჰახინგი 3:1, ოლდენბურგი — ჰერტა 2:2, ცვიკაუ — მაინცი 0:0, მეპენი — კიკერსი წუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 25 | 13 | 9 | 3 | 47:17 | 48 |
| ჰერტა | 25 | 14 | 5 | 6 | 46:26 | 47 |
| ვოლფსბურგი | 25 | 9 | 12 | 4 | 32:21 | 39 |
| მაინცი | 25 | 9 | 11 | 5 | 36:26 | 38 |
| მეპენი | 24 | 9 | 10 | 5 | 31:27 | 37 |
| კიკერსი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:22 | 35 |
| უნტერჰახინგი | 25 | 7 | 14 | 4 | 23:20 | 35 |
| ურდინგენი | 25 | 10 | 4 | 11 | 37:30 | 34 |
| გიუტერსლო | 25 | 9 | 7 | 9 | 32:37 | 34 |
| ლაიპციგი | 25 | 9 | 6 | 10 | 38:44 | 33 |
| ფორტუნა | 25 | 8 | 8 | 9 | 41:34 | 32 |
| აინტრახტი | 25 | 8 | 8 | 9 | 30:31 | 32 |
| კარლ ცაისი | 25 | 6 | 12 | 7 | 31:33 | 30 |
| მანჰაიმი | 25 | 8 | 6 | 11 | 33:38 | 30 |
| ლიუბეკი | 25 | 5 | 11 | 9 | 21:35 | 26 |
| ცვიკაუ | 25 | 7 | 5 | 13 | 20:35 | 26 |
| ოლდენბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 28:52 | 22 |
| როტ ვაისი | 25 | 6 | 3 | 16 | 28:55 | 21 |

## ესპანეთი

XXXIII ტური

**სპორტინგი 1:2 ვალიადოლიდი**
0:1 ხარანდონა (64), 0:2 ფერნანდო სანჩესი (85), 1:2 ჩერიშევი (90)

**ლოგრონიესი 0:2 რეალი**
0:1 ვიქტორ სანჩესი (36), 0:2 რაული (67)

**სარაგოსა 2:0 ერკულესი**
1:0 გონსალესი (23), 2:0 რადიმოვი (82)

**კომპოსტელა 2:1 სელტა**
0:1 ბაიცეტიჩი (33), 1:1 პენევი (38), 2:1 ოჰენი (60)

**რასინგი 1:2 რაიო ვალეკანო**
1:0 ლოპესი (12), 1:1 კლიმოვიჩი (82 პ), 1:2 გილერმი (88)

**სოსიედადი 0:1 ბეტისი**
0:1 ვალდომინო (90)

**ატლეტიკო 2:5 ბარსელონა**
1:0 კიკო (15), 1:1 დე ლა პენია (40), 1:2 რონალდო (44), 1:3 რონალდო (60), 2:3 კიკო (63), 2:4 რონალდო (75 პ), 2:5 ფიგუ (88)

**ვალენსია 5:2 ბილბაო**
1:0 ორტეგა (2 პ), 2:0 ლეანდრო (3), 3:0 ორტეგა (26 პ), 4:0 მოია (29), 5:0 ლეანდრო (34), 5:1 ურსაისი (43), 5:2 ურსაისი (65)

**ტენერიფე 2:1 დეპორტივო**
1:0 ვივარ დორადო (10), 1:1 რივალდო (84), 2:1 ხუარესი (85)

**სევილია 0:0 ესტრემადურა**
ესპანიოლი — ოვიედო წუხელ გაიმართა

ლიდერმა „რეალმა" სტუმრად ძლივს სძლია „ლოგრონიესს", თუმცა არც მდევარი „ბარსელონა" ჩამორჩა, ჩემპიონი „ატლეტიკო" მადრიდში გაანადგურა და პირველობის დამთავრებამდე ცხრა ტურით ადრე შეიდქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. „ბარსას" ეს გამარჯვება მხოლოდ „რეალთან" ჭიდილისთვის როდი სჭირდებოდა, იგი „ბეტისთან" სამეორეადგილო ბრძოლისთვისაც იყო აუცილებელი, რადგან „სოსიედადთან" სტუმრად გამარჯვებით ეს უკანასკნელი კვალში უდგას და ჩემპიონთა ლიგის მომავალი გათამაშების ადგილს ეცილება.

პირველი გოლი „ატლეტიკომ" შეაგდო. მე-15 წუთზე დიეგო სიმეონემ კიკოს გადააწოდა, კიკომ კი კატალონიელთა გოლკიპერს ვიტორ ბაიას ბურთი თავზე ოსტატურად გადაუგდო. ასეთი ანგარიში თითქმის ტაიმის დასასრულამდე იდგა, თუმცა შესვენებას ხუთი წუთი რომ დააკლდა, ივან დე ლა პენიამ ბრწყინვალედ შესრულებული ჯარიმით გაათანაბრა ანგარიში. კიდევ ოთხ წუთში თავხოტორა ბარსელონელმა თავისნაირ რონალდოს გაუწია საგოლე ასისტენტობა. რონალდოს შესვენებამდე კიდევ ერთის გატანაც უნდოდა, მაგრამ პირველ ძელს მოხვდა.

მე-60 წუთზე ბრაზილიელმა მესამედ ააღონა „ატლეტიკო", თუმცა სამ წუთში სტუმართა კარის მცველმაც დამარცხება კიკოს დარტყმული ბურთი მოიგერია, მაგრამ კიკომვე დაამატა და სხვაობა ერთამდე დაიყვანა. აქ მადრიდელებს იმედი ჩაესახათ, რომელიც ფიგუმ მოუსპო. არა, პორტუგალიელს იმ წუთებში გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ მეტოქეთა რიცხვი ცხრა კაცამდე შეამცირა. ჯერ იყო და მასთან უხეშობისთვის სიმეონე გააძევეს, შემდეგ კი სანტი.

„ბარსელონა" სრულ გუნდს უგებდა და ორკაცნაკლულს რაღას უზამდა, — რონალდომ მალე პენალტით ჰეთ-თრიქი შეასრულა, ბოლოს კი ფიგუს ისეთი პოზიცია შეურჩია, რომ მას მეკარესთან შეატოვა პირისპირ.

— ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჯერ კიდევ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით — თქვა მატჩის შემდეგ „ბარსას" მწვრთნელმა ბობი რობსონმა — ვაჩვენეთ, რომ მეტოქის დაწინაურება ჩვენთვის პრობლემა არ არის.

— თამაშიდან თამაშამდე ვძლიერდებით — ამაყად განაცხადა რონალდომ.

ამრიგად, ამ ორი გუნდის ექვსმატჩიანი პაექრობა მიმდინარე სეზონში დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის სუპერთასზე „ბარსელონამ" „ატლეტიკოს" ჯამში 6:5 მოუგო (მადრიდში 1:3 დამარცხდა, შინ 5:2 გაიმარჯვა). ჩემპიონატის პირველი თამაში 3:3 დამთავრდა, თასზე კი მადრიდში ნათამაშევი 2:2-ს შემდეგ კატალონიის დედაქალაქში რობსონმა და მისმა რაზმმა 5:4 იმარჯვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 33 | 22 | 10 | 1 | 68:25 | 76 |
| ბარსელონა | 33 | 21 | 6 | 6 | 85:40 | 69 |
| ბეტისი | 33 | 19 | 10 | 4 | 71:34 | 67 |
| დეპორტივო | 33 | 17 | 12 | 4 | 49:24 | 63 |
| ატლეტიკო | 32 | 16 | 7 | 9 | 61:49 | 58 |
| ვალიადოლიდი | 33 | 14 | 9 | 10 | 46:38 | 51 |
| ბილბაო | 33 | 11 | 15 | 7 | 59:49 | 48 |
| ტენერიფე | 32 | 13 | 8 | 11 | 54:38 | 47 |
| სოსიედადი | 33 | 13 | 8 | 12 | 39:37 | 47 |
| ვალენსია | 33 | 13 | 7 | 13 | 52:47 | 46 |
| რასინგი | 33 | 10 | 12 | 11 | 38:38 | 42 |
| კომპოსტელა | 33 | 10 | 10 | 13 | 37:53 | 40 |
| სელტა | 33 | 9 | 12 | 12 | 39:42 | 39 |
| ოვიედო | 32 | 10 | 8 | 14 | 34:50 | 38 |
| სარაგოსა | 33 | 8 | 12 | 13 | 41:51 | 36 |
| რაიო | 33 | 10 | 6 | 17 | 33:47 | 36 |
| ესტრემადურა | 33 | 9 | 9 | 15 | 28:47 | 36 |
| სპორტინგი | 33 | 9 | 8 | 16 | 35:54 | 35 |
| ესპანიოლი | 32 | 9 | 7 | 16 | 34:46 | 34 |
| ერკულესი | 33 | 8 | 4 | 21 | 29:61 | 28 |
| ლოგრონიესი | 33 | 8 | 4 | 21 | 26:67 | 28 |
| სევილია | 33 | 7 | 6 | 20 | 29:56 | 27 |

იაპონიის ქალაქ კობეში გაიმართა სამხრეთამერიკული რეკოპას თასის ფინალი: სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელმა „ველეზ სარსფილდმა" პენალტების სერიით 4:2 სძლია ლიბერტადორესის თასის მფლობელი „რივერ პლეიტს". ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა. პირველი გოლი გამარჯვებულთა ბომბარდირმა მეკარე შილავერმა გაიტანა პენალტით, 82-ე წუთზე კი უბერებელმა ურუგვაელმა ენცო ფრანჩესკოლიმ გააყამა.

**მექსიკის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში 100 ათასი ქომაგის თანდასწრებით 6:0 გაანადგურა იამაიკის გუნდი და სათავეში ჩაუდგა შესარჩევ ჯგუფს. ერმოსილიომ ჰეთ-თრიქი შეასრულა. ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა გაირკვევა 20 აპრილს, როცა აშშ-ის ნაკრები მექსიკას უმასპინძლებს.**

საფრანგეთში შაბათს გამართული ლიგის თასის ფინალი „სტრასბური" — „ბორდო" 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში „სტრასბურმა" 6:5 გაიმარჯვა. წინა დღით ქვეყნის ჩემპიონატის შეხვედრაში „კაენმა" და „ბასტიამ" 2:2 ითამაშეს.

**გერმანიის თასის ნახევარფინალისტთაგან, რომლებიც სამშაბათს გაარკვევენ ურთიერთობას, ერთი ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის გუნდია. ქვეყნის თასის შარშანდელი ფინალისტი „კარლსრუე" ობერლიგაში მოთამაშე კოტბუსის „ენერგის" შეხვდება. ამ კლუბმა ნახევარფინალამდე მეორე ბუნდესლიგის ორი გუნდი და ბუნდესლიგის „ზანქტ პაული" და „დუისბურგი" ჩამოიშორა. კოტბუსელებს 1996 წლის 17 მარტის შემდეგ ზუსტად 52 შეხვედრა არ წაუგიათ, 153 გოლი შეაგდეს და მხოლოდ 18 გაუშვეს. მეორე ნახევარფინალში „შტუტგარტი" და „ჰამბურგი" ითამაშებენ.**

აზიაში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა. მეხუთე ჯგუფში ინდონეზიამ და იემენმა 0:0 ითამაშეს, მეშვიდეში ლიბანმა და სინგაპურმა 1:1.

**ბრაზილიაში, რიოს შტატის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი „მადეირასა" და „ფლამენგოს" შორის ჩხუბით დამთავრდა. მსაჯი და თანამსაჯი იმიტომ გაილახნენ, რომ „ფლამენგოს" მიერ ბოლო წამზე გატანილი გოლი ჩათვალეს, რითაც „მადეირამ" მოგება დაკარგა.**

## ფეხბურთის რუკასთან



გერმანელი ბერნდ შუსტერი მექსიკური „უნამიდან" წავიდა. ეს მას მერე, რაც მწვრთნელმა უთხრა, აწი მხოლოდ შეცვლებზე გათამაშებო. 36 წლის შუსტერმა ამ კლუბში მხოლოდ ცხრაჯერ ითამაშა, აქედან ექვსჯერ შეცვლაზე. შუსტერმა, ვისაც გერმანიის ნაკრებში 21-ჯერ უთამაშია, განაცხადა, „უნამი" ჩემი კარიერის ბოლო საფეხურიაო.

**ინდოეთში, ხუთთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერაყმა 3:1 მოუგო აზიის თამაშების ჩემპიონ უზბეკეთის ნაკრებს. მესამე ადგილისთვის მატჩში ჩინეთმა მასპინძლებს 2:1 სძლია.**

არგენტინელი დიეგო მარადონა ახლახან საავადმყოფოში მოათავსეს, რამაც ააგორა ჭორები, დიეგო ისევ ნარკოტიკებს მიეძალაო. თავად მან ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, ნარკოტიკები რა შუაშია, გული გამიხდა ცუდად და მდგომარეობის გართულებას აღარ დაველოდეო.

**არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ უარყო ხმები მასსა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონს შორის არსებულ უთანხმოებაზე. რამდენიმე დღის წინ გაზეთებმა დაწერეს, გრონდონა-პასარელას შეხვედრაზე ამათ კონფლიქტი მოუვიდათ, რაც კინაღამ ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდაო. ეს რომ პასარელამ გაიგო, ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რა კონფლიქტი, რის კონფლიქტი, საუბარმა მეტად მშვიდ, სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა და ფედერაციამ ნაკრების სათავეში დარჩენის ნება დამრთოო.**

იტალიელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს „ბაიერნის" მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი მომავალი სეზონიდან „რომას" უხელმძღვანელებს და ამ საქმის მოგვარებას მწვრთნელის ხელმოწერაღა აკლია. ამ ინფორმაციამ, ცხადია, მიუნხენის კლუბის ყურამდეც მიაღწია და მის თავკაცთა უკმაყოფილება გამოიწვია. ჰიონესმა, ვინ იცის უკვე მერამდენედ, უარჰყო ტრაპატონის „რომაში" გადასვლის შესაძლებლობა. მენეჯერს ფეხბურთელებმა აუბეს მხარი. ჰელმერმა თქვა, რა დროს მწვრთნელის წასვლაა, წელს ჩემპიონატი უნდა მოვიგოთო.

**შვეიცარიელმა მსაჯმა კურტ როტლისბერგერმა შარში გახვია მიუნხენის „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი. სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს კურტმა თქვა, ადრე ჰიონესს იმდენივე შევთავაზე, რაც „გრასჰოპერის" ხელმძღვანელობას, მაგრამ ამათგან განსხვავებით, ჰიონესი რატომღაც ჩუმად არისო. ახლა უეფას შეეპარა ეჭვი ჰიონესის ალალმართლობაში და განაცხადა, უახლოეს მომავალში, როგორც კი როტლისბერგერის და ჟუკის საქმეს მოვრჩებით, „ბაიერნსაც" მივხედავთო.**

ინგლისის „ნიუკასლმა" უარჰყო ხმები, თითქოს „ბარსელონამ" 20 მილიონი გირვანქა შესთავაზა შირერში. „ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, „ბარსელონასგან" არავითარი წინადადება მიგვიღია და შირერი ჩვენთან დარჩებაო, თან დასძინეს, შირერს არაფრის დიდებით არ გავყიდითო. ჭორების თანახმად, „ბარსელონას" შირერი რონალდოს შემცვლელად ეგულებოდა, რომელიც თურმე მომავალ სეზონში იტალიაში ითამაშებს. თავის მხრივ, კატალონიელთა კლუბის პრეზიდენტმა ნუნიესმა თქვა, მჯერა, რონალდო აქ თავს ბედნიერად გრძნობს და არსად წავაო.

# ბაჯომ ინგლისი ინდომა

29 წლის რობერტო ბაჯომ მტკიცედ გადაწყვიტა აპენინებიდან ალბიონზე გადაბარგდეს და ინგლისში გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ამბობს, იტალიაში ჩემს საფეხბურთო მომავალს ვერ ვხედავ და ვინძლო, ინგლისში გამიმართლოსო. ბაჯომ რავანელის, ძოლას და ექს-მილანელი პატრიკ ვიეირას მაგალითი მოიშველია. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბუდისტმა იტალიელმა თქვა: „ჩემი ოცნებაა ინგლისში ვითამაშო და მსოფლიოს ვაჩვენო, რომ, როგორც ფეხბურთელს, ჯერ კიდევ ბევრი შემიძლია. ჩემმა მეგობარმა ძოლამ დაამტკიცა, რომ სულაც არ არის აუცილებელი სერია A-ში ყოფნა, რათა „სკუადრა აძურაში" ითამაშო. „მილანში" გადასვლისას იმედებით ვიყავი სავსე, მაგრამ მოვიდა საკი და ყველა იმედი გაქრა. ბოლო ორი წელია, ვიტანჯები, ჩემი გამოუყენებელი შესაძლებლობები მოსვენებას არ მაძლევს."

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ რობერტოთი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „მანჩესტერ იუნაიტედი" და ლონდონის „არსენალი" დაინტერესდნენ, თუმცა ბაჯოს შესაძენად მეთოფეები უფრო აქტიურობენ. ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თქვა, ბაჯოში ცხრა მილიონ გირვანქაზე მეტს არ გადავიხდით და თუ „მილანს" ეს ხელს აძლევს, წინ რაღა დაგვიდგებაო. ვენგერმა დასძინა, თუ რობერტო „არსენალთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, „მილანს" ხუთი მილიონ გირვანქას მაშინვე გადავუხდით, იმ ოთხ წელიწადში კი დარჩენილ ვალს ნელ-ნელა გავისტუმრებთო.




რობერტო ბაჯო ძოლას დარად ინგლისში აპირებს წასვლას

## — ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ —

# ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲡᲓᲐᲡᲣ: ᲘᲡᲔᲕ ᲗᲐᲜᲐᲤᲐᲠᲓᲝᲑᲐ

ვერის ბაღი. 12 აპრილი.
ხუთეულის მესამე წრე

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ 90:82**

**დინამო:** ჟღენტი (7), ხოშტარია (16), კილაძე (15), ოთიურიძე (9), ბეჟანიშვილი (18); ჩიქოვანი (2), მაისურაძე (7), ნიკოლაძე, სხიერელი (2), მაჭარაძე (2), ნინიაშვილი (5), ცხვედიანი (7)
**შევარდენი:** ორჯონიკიძე (5), ჩხეიძე (16), გიგაური (16), წოწელია (21), ქევხიშვილი (13); ისაკაძე, მოისწრაფიშვილი (2), მაჭავარიანი (7), ცაგარეიშვილი (2)

დინამოელებმა ძალიან ადვილად, პირველსავე ტაიმში გადაწყვიტეს მატჩის ბედი. შევარდენელები მხოლოდ ერთხელ, პირველი ნახევრის მე-6 წუთზე მიუახლოვდნენ დინამოელებს (10:11), მაგრამ სულ მცირე ხნით. „დინამომ" 13 ქულის სხვაობით მოიგო ტაიმი და არც მეორე ნახევარში ჰქონია რაიმე პრობლემა.

ამ დღეს არ ჩატარდა ტურის მეორე თამაში რუსთაველებსა და სდასუს შორის — რუსთაველთა გუნდის ორი წევრი, ბოისა და წიკლაური ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე წასასვლელად ახალგაზრდულ ნაკრებში ემზადებოდა. ეს შეხვედრა მოგვიანებით ჩატარდება.

13 აპრილი.

**ᲕᲘᲗᲐ — ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ 107:79**

**ვითა:** უსტიაშვილი (9), კობეშავიძე (4), რეზო ჩხეიძე (10), ქარაბაკი (22), ბერუაშვილი (17); ტურაშვილი (6), ორმოცაძე (13), ნაცვლიშვილი (10), კოკოლიშვილი (3), ტულუში (6)
**შევარდენი:** მაჭავარიანი (3), გიორგი ჩხეიძე (31), წოწელია (16), გიგაური (18), ღვინეფაძე (7); ცაგარეიშვილი, მოისწრაფიშვილი (4)

ვითელებმა ისე ადვილად მოიგეს, ბრძოლის ჟინი ოდნავადაც ვერ დაიკმაყოფილეს. მათ უფროს მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს ერთადერთი ამოცანა ჰქონდა — ყველა ეთამაშებინა. შევარდენელთაგან კი გიორგი ჩხეიძემ გამოსცადა თავი ჩემპიონთან შეხვედრაში და კმაყოფილიც დარჩა — 31 ქულა მიითვალა.

**ᲓᲘᲜᲐᲛ — ᲡᲓᲐᲡᲣ 93:89**

**დინამო:** ნიკოლაძე, მაისურაძე (10), ცხვედიანი (19), მაჭარაძე (2), ბეჟანიშვილი (17); ჟღენტი (13), ხოშტარია (18), სხიერელი (4), კილაძე (6), ოთიურიძე (4)
**სდასუ:** აბრამიძე (12), დავითულიანი (24), მუშკუდიანი (7), ჩუბინიძე (11), დერიუგინი (31); ბერეკაშვილი (1), აბულაძე

„დინამომ" მშვენივრად დაიწყო: ცხვედიანმა და ბეჟანიშვილმა სამქულიანებით პირველივე წუთზე დააწინაურეს „დინამო". მე-6 წუთზე დავითულიანმა შეამცირა სხვაობა ერთ ქულამდე 12:13, მაგრამ „დინამო" ხოშტარიასა და ცხვედიანის ტყორცნებით სწრაფად გაშორდა მეტოქეს და სდასუ მხოლოდ მე-12 წუთზე მიუშვა ახლოს 30:29. ტაიმის ბოლოს კი დინამოელებმა ჩინებულად ითამაშეს და პირველი ნახევარი 14 ქულით მოიგეს 55:41.

ასევე დაიწყო მეორე ტაიმი. სტუდენტებიდან მხოლოდ დავითულიანი თამაშობდა კარგად. არ წაუვიდათ სროლები აბულაძეს და აბრამიძეს, ეტყობა, ჯერ ვერ შეეწყო ახალ გუნდს ბერეკაშვილი. „დინამოს" უპირატესობა მე-5 წუთზე 22 ქულით გამოიხატა 65:43. სტუდენტებმა სათადარიგოთა სკამზე დასვეს აბრამიძე და აბულაძე. დინამოელებმაც გაიყვანეს ბეჟანიშვილი და ხოშტარია და მატჩის ბედიც ყველას გადაწყვეტილი ეგონა. აქ კი მოხდა წარმოუდგენელი რამ: ყურადღებამოდუნებულ დინამოელებს სდასუს შეტევები დაატყდათ თავს: ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო დერიუგინმა, უიმედო მდგომარეობიდან ჩააგდო ბურთები დავითულიანმა და სხვაობა ნელ-ნელა შემცირდა. თითქოს დინამოელებიც არ იყვნენ ყურებჩამოყრილნი, მაგრამ სდასუმ ტემპი აკრიფა და მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ანგარიში 84:78-ია იყო „დინამოს" სასარგებლოდ. სდასუს მატჩის გადარჩენის იმედი გაუჩნდა, სტუდენტებმა მოედანზე დააბრუნეს აბრამიძე. ცხვედიანის სამქულიანით „დინამო" თითქოს საბოლოოდ დაწინაურდა, მაგრამ აქ დავითულიანის ბრწყინვალე გარღვევა და ანგარიში მინიმუმამდე მცირდება — 86:87 და ერთი წუთი დამთავრებამდე. სტუდენტები ჩქარობენ, აბრამიძე ვერ აგდებს სამქულიანს, შემდეგ ფარქვეშიდან ვერ იყენებენ კარგ მდგომარეობას და ორთაბრძოლაში მსაჯმა სადაო დანიშნა. იგი დინამოელებმა მოიგეს, ბურთი ჩააგდეს, შემდეგ მეორეც მიაყოლეს და აბრამიძის ბოლო სამქულიანს მატჩის ბედის შემოტრიალება აღარ შეეძლო. 93:89 გაიმარჯვა „დინამომ" და სდასუსთან პირადი ანგარიში გაქვითა 2:2.

**ᲙᲝᲢᲔ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

## — ᲰᲝᲙᲔᲘ —

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

11 აპრილი. აილენდერზი — ჰართფორდი 6:4, რეინჯერზი — ტამპა 2:4, ნიუ ჯერზი — ბოსტონი 2:0, ფლორიდა — პიტსბურგი 4:2, დეტროიტი — ოტავა 2:3, ჩიკაგო — კალგარი 7:3, დალასი — კოლორადო 1:2, ედმონტონი — ფინიქსი 2:6, სან ხოსე — ანაჰაიმი 3:4
12 აპრილი. ოტავა — ბუფალო 1:0, მონრეალი — ფილადელფია 3:3, ვაშინგტონი — აილენდერზი 6:2, ტორონტო — კალგარი 4:1, ვანკუვერი — ედმონტონი 5:4, ლოს ანჯელესი — სან ხოსე 4:1
13 აპრილი. ბოსტონი — პიტსბურგი 7:3, ჰართფორდი — ტამპა 2:1, ბუფალო — ვაშინგტონი 3:8, ფილადელფია — ნიუ ჯერზი 5:4, დეტროიტი — სენტ ლუისი 1:3, დალასი — ჩიკაგო 2:5, კოლორადო — ლოს ანჯელესი 2:4

ამ სამ დღეს სტენლის თასის კიდევ სამი მაძიებელი უნდა გამოევლინა. პირველად საგზური ჩიკაგომ გაიფორმა. პარასკევს „ქორებმა" შანსი არ დაუტოვეს კონკურენტ კალგარის და მწარე მარცხი აწვნიეს პირველ პერიოდში დაწინაურებულ მეტოქეს. ჩიკაგოელთაგან ჰეთ-თრიქი გააკეთა მთავარმა მეპასემ ჟამნოვმა (20), რომელიც აქამდე მაღალი შედეგიანობით არ გამორჩეულა.

აღმოსავლეთში კი თასის მონაწილეთა ვინაობა შაბათს გაირკვა, თუმცა ოტავამ მანამდეც გაიუმჯობესა მდგომარეობა, როდესაც დაძაბულ ბრძოლაში ერთ-ერთი ფავორიტი, დეტროიტი დაჯაბნა. ოტავას უმთავრესი მეტოქე ჰართფორდი კი მოულოდნელად დამარცხდა ნიუ იორკში. „კუნძულელთაგან" კვლავ პალფი (2 პასი) — რაიხელის (2+1) დუეტი გამოირჩა.

ამის შემდეგ ოტავასა და მონრეალის ბედ-იღბალი მათსავე ხელში აღმოჩნდა. ეს შანსი არცერთმა კლუბმა არ გაუშვა ხელიდან: მონრეალმა ფილადელფიასთან სასურველ ფრეს მიაღწია, ოტავამ კი, რომელსაც უშუალო კონკურენტი ტამპა მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებოდა და ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება, ორი უშედეგო პერიოდის შემდეგ მაინც მოახერხა ჰაშეკის კარის დალაშქვრა. საინტერესოა, რომ ოტავას და მონრეალს მოგებათა და ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ, მაგრამ რაკი „სენატორებმა" პირად შეხვედრებში დაჯაბნეს მეტოქე, კონფერენციის მეშვიდე ადგილი მათ ერგოთ.

აღნიშვნის ღირსია ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ლემიეს 50-ე შაიბა, რომელიც მან ფლორიდაში საჯარიმო დარტყმით შეაგდო. მარიომ მეექვსედ შეძლო 50 შაიბის გატანა და ასევე მეექვსედ გახდა საუკეთესო ბომბარდირი.

**ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** | | | | | | |
| ბუფალო | 82 | 40 | 12 | 39 | 237:208 | 92 |
| პიტსბურგი | 82 | 38 | 8 | 36 | 285:280 | 84 |
| ოტავა | 82 | 31 | 15 | 36 | 226:294 | 77 |
| მონრეალი | 82 | 31 | 15 | 36 | 249:276 | 77 |
| ჰართფორდი | 82 | 32 | 11 | 39 | 226:256 | 75 |
| ბოსტონი | 82 | 26 | 9 | 47 | 234:302 | 61 |
| **ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲐ** | | | | | | |
| ნიუ ჯერზი | 82 | 45 | 14 | 23 | 231:182 | 104 |
| ფილადელფია | 82 | 45 | 13 | 24 | 274:217 | 103 |
| ფლორიდა | 82 | 35 | 19 | 28 | 221:201 | 89 |
| რეინჯერზი | 82 | 38 | 10 | 34 | 258231 | 86 |
| ვაშინგტონი | 82 | 33 | 9 | 40 | 214:261 | 75 |
| ტამპა | 82 | 32 | 10 | 40 | 217:247 | 74 |
| აილენდერზი | 82 | 29 | 12 | 41 | 240:250 | 70 |
| **ᲪᲔᲜᲢᲠᲘ** | | | | | | |
| დალასი | 82 | 48 | 8 | 26 | 252:198 | 104 |
| დეტროიტი | 82 | 38 | 18 | 26 | 253:197 | 94 |
| ფინიქსი | 82 | 38 | 7 | 37 | 240:243 | 83 |
| სენტ ლუისი | 82 | 36 | 11 | 35 | 236:239 | 83 |
| ჩიკაგო | 82 | 34 | 13 | 35 | 223:210 | 81 |
| ტორონტო | 82 | 30 | 8 | 44 | 230:273 | 68 |
| **ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲔ** | | | | | | |
| კოლორადო | 82 | 49 | 9 | 24 | 277:205 | 107 |
| ანაჰაიმი | 82 | 36 | 13 | 33 | 245:233 | 85 |
| ედმონტონი | 82 | 36 | 9 | 37 | 252:247 | 81 |
| ვანკუვერი | 82 | 35 | 7 | 40 | 257:273 | 77 |
| კალგარი | 82 | 32 | 9 | 41 | 214:239 | 73 |
| ლოს ანჯელესი | 82 | 28 | 11 | 43 | 214:268 | 67 |
| სან ხოსე | 82 | 27 | 8 | 47 | 211:278 | 62 |

ფლეი-ოფის პირველ რაუნდში ერთმანეთს შეხვდებიან:

აღმოსავლეთი:
ნიუ ჯერზი — მონრეალი
ბუფალო — ოტავა
ფილადელფია — პიტსბურგი
ფლორიდა — რეინჯერზი

დასავლეთი:
კოლორადო — ჩიკაგო
დალასი — ედმონტონი
დეტროიტი — სენტ ლუისი
ანაჰაიმი — ფინიქსი

პირველი მატჩები დასავლეთში 16 აპრილს გაიმართება.

## ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

**ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1**
FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP
I ᲔᲢᲐᲞᲘ
ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ

# ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲒᲝ ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ

ჟაკ ვილნევის გამარჯვებით დასრულდა წლევანდელი ჩემპიონატის მესამე ეტაპი. ახალგაზრდა კანადელს რბოლისას არამარტო მოწინააღმდეგეებთან მოუხდა ბრძოლა, არამედ საკუთარი ბოლიდის გადაცემათა კოლოფთანაც, რომელიც გამართულად ვერ მუშაობდა და თითქმის მთელი რბოლის მანძილზე აფერხებდა პილოტს.

პარასკევს, თავისუფალ ვარჯიშზე საუკეთესო ვილნევი გახლდათ — 1.25,755. ეს დრო თითქმის ოთხი წამით უკეთესია, ვიდრე შარშან ალეზის მიერ დამყარებული რეკორდი. შედეგით კმაყოფილმა კანადელმა განაცხადა, რომ გუნდს საკმაო სამუშაო ელოდა, ხანგრძლივი, დაძაბული რბოლისთვის ბოლიდის მოსამზადებლად. მეორე შედეგი — 1.26,693 „სტიუარტ-ფორდის" პილოტმა რუბენს ბარიჩელომ აჩვენა, რაც ერთობ მოულოდნელი იყო, მესამე კი ფრანგი პანი (პროსტ მუგენ-ჰონდა) გახლდათ.

შაბათს, კვალიფიკაციისას ვილნევი კვლავ ყველაზე სწრაფი იყო — 1.24,473. მან თანაგუნდელ ფრენცენს თითქმის ერთი წამით აჯობა, შარშანდელი პოულის მფლობელის ჰილის დრო კი თითქმის 6 წამით გააუმჯობესა. მესამე საუკეთესო დრო პანიმ აჩვენა — 1.25,491 და „ბრიჯსტოუნის" საბურავებს წლევანდელ სეზონში საუკეთესო შედეგი მოუტანა. კვლავ ჩინებულად იასპარეზა ბარიჩელომ და თავის გუნდს პირველად მოუპოვა ადგილი პირველ ექვსეულში. მისმა შეფმა, გამოცდილმა ჯეკი სტიუარტმა კი ბრაზილიელის მეხუთე სასტარტო პოზიციას „ფანტასტიური" უწოდა. მეექვსე რალფ შუმახერი იყო.

სუსტად ჩაატარეს კვალიფიკაცია „ბენეტონის" (მე-11 და მე-12 სასტარტო პოზიციები) და „მაკლარენის" (მე-10 და მე-17 პოზიციები) პილოტებმა და გასწრებისთვის მოუხერხებელ ტრასაზე ქულებისთვის ბრძოლა გაირთულეს.

ვილნევმა თავის გუნდს მე-100 პოული მოუტანა, თავად კი ამ სეზონში ზედიზედ მესამე პოული ირგუნა. ჟაკმა განაცხადა, რომ მის ბოლიდს ყველაფერი რიგზე აქვს, თუმცა იქვე დასძინა, რომ თავად ვერ გრძნობდა თავს კარგად და ეს გაუძნელდა 72 წრის ცხელ, ჰუმიდურ პირობებში გავლას.

განლაგება სტარტზე:

ვილნევი (უილიამს-რენო) 1.24,473; ფრენცენი (უილიამს-რენო) 1.25,271; პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1.25,491; მ. შუმახერი (ფერარი) 1.25,773; ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 1.25,942; რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო) 1.26,218; ირვინი (ფერარი) 1.26,327; ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) 1.26,564; ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) 1.26,619; კულჰარდი (მაკლრენ-მერსედესი) 1.26,799; ალეზი (ბენეტონ-რენო) 1.27,076; ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1.27,259; ჰილი (ეროუზ-იამაჰა) 1.27,281; ლარინი (ზაუბერ-ფერარი) 1.27,690; მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) 1.28,035; ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) 1.28,094; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.28,135; ტრული (მინარდი-ჰარტი) 1.28,160; სალო (ტირელ-ფორდი) 1.28,224; ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1.28,366; კატაიამა (მინარდი-ჰარტი) 1.28,413; დინიცი (ეროუზ-იამაჰა) 1.28,969;

სტარტზე პირველობა ვილნევმა არავის დაუთმო, მას თანაგუნდელი მიჰყვა. ამათ უკან კი იგივე განმეორდა, რაც პირველ ეტაპზე: ირვინმა კარგად აიღო სტარტი, უმცროსი შუმახერიც ჩამოიტოვა, შემდეგ პანის ისე ჩაუქროლა, რომ ფრანგს ისღა დარჩენოდა, ტრასიდან გადასულიყო. საბედნიეროდ, ამ ადგილას ბოქსებიდან გამოსასვლელი იყო და ოლივიეს „პროსტი" ასფალტზე დარჩა, თუმცაღა, ბარიერს ძლივს აუარა გვერდი. მარჯვენა მოსახვევის წინ უფროსი შუმისა და ბარიჩელოს წინ აღმოჩნდა და მართვის დამახასიათებელი ტრაექტორიით ლამობდა მოსახვევის გავლას. ამისათვის არაფერს ერიდებოდა და ახალგაზრდა ბრაზილიელი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი აძულა კიდეც, რომ დამუხრუჭებულიყვნენ. შუმი „სტიუარტ-ფორდის" უკანა მარჯვენა ბორბალს გამოედო, ბრაზილიელის ბოლიდი დააბზრიალა, მის წინა ნაწილს შეეჯახა და რბოლაც დაასრულა. ბარიჩელომ წინა ფრთა შეჯახების ადგილას დატოვა, მაგრამ ბოქსებამდე მისვლა და რბოლის გაგრძელება მოახერხა, თუმცა, ტრასაზე მხოლოდ 24 წრე დაჰყო. კულჰარდი კი ნამსხვრევებით მოფენილ ტრასაზე მოცურდა და რბოლაც მიატოვა.

ტრასაზე პეის-კარი გამოჩნდა და სამი წრის განმავლობაში მწყემსა ბოლიდთა ქარავანი. ტრასა ნამსხვრევებისგან გაიწმინდა. რესტარტის შემდეგ კი პირველი ექვსეული ასე გამოიყურებოდა. ვილნევი, ფრენცენი, პანი, ირვინი, ფისიჩელა, ჰილი. ვილნევი თანაგუნდელს 1,784 წამს უგებდა, მაგრამ მალე გერმანელმა ტემპი შეანელა და ცოტა ხანში რბოლასაც გამოეთიშა. მეორეზე პანიმ გადაინაცვლა და წრის რეკორდიც — 1.29,090 დაამყარა. კანადელმა თითქოს საფრთხე იგრძნო და სიჩქარეს უმატა. მე-15 წრეზე კი უკვე 4.431 წამს უგებდა მდევარს.

პირველი ექვსეულის ზურგში ალეზი უტევდა ჰილს, მაგრამ კარგა ხანს ვერაფერი გააწყო. ერთ-ერთ მარჯვენა მოსახვევში შესვლისას გადაასწრო კიდეც, მაგრამ მკვეთრად დამუხრუჭდა და დაიბზრიალდა, ჰილს კი შეჯახების თავიდან ასაცილებლად ბალახზე გასეირნება მოახდა. ამით ისარგებლა მდევარმა — დინიც — ვერსტაპენ — ჰაკინენ — ბარიჩელოს ოთხეულმა და ორივე ჩამოიტოვა. მე-18 წრეზე პანიმ რბოლა შეწყვიტა და მეორე ადგილი ირვინის გადაულოცა.

პიტ-სტოპზე პირველი ვილნევი შევიდა — 7,5 წამი, და ტრასაზე კვლავ ირვინის წინ, 0,991 წამის უპირატესობით დაბრუნდა. ირვინი პიტ-სტოპიდან 7,3 წამში გამოისტუმრეს, მაგრამ რამდენიმე ადგილით მაინც უკან დაიწია. 25-ე წრეზე რალფ შუმახერმა და ფიზიკელამ ვერ გაიყვეს მოსახვევი და იტალიელი ქულის მიღებაზე ოცნებას გამოემშვიდობა.

პიტ-სტოპების სერიის დამთავრების შემდეგ პირველი ექვსეული ასეთი გახლდათ: ვილნევი, რალფ შუმახერი, ირვინი, ჰერბერტი, ჰაკინენი, ალეზი. ფრანგი პილოტი ჰაკინენის დაწევას ცდილობდა და ორჯერ გააუმჯობესა წრის რეკორდი.

მალე პიტ-სტოპების მეორე სერიაც დაიწყო და უმცროსმა შუმიმ მეხუთეზე გადაინაცვლა, ხოლო ვილნევმა პირველობა ირვინს დაუთმო.

ვილნევმა ტემპს მოუმატა, რეკორდიც რამდენჯერმე გააუმჯობესა და მალე ირვინს 20,820 წამით გაასწრო, ორი წრის შემდეგ კი სხვაობამ 22,343 წამი შეადგინა. კანადელმა მესამე პიტ-სტოპისთვის მარაგი შეიქმნა და ბოქსებშიც მხოლოდ 7,2 წამით შეყოვნდა. ტრასაზე დაბრუნების შემდეგ კი 4,23 წამიანი უპირატესობაც შეინარჩუნა.

ამის შემდეგ სურათი შეიცვალა: ირვინმა სიჩქარეს უმატა, სხვაობა 0.522 წმ-მდე შეამცირა, წრის რეკორდიც — 1.27,981 დაამყარა და ვილნევის გამარჯვებაც სათუო გახადა.

კანადელმა მოახერხა მცირე უპირატესობის შანარჩუნება, საკმაოდ მშვიდად [illegible] მიიყვანა კიდეც საქმე — [illegible] ლეს საფეხურზე ავიდა. [illegible] პრიზის მას [illegible] არგენტინის პრეზიდენტის მშვენიერმა ასულმა გადასცა. მესამე ადგილი ჩემპიონატის დებიუტანტმა რალფ შუმახერმა დაიკვა და დაამტკიცა, რომ ედი ჯორდანი ტყუილად არ თვლის მას დიდი მომავლის მქონე პილოტად. ეს ახალგაზრდა გერმანელის პირველი პოდიუმია და „ჯორდანის" პირველი ქულები წლევანდელ სეზონში, თანაც, საიუბილეო მე-100 რბოლაში.

ამ ეტაპმა დაგვანახა, რომ უპირატესობა „უილიამსს" აქვს, მაგრამ იგი ისეთი თვალშისაცემი აღარ არის, როგორც ადრე იყო. მომდევნო რამდენიმე გუნდი კი თითქმის თანაბარი დონისაა და არც ჩემპიონატის დებიუტანტები (გუნდებიც და პილოტებიც) არიან ხელწამოსაკრავი ძალა. ეს კი საინტერესო ასპარეზობას გვპირ-

| | | |
|---|---|---|
| 13 აპრილი. ბუენოს-აირესი „ოსკარ გალვესი" | | |
| დისტანცია: 72 წრე — 306,680 კმ | | |
| 1. | ვილნევი (უილიამს-რენო) | 1:52.01,715 10 ქულა |
| 2. | ირვინი (ფერარი) | 1:52.02,694 6 ქულა |
| 3. | რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო) | 1:52.13,804 4 ქულა |
| 4. | ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) | 1:52.31,634 3 ქულა |
| 5. | ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) | 1:52.32,066 2 ქულა |
| 6. | ბერგერი (ბენეტონ-რენო) | 1:52.33,108 1 ქულა |
| 7. | ალეზი (ბენეტონ-რენო) | 1:52.58,074 |
| 8. | სალო (ტირელ-ფორდი) | 1:52.58,521 |
| 9. | ტრული (მინარდი-ჰარტი) | 1:53.28,445 |
| 10. | მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) | 3 წრით |
| საუკეთესო წრე: ირვინი (ფერარი) 1:27,981 | | |
| რბოლას გამოეთიშნენ: | | |
| | ლარინი (ზაუბერ-ფერარი) | 63 წრე |
| | დინიცი (ეროუზ-იამაჰა) | 50 წრე |
| | ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 49 წრე |
| | ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) | 43 წრე |
| | კატაიამა (მინარდი-ჰარტი) | 37 წრე |
| | ჰილი (ეროუზ-იამაჰა) | 33 წრე |
| | ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) | 24 წრე |
| | ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) | 24 წრე |
| | პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 18 წრე |
| | ფრენცენი (უილიამს-რენო) | 4 წრე |
| | მ. შუმახერი (ფერარი) | 0 წრე |
| | კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) | 0 წრე |

**პირადი პირველობა:**

1. ვილნევი (უილიამს-რენო) — 20 ქულა; 2. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) — 10; 3. ბერგერი (ბენეტონ-რენო) — 10; 4. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) — 9; 5. მ. შუმახერი (ფერარი) — 8; 6. ირვინი (ფერარი) — 6; 7. პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) — 6; 8. რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო) — 4; 9. ჰერბერტი (ზაუბერი) — 3; 10. ლარინი (ზაუბერი) — 1; 11. ალეზი (ბენეტონ-რენო) — 1.

**გუნდური პირველობა:**

1. უილიამს-რენო 20 ქულა 2. მაკლარენ-მერსედესი 19; 3. ფერარი 14; 4. ბენეტონ-რენო 11; 5. პროსტ-მუგენ-ჰონდა 6; 6. ჯორდან-პეჟო 4; 7. ზაუბერ-ფერარი 4


REUTERS

ჭიდაობა



# სასიძო მსოფლიოს ჩემპიონობას აპირებს

ვერ ვიტყვით, ნუგზარ სხიერელი საჭიდაო ხალიჩაზე ბრწყინავდაო, თუმცა საქართველოსა თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გარკვეულ წარმატებას მაინც მიაღწია. ჭაბუკობა მოილია თუ არა, მაშინვე მწვრთნელობას მიჰყო ხელი და რაც თვითონ ვერ მოიგო, იმ ტიტულების მოგება თავის შეგირდებს დაუსახა მიზნად. არაერთი სახელოვანი ფალავანი გამოზარდა, მაგრამ დათო პოლოსიანი მაინც გამორჩეულად უყვარს: როცა 7 წლის ბუნჩულა ბავშვი გორის საჭიდაო დარბაზში მიუყვანეს, ნუგზარ სხიერელს გაეცინა, თითისტოლა ბიჭს, აბა, რას შეატყობ, მოჭიდავე დადგება თუ არა, მაგრამ ალღოიანი მწვრთნელის თვალს არ გამოჰპარვია ახალბედას მონდომება და თანდაყოლილი უჩვეულო სიძლიერე. მასწავლებლისა და შეგირდის მონდომებამ მალე ნაყოფიც გამოიღო — დათო პოლოსიანმა ჭაბუკობაშიც და ახალგაზრდობაშიც ყველაფერი მოიგო, რაც მოსაგები იყო — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ საქართველოს კიდევ ერთი სასახელო თავისუფალი სტილის ფალავანი მოევლინოდა, მაგრამ მოულოდნელად დათო გაქრა სარბიელიდან: ხანგრძლივმა ავადმყოფობამ კარგა ხანს ჩამოაცილა სარბიელს, მაგრამ ჯიუტი ხასიათით თავისი გაიტანა და კვლავ დაუბრუნდა ხალიჩას. დაუბრუნდა, ორიოდ ტურნირიც მოიგო და... შარშან ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ნეკნი გაიტეხა და კვლავ იძულებითმა დასვენებამ მოუწია. მაგრამ ჟინმა და შრომისმოყვარეობამ ისევ შეაძლებინა ერთი შეხედვით შეუძლებელი: ფორმაც აღიდგინა, საქართველოს ნაკრებში დაკარგული ადგილიც დაიბრუნა, წელს ორ საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა და ორჯერვე წარმატებით — ელდარ კურტანიძესთან ერთად დათო პოლოსიანმა კრასნოიარსკისა და კიევის საერთაშორისო შეჯიბრებებზე ტოლი არავის დაუდო და ორივე ჩემპიონად დაგვიბრუნდა. ახლაც, კარსმომდგარი ევროპის ჩემპიონატის წინ პოლოსიანი ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად ითვლება.

**— დათო, უიღბლობამ მრავალჯერ შეგიშალა ხელი წარმატების მიღწევაში, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობიდან ყოველთვის აღწევდი თავს. ვის და რას უმადლი ამას?**

— ხასიათი მაქვს ისეთი, რომ არანაირ დაბრკოლებას არ ვეპუები. ყოველთვის მჯერა — თუ ვიშრომებ და წინაღობას შევეჭიდები, უთუოდ გავიმარჯვებ. ოჯახის წევრებიც ყოველთვის ხელს მიწყობდნენ, რათა ჭიდაობის გარდა არაფერზე მეფიქრა. რა თქმა უნდა, ჭიდაობაში ჩემს ორგზის დაბრუნებაში უდიდესი წვლილი ჩემს პირად მწვრთნელს ნუგზარ სხიერელს მიუძღვის. იგი ჩემთან ერთად ეჭიდებოდა ყველა ჩემს პრობლემას და ყველა გასაჭირში თან მახლდა.

**— წლევანდელი სეზონი საკმაოდ მოულოდნელი წარმატებებით დაიწყე. არადა, როგორც ვიცი, კრასნოიარსკის საერთაშორისო ტურნირზე შენს წაყვანას მწვრთნელები არც აპირებდნენ...**

— ნაკრების ხელმძღვანელებსაც არ გაემტყუნებოდათ: ძნელია, ძირითად გუნდში ადგილი ახალ-ტრავმამოშუშებულ მოჭიდავეს ანდო, თანაც ასეთ პრესტიჟულ ტურნირზე. მაგრამ მენდნენ და მეც გავუმართლე ნდობა. ეს შეჯიბრება ერთგვარი გამოცდა იყო — რომ არ მომეგო, კიდევ კარგა ხანს მომიწევდა ნაკრებში ადგილის ძიება. არადა, ჩემპიონობას კი არა, ჩემგან პრიზიორობასაც ცოტა ვინმე თუ ელოდა.

**— მგონი, კრასნოიარსკშიც და კიევშიც ისე გაიმარჯვე, ქულაც კი არ დაგიკარგავს.**

— მარტო კრასნოიარსკში დავთმე 4 ქულა, ისიც უმახანოვთან ნახევარფინალში. დანარჩენ შეხვედრებში არცერთი ქულა არ დამიკარგავს. სწორედ უმახანოვი მიმაჩნია ჩემს ყველაზე უხერხულ მეტოქედ. ჩემნაირად ჭიდაობს, — ძალისმიერად, ოღონდ ნაირ-ნაირი ილეთების გამოყენებით.

**— უმახანოვის გარდა ვის მიიჩნევ შენს ძირითად კონკურენტებად?**

— ფილას რეიტინგით ჩემს წონაში — 58 კილოგრამში თურქი დოგანი ლიდერობს და, ბუნებრივია, უპირველესი კონკურენტი ეგ არის. ასევეა ევროპის ორგზის ჩემპიონი ბულგარელი ბორზაკოვიც. შამილ უმახანოვზე მოგახსენეთ. ამ სამეულთან მომიწევს, ალბათ, ურთიერთობის გარკვევა. ევროპის პირველობაზე ჩემპიონი, ალბათ, ამ ჩვენი ოთხეულიდან ერთი გახდება.

**— კანადელი ქართველი გივი სისაურიც შენს წონაში ჭიდაობს. იგი, ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს, მაგრამ კრასნოიარსკში ხომ შეხვდი მას. თანაც ევროპის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატია და ალბათ, ჩემპიონობის მაძიებელთა ამ ოთხეულს სისაურიც დაემატება. ისიც შევიტყვე, კრასნოიარსკის ტურნირის ფინალში პოლოსიანმა სისაურს რომ მოუგო, საჩემპიონო პრიზი — 5 000 დოლარი, როგორც მეგობარსა და ყოფილ თანამემამულეს, ძმურად გაუყოო.**

— რადგან გცოდნიათ, მეც წვრილად გეტყვით: ფინალის წინ გივი მოვიდა ჩემთან და მითხრა: ჩემპიონი 5 000 დოლარს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული კი ათასს. მოდი, ჭიდაობით კი ვიჭიდაოთ, მაგრამ ეს 6 000 დოლარი შუაზე გავიყოთ, რომ გულნაკლულნი არცერთი დავრჩეთო. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ეს ჩემი პირველი ტურნირი იყო, ფულის გულისთვის ნამდვილად არ ვჭიდაობდი, ოღონდ მომეგო ეს ფინალი და ფულს არ დავეძებდი. ამიტომაც დავთანხმდი გივის. ფინალი 4:0 მოვიგე. მივედი და ჩემი წილი 5 000 დოლარიდან 2 000 მივეცი. მართალია, ბოლო მომენტში იუარა, მაგრამ არ მოვეშვი, სიტყვა სიტყვა იყო. მე რომ წამეგო, ალბათ გივიც ჩემსავით მოიქცეოდა.

**— კი მაგრამ, კანადის მოქალაქეს რა სჭირდა საიმისო, რომ პრიზის გაყოფაზე მოგირიგდა? მითუმეტეს, ოლიმპიადის მესამე პრიზიორს ამდენი ხნის უჭიდავებელი პოლოსიანისა, წესით, არ უნდა შინებოდა.**

— ვერ გეტყვით, კაცია და გუნებაო, ნათქვამია. თავისი საქციელის ახსნა გივისთვის ნამდვილად არ მითხოვია. ისე, რადგან კანადაში ცხოვრობს, არ გეგონოთ, ფული თავზე გადასდის. ჩემთან შედარებით შესაძლოა სოლიდური, მაგრამ კანადის კვალობაზე საკმაოდ მოკრძალებული ხელფასი აქვს. ჩემსავით ტურნირებზე მოგებული პრიზებით ირჩენს თავს.

**— შენ თუ გაქვს ხელფასი და რამდენი?**

— თებერვლის მერე ხელფასი არ ამიღია. მაშინაც 80 ლარი მომცეს. იქნებ არ დაიჯეროთ — კრასნოიარსკში 7 ლარით წავედი. ახლა ამბობენ, სპორტის დეპარტამენტი სოლიდური სტიპენდიების გაცემას აპირებსო. მეც მპირდებიან, ვნახოთ, რა იქნება.

**— გეტყობა, ხელმოკლედ ცხოვრობ. ასეთ დროს ტიტულოვანი და პერსპექტიული სპორტსმენები უცხოეთს მიაშურებენ ხოლმე და იქაურ კლუბებში ასპარეზობენ, ზოგი სულაც უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე ხდება. გივი სისაური და ზაზა ზოზიროვიც ხომ ასე მოიქცნენ. აგერ, ელდარ კურტანიძეც კი აპირებს მაკედონიისა ან გერმანიის კლუბის სახელით ასპარეზობას. შენ არ გქონია მიწვევები საზღვარგარეთიდან?**

— გერმანიაში ყოფნისას ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებაც მქონდა, მაგრამ ცოტა გვიან ჩავედი, გუნდი უკვე დაეკომპლექტებინათ. გერმანიის ჭიდაობის თავკაცებმა რომ გაიგეს ჩემი იქ ყოფნის ამბავი, ქალაქ ვიტენში, სადაც მე ვცხოვრობდი, კაცი აფრინეს. საუკეთესო პირობები შემომთავაზეს, რომ იტყვიან, მართლა ხელისგულზე ტარებას შემპირდნენ, ოღონდ, გერმანიის მოქალაქე გახდიო. თან ამ ფორმალობის მოგვარებასაც თვითონ კისრულობდნენ — ისე ვიზამთ, ვითომ რომელიღაც შენი წინაპარი დედის ან მამის მხრიდან გერმანელი იყოო. უარი ვუთხარი. ისევ აქ გორში ცხოვრება მირჩევნია და ჩემი გაჭირვებული ქვეყნის სახელით ასპარეზობა. ან, უცხოეთის კლუბში გამოსვლას კი სამომავლოდ არ გამოვრიცხავ, მითუმეტეს, ეს სულაც არ არის დასაძრახი.

**— გერმანელთა გარდა, სხვას არ უცდია შენი გადაბირება?**

— რუსები და უკრაინელებიც ცდილობდნენ ჩემს დაყოლიებას, მაგრამ მათაც ეს ვუთხარი, საქართველოს არ მივატოვებ-მეთქი. გერმანიაში არ დავრჩი და იმათთან რა მინდოდა?

**— შენს ყველაზე დიდ ქომაგად ვინ გეგულება?**

— რა თქმა უნდა, ჩემი მწვრთნელები — ნუგზარ სხიერელი და მერაბ მუზიაშვილი. ოჯახის წევრებიც ყველა ჩემი ქომაგი არ არის? — მშობლები, დები.

**— თანაგუნდელთაგან ვისთან მეგობრობ?**

— ელდარ კურტანიძესთან და ემზარ ბედინეიშვილთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. გუნდში ძალიან თბილი და მეგობრული ვითარებაა. ეს ზაზა თურმანიძემ შეძლო ამგვარი ატმოსფეროს დამკვიდრება და გუნდის ერთ მუშტად შეკვრა. მიუხედავად იმისა, რომ ჭიდაობა ინდივიდუალური სახეობაა, გუნდის ერთსულოვნება თითოეული მოჭიდავის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა.

**— 23 წლისა ხარ. დაოჯახებაზე არ ფიქრობ?**

— ჯერ არა. ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონი არ გავხდები, ცოლს არ მოვიყვან. ეს იცის ჩემმა რჩეულმაც და ჩემს ჩემპიონობას ელოდება.

**— რომ გაგითხოვდეს?**

— არც ეგეთი მიამიტი ვარ. ჩემზე საკმაოდ უმცროსი გოგო შევარჩიე, რათა სამ-ოთხ ჩემპიონატზე მაინც ვცადო ბედი.

**— ღმერთმა ნუ ქნას და, საერთოდ რომ ვერ გახდეთ მსოფლიოს ჩემპიონი?**

— 2000 წლამდე დავიცდი, თუ არ გამიმართლა, უცოლოდ ხომ არ დავრჩები — შევირთავ.

**— სპორტსმენი სულ მოგზაურობაშია, ამიტომ კურიოზულ ვითარებაში ხშირად ხვდება ხოლმე. ხომ არ გაიხსენებდი რაიმე თავშესაქცევ ამბავს?**

— კი ვცდილობ, ნაკლებად მოვხვდე კურიოზულ სიტუაციაში, მაგრამ მეც არაერთი შემთხვევია სასეირო ამბავი. ერთხელ ზამთარში ლიკანში ვიყავი შეკრებაზე. საღამოს ვარჯიშის შემდეგ ჩემს ოთახში ავედი დასაძინებლად. შუქი არ იყო, სანთელი ავანთე რადიომიმღებზე დავდგი და ლოგინში შევძვერი. მარტო ვიყავი ოთახში, ბიჭები გაკრეფილნი იყვნენ სასტუმროდან. ღამე გამომეღვიძა, საშინლად მცხელოდა, ოფლში ვიყავი გაწუწული. კი გამიკვირდა, ამ შუა ზამთარში ასე რატომ დაცხა-მეთქი, მაგრამ გვერდი ვიცვალე და ძილი განვაგრძე. ბიჭების ყვირილმა გამაღვიძა — თურმე სანთლიდან ცეცხლი რადიოს მოსდებია, გემდეგ კარადას, იატაკს და მთელი ოთახი იწვოდა, მე კი არხეინად მეძინა. ძლივს ჩავაქრეთ ხანძარი. მახსოვს, სასტუმროს ადმინისტრაციამ მაშინდელი 30 მანეთით დამაჯარიმა.

**— ერთი თვეც არ დარჩა პოლონეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატამდე. ამჟამად როგორ ფორმაში ხართ? რამდენად რეალურად მიგაჩნიათ თქვენი ჩემპიონობა?**

— ახლახან ბორჯომიდან, ნაკრების შეკრებიდან დავბრუნდი და იქიდან წელის ტკივილი და ზედმეტი 4-5 კილოგრამი გამოვიყოლე. მაგრამ მაისის დამდეგისთვის ეჭვი არ მეპარება, საუკეთესო ფორმაში ვიქნები და ევროპის ჩემპიონატზეც მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ...

— იშვიათია დათო პოლოსიანისთანა უიღბლო, მაგრამ მტკიცე ხასიათის სპორტსმენი. ღმერთმა ქნას, ბედმა წელს მაინც არ უმუხთლოს, რისი შნო და უნარიც აქვს, ის რგებოდეს და მის რჩეულსაც დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებოდეს — წელსვე მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყოს და ცოლიც შეერთოს.

**ლევან ჯავახიშვილი**

ძიუდო

# ასეთი ჯერ არ გვინახავს

24 მაისს ახალი ეტაპი დაიწყება ქართული ძიუდოისთვის. ამ დღეს ქართული კლუბი პირველად მიიღებს მონაწილეობას ევროპის თასის გათამაშებაში. პირველ წრეში თბილისის „შევარდენი“ ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკის კლუბს „ბანკა დუბროვაჩკას“ შეხვდება. მატჩი თბილისში გაიმართება და სპორტის სასახლეში 13 საათზე დაიწყება. თუ „შევარდენმა“ წარმატებით გაიარა პირველი წრე, მეორე წრის შეხვედრასაც თბილისში გამართავს. აქვე დავძენთ, რომ ფეხბურთისა და კალათბურთისგან განსხვავებით, ძიუდოში ევროთასზე ერთი მატჩი იმართება.

ხორვატებმა უკვე გამოგვიგზავნეს თავიანთი შემადგენლობა. მართალია, ქვემოთ ჩამოთვლილი ძიუდოისტებიდან დუბროვნიკელები „შევარდენის“ წინააღმდეგ მხოლოდ შვიდ ათლეტს გამოიყვანენ, მაგრამ მეტოქის ავკარგიანობაზე მსჯელობა ამ სიის მიხედვითაც შეიძლება. აქვე „შევარდენის“ შემადგენლობასაც გთავაზობთ.

**ბანკა დუბროვაჩკა (დუბროვნიკი, ხორვატია)**

| ძიუდოისტი | დაბადების წელი | მოქალაქეობა |
|---|---|---|
| იგორ იანკოვიჩი | 1968 | ხორვატია |
| ნათიქ ბაგიროვი | 1964 | ბელარუსი |
| იგორ კოლიევი | 1967 | ბელარუსი |
| მარკო სენტიჩი | 1976 | ხორვატია |
| არსენ აივაზიანი | 1971 | რუსეთი |
| დეიან ვოლტარტი | 1970 | ხორვატია |
| დავორ ბენდერი | 1974 | ხორვატია |
| ლეონარდო ბულიჩი | 1970 | ხორვატია |
| ივან ობერანი | 1967 | ხორვატია |
| არმენ ბაღდასაროვი | 1972 | უზბეკეთი |
| ქარიმ ჰებიბი | 1978 | ხორვატია |
| ქერიმ კოჯაგა | 1975 | ხორვატია |
| ელი ბაიურინი | 1969 | ხორვატია |
| ტამერლან ტმენოვი | 1977 | რუსეთი |
| ინდრეკ პერტელსონი | 1971 | ესტონეთი |



არმენ ბაღდასაროვი (ზემოდან) ოლიმპიადის ფინალში

**შევარდენი (თბილისი, საქართველო)**

| | | |
|---|---|---|
| ნესტორ ხერგიანი | 1975 | საქართველო |
| თემურ გივიაშვილი | 1978 | საქართველო |
| გიორგი ვაზაგაშვილი | 1974 | საქართველო |
| ზურაბ სამუკაშვილი | 1972 | საქართველო |
| კობა თადიაშვილი | 1973 | საქართველო |
| ქართლოს თედიაშვილი | 1976 | საქართველო |
| დავით ნადარაია | 1978 | საქართველო |
| ზაზა გულიაშვილი | 1972 | საქართველო |
| გიორგი ჭაბუკაშვილი | 1976 | საქართველო |
| სოსო ლიპარტელიანი | 1971 | საქართველო |
| ვასილ ომარაშვილი | 1972 | საქართველო |
| გია გუგავა | 1978 | საქართველო |
| მევლუდ ლობჟანიძე | 1968 | საქართველო |
| დავით ხახალეიშვილი | 1971 | საქართველო |
| რამაზ ჩოჩიშვილი | 1975 | საქართველო |



**ხორვატებს მრისხანე ქართველები: ხახალეიშვილი, ლიპარტელიანი (ზემოთ) და ვაზაგაშვილი დახვდებიან**

ხორვატი ეროვნების ძიუდოისტების გვარები არაფერს გეუბნებათ და ამაში გასაკვირი არაფერია. სამაგიეროდ, დუბროვნიკელთა ლეგიონერები დიდ თუ არა, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. თავად განსაჯეთ: ბაგიროვი სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ძიუდოში მსოფლიოს მესამე პრიზიორია (1995), ბაღდასაროვი — ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (1996), ოსი ტმენოვი — მსოფლიოს ჩემპიონია ახალგაზრდებში (1996), პერტელსონი კი ევროპის ჩემპიონია (1996). კოლიევსა და აივაზიანს კი რამდენიმე დიდ საერთაშორისო ტურნირზე აქვთ მოპოვებული წარმატება. თუმცა, ევროპის ძიუდოს კავშირის კანონით, კლუბს ორ უცხოელზე მეტის გამოყვანის უფლება არა აქვს. ასე იყო აქამდე, მაგრამ არ არის გამორიცხული, „ბოსმანის წესი“ ძიუდოზეც გავრცელდეს.

ჩვენი გუნდი რას წარმოადგენს, თავად მიხვდებოდით. ოლიმპიური ჩემპიონის ხახალეიშვილის, ოლიმპიური პრიზიორის ლიპარტელიანის და ევროპის ჩემპიონის ვაზაგაშვილის შემადგენლობაში ყოფნა, თავისთავად, მრავლისმთქმელი ფაქტია.

დაველოდოთ 24 მაისს იმ იმედით, რომ ევროთასებზე ქართველი ფეხბურთელ-კალათბურთელ-ხელბურთელების დაკლებულს ძიუდოისტები ანაზღაურებენ.

## ველორბოლა

# თანასოფლელის წყალი გადაესხა

პარიზი — რუბე ურთულეს ერთდღიან რბოლადაა ცნობილი. მისი მოგება დიდი პატივია. ბელგიელ როჟე დეფლემინკს მასში ოთხჯერ გაუმარჯვნია, მის დიდ თანამემამულე ედი მერქსს კი — ოდენ სამჯერ.

კვირას გამართული მორიგი პარიზი — რუბე იმავდროულად თითოდღიანი რბოლების წლევანდელი მსოფლიო თასის III ეტაპიც იყო. შეჯიბრს მზიანი, მშრალი დარი შეხვდა, რის გამოც ქვაფენილზე მოასპარეზეებმა მტვერი ბლომად ყლაპეს.

რბოლა სენსაციურად დასრულდა. გაიმარჯვა 25 წლის ფაქტობრივად უცნობმა ფრანგმა ფრედერიკ გედონმა, ვინაც ტანით 185 სანტიმეტრია, 72 კილოს იწონის, პროფესიონალი მხოლოდ მესამე სეზონია და უკვე მესამე გუნდში ირიცხება.

პარიზი — რუბე (266 კმ): 1. ფრედერიკ გედონი (საფრანგეთი, ფრანსეზ-დე-ჟო), 2. ჯო პლანკერტი (ბელგია, ლოტო), 3. იოჰან მიუზეუვი (ბელგია, მაპეი), 4. ანდრეი ჩმილი (უკრაინა, ლოტო), 5. დავიდე კაზაროტო (იტალია, ზკრინიო), 6. როლფ სორენსენი (დანია, რაბობანკი), 7. მარკ ვაუტერსი (ბელგია, ლოტო) და 8. ფრედერიკ მონკასენი (საფრანგეთი, გან) ყველა 6 საათი: 38 წუთი. 10 წამი; 9. როლფ ალდაგი (გერმანია, ტელეკომი) ჩამორჩა 14 წამით; 10. ჰენკ ფოგელსი (ავსტრია, გან) .25

რბოლის შარშანდელი გამარჯვებული და მსოფლიო ჩემპიონი მიუზეუვი, ორივე წინა ეტაპზე რომ დაეცა, ამჯერად ბოლომდე ყოჩაღად მიდიოდა, თუმც კი ბოლო 40 კილომეტრზე საბურავი ორჯერ დაეშვა. ჯგროდან გაქცევა მანამდე ბევრმა სცადა, მაგრამ ფინიშამდე 13 კმ რომ დარჩა, 1994 წლის გამარჯვებულმა ჩმილმა და მონკასენმა მაშინღა ივარგეს. მდევრები ლტოლვილებს ბოლო 750 მეტრზე, რუბეს ველოტრეკზეღა წამოეწივნენ.

გაჩაღდა საფინიშო სპრინტი. ფავორიტ მიუზეუვს გედონის გარდა პლანკერტმაც გაუსწრო. წინა ეტაპის — ფლანდრიის ტურის გამარჯვებულმა სორენსენმა პარიზ — რუბეში 1991 წლის შემდეგ პირველად იასპარეზა, VI ადგილი დაიჭირა და მსოფლიო თასის ლიდერობაც შეინარჩუნა.

მსოფლიო თასი: სორენსენი 156 ქულა; ერიკ ცაბელი (გერმანია) და გედონი 100; პლანკერტი და მონკასენი 94; კაზაროტო 87; ჩმილი 80; ალბერტო ელი (იტალია) 70; მიკელე ბარტოლი (იტალია) 64; მიუზეუვი 63

გამარჯვებული გედონი საფრანგეთის ჩრდილოდასავლეთი კუთხიდან — ბრეტონიდანაა. მის სოფელ სანტ-მეენ-ლე-გრანში დაბადებულა დიდი ლუიზონ ბობე, ვისაც პარიზი — რუბე 1956 წელს მოუგია, „ტურ-დე-ფრანსი“ კი — სამჯერაც!

მსოფლიო თასის შემდეგი შეჯიბრი „ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟი“ (ბელგია) ამ კვირასვეა.

## ჩოგბურთი

# ეგებ ორშაბათს გამოიდაროსო

კვირას იშვიათი რამ მოხდა ჰონკონგის „ვიქტორია პარკში“, „სეილემის“ ღია პირველობის ფინალში, რომელშიც მაიქლ ჩანგი (აშშ, 1) პატ რაფთერს (ავსტრალია, 5) ეთამაშებოდა. ამერიკელმა ორმაგ მატჩპოინტს რომ უწია (6:3, 5:3 და 40-15), ისეთმა წვიმამ დაუშვა, რომ თამაში შეწყდა და ორშაბათისთვის გადაიდო. იგივე ბედი ეწია წყვილთა ფინალსაც.

ატპ-ის ტურის წარმომადგენლებმა ვერაფრით გაიხსენეს მსგავსი შემთხვევა. საქმე კი მართლაც ცუდად იყო: გუშინ რომ არ გამოედარა, ფინალი გაუქმდებოდა.

ბედად, ორშაბათს აღარ უწვიმია. ჩანგმაც მეორე მოწოდებით მართლაც მოიპოვა სანუკვარი ქულა და პირველი პრიზი. წყვილთა ფინალში ჩეხებმა მარტინ დამმა და დანიელ ვაჩეკმა 6:3, 6:4 დაამარცხეს კარსტენ ბრააში (გერმანია) და ჯეფ თარანგო (აშშ).

ტურნირი წვიმამ ერთობ გააჯანჯლა. ფინალში პირველად II ხელის დასაწყისში წამოჟინჟლა და თამაშიც 45 წუთით შეფერხდა. მეტიც, ხუთშაბათს რომ იწვიმა, ამის გამო ზოგ მოთამაშეს პარასკევს ერთბაშად ორმა მატჩმა უწია. ამ ვითარებაშიც ივარგა 24 წლის კალიფორნიელმა (აშშ) ბრაიან მაკფიმ, რომელმაც ჯერ 7:6 (7-2), 6:2 დაამარცხა მარკ როსე (შვეიცარია, 2), მერე კი მეოთხედფინალი 6:3, 6:3 მოუგო სებასტიან ლაროს (კანადა).

სხვა მეოთხედფინალები: ჩანგი (1) — დავიდ პრინოზილი (გერმანია, 7) 6:1, 7:6 (7-5), თომას იოჰანსონი (შვედეთი, 4) — ჯასტინ გიმოლსთობი (აშშ) 6:4, 6:4, რაფთერი (5) — თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, 3) 6:3, 6:1. ნახევარფინალები: ჩანგი — იოჰანსონი 7:6 (7-5), 6:4, რაფთერი — მაკფი 6:1, 3:0, მერე მაკფის მკლავი ატკივდა და დანებდა. 1994 წლის ფინალშიც ჩანგმა რაფთერი ძლია.

ჩენაიში (ყოფილ მადრასში; ინდოეთი) ერთობ ცხელოდა. მონაწილენი მოედნის უხეირო საფარსაც უჩიოდნენ. კვირის ფინალში შვედმა მიქაელ თილსტრომმა (6) ბოლოსღა მოიკრიბა ძალა, 6:4, 4:6, 7:5 ძლია ალექს რადულესკუ (გერმანია, 5) და კარიერის პირველი ტიტული — „გოლდენ ფლეიქი“ (ოქროს ბურბუშელა) მოიპოვა.

მეოთხედფინალები: რადულესკუ (5) — მალ ვოშინგთონი (აშშ, 3) 6:3, 6:4, ანდრეი პაველი (რუმინეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი, 7) 6:0, 6:2, თილსტრომი (6) — ჯონათან სთარქი (აშშ, 4) 6:4, 6:3, ჟერარ სოლვეზი (საფრანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4, 1:6, 6:2. ნახევარფინალები: რადულესკუ — სოლვეზი 6:3, 6:2, თილსტრომი — პაველი 6:3, 6:4; რადულესკუსავით გერმანიის ბინადარმა პაველმა ტურნირს გამოთიშა რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 1). წყვილთა ფინალი: მაეშ ბუფათი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — ოლეგ ოგოროდოვი (უზბეკეთი) და ეიალ რანი (ისრაელი) 7:6, 7:5

კვირის მშვენება მაინც ეშტორილის (პორტუგალია) ღია პირველობა იყო, ეროვნულ სტადიონზე რომ გაიმართა. მისით ევროპაში სათიხნარო სეზონი გაიხსნა. რუსი ევგენი კაფელნიკოვი (1) და სამხრეთაფრიკელი ვეინ ფერერა (3) თავიდანვე გავარდნენ, ნახევარფინალში კი ოთხი ესპანელი გავიდა, თუმც კი



ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლინდზი დავენპორტმა ფლორიდაში ისე მოიპოვა წლის მესამე ტიტული, რომ ხუთ მატჩში ერთი ხელიც არ წაუგია

ასოშიეთიდ პრესი

მათ შორის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი კარლოს მოია (2) არ ერია.

მეოთხედფინალები: ფელიქს მანტია (ესპანეთი, 4) — ალბერტო ბერასატეგი (ესპ, 5) 6:1, 6:3, ალექს კორეჩა (ესპ, 6) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 4:0 (ფრანგს ზურგი ატკივდა), ფრანსისკო კლავეტი (ესპ, 7) — მოია (2) 6:1, 6:3, ხავიერ სანჩესი (ესპ, 8) — გილბერტ შალერი (ავსტრია) 6:0, 4:1 (კაფელნიკოვის მძლეველ ავსტრიელს კუნთი გაეჭიმა). ნახევარფინალები: კორეჩა — სანჩესი 6:3, 6:1, კლავეტი — მანტია 3:6, 7:5, 6:0

ფინალში კორეჩა ორივე ხელს აგებდა — 1:3 და 2:5, მაგრამ საათსა და 45 წუთში მაინც გაიმარჯვა 6:3, 7:5 და კარიერის მეორე ტიტული მიითვალა. მას პირველ ჯერზე 1994 წელს ბუენოს-აირესში უმარჯვნია.

ემილია-აილენდში (ფლორიდა) 11-თვიანი ნავსი ვერაფრით გატეხა ესპანელმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ (2) და ტურნირი ვერც ამჯერად მოიგო. იგი მეოთხედფინალში 6:2, 6:1 დაანგრია ავსტრალიის პირველობის ფინალისტმა, ფრანგმა მარი პირსმა (11).

სხვა მეოთხედფინალები: ლინდზი დავენპორტი (აშშ, 6) — იანა კანდარი (გერმანია) 6:2, 6:2, ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 12) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 9) 6:2, 6:4, ივა მაიოლი (ხორვატია, 8) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) 1:6, 6:3, 6:3. ნახევარფინალები: დავენპორტი — კუტცერი 7:5, 6:2, პირსი — მაიოლი 2:6, 7:5, 7:6 (7-5)

ფინალი: დავენპორტი — პირსი 6:2, 6:3. ლინდზის 79 ათასი დოლარი ერგო, მარის — 31 500.

წყვილთა ფინალი: დავენპორტი და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — ნიკოლ არენდტი (აშშ) და მანონ ბოლეგრაფი (ჰოლანდია) 6:3, 6:0

## რაგბი

### ზე-12-ის სერიალი

VII კვირა: 11. 04. ვაიქათო (ზელანდია) — ნატალი (აფრიკა) 15:33; 12. 04. ოქლენდი (ზელ) — კანბერა (ავსტრალია) 41:29, ახალი სამხრეთი უელსი (სიდნეი, ავსტ) — ნარინჯი (აფრ) 36:11, ოთაგო (ზელ) — ქენთებრი (ზელ) 37:29, პაუტენპი (იოჰანესბურგი, აფრ) — ჩრდილოეთი ტრანსვაალი (პრეტორია, აფრ) 16:16, ქვინზლენდი (ბრისბენი, ავსტ) — ველინგთონი (ზელ) 29:47

ოქლენდი 25 ქულა (6 თამაშიდან); ნატალი 24 (6); პაუტენპი 22 (6); კანბერა 22 (7); ველინგთონი 17 (6); ახ. სამხრ. უელსი 16 (6); ნარინჯი 14 (7); ვაიქათო 12 (6); ჩრდ. ტრანსვაალი 11 (7); ქენთებრი და ოთაგო 10 (6); ქვინზლენდი 6 (7)

შაბათს ოქლენდი პაუტენპს უმასპინძლებს

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

დღეს, სამშაბათს, 15 აპრილს

11.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (რ); 13.30 ავტოჟურნალი „ჩაუქი სამყარო“; 15.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები“; 16.00 ავტორბოლა: მსუბუქი მანქანები. ბრიტანეთის პირველობა; 17.00 სნოუმობილი. ფინეთიდან; 17.30 ფათერაკები: ბერინგის სრუტის დაფით გადაცურვა; 18.00 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა; 19.30 მაროკოს რალი; 20.00 ავტორბოლა: კარტინგი. ჰავანის დიდი პრიზი. კუბიდან; 21.00 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები“; 21.30 ტრაქტორობანა: ევროპის თასი. ჰოლანდიიდან; 22.30 საგიჟმაჟო ჟურნალი „სრბოლა“; 23.00 „მსოფლიოს ულონიერესი კაცი“; 24.00 კრივი: კრეისერის წონა. 10 რაუნდი. პალატისი — იონი. რუანიდან (საფრანგეთი) (პ); 2.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის ლეგენდები; 3.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. დენბოსხიდან (ჰოლანდია); 4.00 ბურთულობანა (ბოულზ): ევროპის პირველობა. საფრანგეთიდან (4.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 16 აპრილს

11.30 ველორბოლა: პარიზი — რუბე; 13.00 ავტორბოლა: ინდიკარის მსოფლიო სერიალი. ლონგბიჩიდან (კალიფორნია); 14.30 „თვლები“ (-); 15.00 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ“; 15.30 ფეხბურთი: ლეგენდები (-); 16.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ“; 17.00 ველორბოლა: „ვალონეთის ისარი“. ბელგიიდან (პ); 19.00 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური. ბარსელონადან (პ); 22.00 ავტოჟურნალი „ძრავები“; 23.00 საბილიარდო ონავრობანი: მსოფლიო პირველობა. ინგლისიდან; 1.00 ბუნიკობანა (დართსი): მსოფლიო პირველობა. ლონდონიდან; 2.00 კრივი: მძიმე წონა. ლუისი — ბილუპსი, ფერგიუსონი — ვილიამსი. ვორლიდან (აშშ); 3.00 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური (მ); 3.30 მსუბუქი მანქანები (-)

დღეს, სამშაბათს, 15 აპრილს

9.30 გოლფი: აშშ-ის საოსტატო. I დღე (რ); 12.00 ფეხბურთი: ინდოეთის ნერუს თასი. I ნახევარფინალი; 14.00 ველორბოლა: ბრიტანეთის თანამეგობრობის ბანკის კლასიკური; 15.00 აზიური ფეხბურთი (მ); 16.00 აზიური სპორტი (მ); 16.30 13-კაცა რაგბი: სუპერ-ლიგა; 18.30 ფეხბურთი: ნერუს თასი. II ნახევარფინალი; 20.30 მოტოციკლი: მალაიზიის დიდი პრიზი (რ); 22.00 აზიური ფეხბურთი; 23.00 კრივი: იუბენქი — ალარკონი; 1.00 გოლფი: პროფ-ტური (მ); 1.30 ფეხბურთი: (-) II ნახევარფინალი; 3.30 ველორბოლა (-); 4.30 ომეგას აზიის ტური: ვიეტნამის ღია პირველობა (რ); 5.30 მსოფლიო რაგბი

ხვალ, ოთხშაბათს, 16 აპრილს

7.30 მოტოციკლი: მალაიზია (-); 9.00 ინდური სპორტი; 9.30 გოლფი: საოსტატოს II დღე; 12.00 ფეხბურთი (-); 14.00 ველორბოლა (-); 15.00 სქვოში: მსოფლიო ტური; 15.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 16.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 17.30 წყალქვეშმარდობის სამყარო; 18.30 გოლფი: „ეს პროფ-ტურია“ (მ); 19.30 ფეხბურთი: ნერუს თასი. ფინალი; 21.30 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (მ); 22.00 აზიური სპორტი; 22.30 კარტინგი: დუბაის 24-საათა რბოლა; 23.30 მსოფლიო რაგბი; 1.30 ფეხბურთი: ფინალი (-); 3.30 ველორბოლა (-); 4.30 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 6.30 „ეს პროფ-ტურია“

ზეგ, ხუთშაბათს, 17 აპრილს, შუადღემდე

7.30 წყალქვეშმარდობის სამყარო; 8.30 კარტინგი (-); 9.30 გოლფი: საოსტატოს III დღე; 12.00 ნერუს თასის ფინალი; 14.00 მოტოციკლი: მალაიზია

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული


რაგბის კლუბი „ყოჩები“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას.



მიბრძანდით ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტაბლოს მიდამოში.

იკითხეთ ნუგზარ მალაღურაძე.



„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90



კვირას, 1997 წლის 20 აპრილს

სირბილის მოყვარულთა კლუბი „კუ“

მართავს

ერთგულების თასის

მძლეოსნურ კროსს



ტრასა: ვაკის პარკის ხეივნებში

დისტანცია: 4 წრე - 5 240 მეტრი

სტარტი: 11 საათზე


## მოტოციკლი

# ისევ დუენი და ბიაჯი

კვირას, შა-ალამის მოტოდრომზე, მალაიზიის დიდი პრიზის გათამაშებით კი გაჩაღდა წლევანდელი მსოფლიო პირველობა, მაგრამ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გაიმარჯვეს იმათ, ვისაც წესითა და რიგით უნდა გაემარჯვათ.

500 კუბური სანტიმეტრის კლასში ბოლო სამი წლის ჩემპიონი, ავსტრალიელი მაიკ დუენი თანდათან დაუმეგლამდა ახალ მოტოციკლს: პარასკევის ვარჯიშზე მეოთხე შედეგი გააჩერხა, შაბათის კვალიფიკაციაზე — მეორე, კვირის რბოლისას კი მე-4 წრეზე დაწინაურდა და საბოლოოდ დიდი სხვაობით — 11 წამზე მეტით გაიმარჯვა.

500 (37 წრე; 129,685 კმ): 1. მაიკ დუენი (ავსტრალია, ჰონდა) 47 წუთი. 11,545 წამი; 2. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰონდა) 47.23,341; 3. ნობუაცუ აოკი (იაპონია, ჰონდა) 47.24,948; 4. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა) 47.33,776; 5. ტაკუმა აოკი (იაპონია, ჰონდა) 47.34,154

ვარჯიშზეცა და კვალიფიკაციაზეც საუკეთესო იაპონელი ტადაიუკი ოკადა (ჰონდა) იყო, მაგრამ მე-3 წრეზე ჩამორჩა და საბოლოოდ X ადგილს დასჯერდა. „ჰონდამ“ ისევ დაჩაგრა „იამაჰა“, ვინაც კონკურენტს შა-ალამზე შარშანდელი გამარჯვებული კადალორა წაგვარა. კვალიფიკაციის დროს ერთბაშად ცხრა მრბოლმა გააუმჯობესა ამერიკელი ჯონ კოზინსკის მიერ 1990 წელს დამყარებული ტრასის რეკორდი, რბოლისას კი იმავე კოზინსკის ანალოგიურ მიღწევას დუენმა 0,26 წამი ჩამოაკლო.

აოკი 500-ის დებიუტანტია. დუენმა 35-ე რბოლა მოიგო. ავსტრალიელმა ქებით მოიხსენია ახალი მანქანა, მეტადრე კი საბურავები.

ფიცხელი შეჯიბრი იყო მოსალოდნელი 250 კუბური სანტიმეტრის კლასშიც, სადაც ასევე ბოლო სამი წლის ჩემპიონი, იტალიელი კორიფე მაქს ბიაჯი შემოწყრა „აპრილიას“ და გადავიდა „ჰონდაში“, 125-ის ჩემპიონი ჰარუჩიკა აოკი (იაპონია) ერთი კლასით ალზევდა, 24 წლის იტალიელი ლორის კაპიროსი კი, კარიერა 125-ის ჩემპიონობით რომ დაიწყო, მერე 250-ში ასპარეზობდა და 7 ეტაპი მოიგო, ბოლო ორი სეზონი კი 500-ში გამოდიოდა, წელს ისევ 250-ში ჩაბრძანდა და „აპრილიას“ მიაშურა.

კვალიფიკაციის შემდეგ ბიაჯი I იყო, კაპიროსი — V, აოკი — X. გაისად მაქსი 500-ში აპირებს აზარგებას, სადაც „იამაჰას“ სახელით იასპარეზებს. მან შა-ალამზე უახლოეს მდევარს 15 წამზე მეტით აჯობა.

250 (31 წრე; 108,655 კმ): 1. მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) 45.29,692; 2. ტეცუია პარადა (იაპონია, აპრილია) 45.43,562; 3. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, ჰონდა) 46.01,026; 4. რალფ ვალდმანი (გერმანია, ჰონდა) 46.04,291; 5. ჰარუჩიკა აოკი (იაპონია, ჰონდა) 46.04,449

უპატრონოდ დარჩენილ 125-ში გასწრებ-გამოსწრება გააჩაღეს პოულის მფლობელმა როსიმ და სტარტზე X პოზიციაზე მდგარმა საკატამ. ამან ბოლო წრეზე იმარჯვა, მაგრამ მერე მწარედ შეცდა და როსიმ სულ ბოლო მოსახვევში ისევ გაუსწრო.

125 (29 წრე; 101,645 კმ): 1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 48.09,930; 2. კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია) 48.10,924; 3. ნობორუ უედა (იაპონია, ჰონდა) 48.42,128

## გოლფი



# პირტიტველა ფერადმა ბიჭმა გოლფი ყირაზე დააყენა

ირლანდიელი ამერიკელი მამისა და თაი დედის შვილმა, 21 წლის ელდრიკ, მეტსახელად „თაიგერ“ (ვეფხვია) ვუდზმა ჯერ კიდევ შარშან შეძრა გოლფის სამყარო, როცა ზედიზედ მესამედ მოიგო აშშ-ის სამოყვარულო პირველობა. ჭაბუკი მეგოლფე მალევე პროფესიონალი გახდა და იქაც ისე ისახელა თავი, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე იქაური ზეპური საზოგადოება თავისიანს — „თეთრ ზვიგენად“ ცნობილ მსოფლიოს პირველ ნომერ გრეგ ნორმანს კი არ ქომაგობდა, არამედ გადამთიელ შავტუხა ბიჭს.

წლის პირველი „მეიჯორი“ (უმთავრესი შეჯიბრი; სულ ოთხია) — აშშ-ის 61-ე „მასთერსი“ (საოსტატო) კვირას დასრულდა ოგასთას (ჯორჯიის შტატი) გოლფ-კლუბში. იქ ვუდზმა პირველად ითამაშა და საოსტატოს უმრწემესი ჩემპიონი შეიქნა. აქამდე რეკორდად ითვლებოდა ლეგენდარული ესპანელის — სევერიანო ბალესტეროსის მიღწევა, რომელმაც გამარჯვებულის სარგო მწვანე პიჯაკი 1980 წელს 23 წლისამ მოირგო.

ვუდზი I წრეში შარშანდელ გამარჯვებულ, ინგლისელ ნიკ ფალდოსთან დააწყვილეს. ამან წელს რიგიანად ვერ ითამაშა და III წრეში ვერ გავიდა. ორი წრის შემდგომი „მოსხეპვა“ (cut) ვერ დაძლიეს ვერც ნორმანმა და ვერც 60 წელს გადაცილებულმა არნოლდ პამერმა, ვინაც ბოლო ხანს პროსტატის კიბო იწამლა და ოგასთაში ხალხის გულის გასახარად ითამაშა.

ვუდზს ორი წრის შემდეგ ორგზის ნორმაზე 8-ით უკეთესი შედეგი — 136 დარტყმა ჰქონდა და 3 დარტყმით ჯობდა უახლოეს მდევარს — შოტლანდიელ ქოლინ მონთგომერის. თაიგერი III წრეში წესისამებრ „მონთისთან“ შეაწყვილეს და კვლავ ივარგა: შედეგი ნორმაზე 15-ით უკეთესამდე გაიუმჯობესა და 9-ით გაუსწრო იტალიელ კონსტანტინო როკას, ბოლო, IV წრეში კი ახლა უკვე იგი დაზაფრა და საბოლოოდ ოთხგზის ნორმაზე 18-ით უკეთესი შედეგით (270) გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გასულ თომ ქაითს (აშშ) ოდენ 6-ით უკეთესი აღმოაჩნდა, თომი თოულზს (აშშ) — 5, თომ ვოთსონს (აშშ) და როკას კი — 4-ით.

ვუდზი საოსტატოს პირველი „ფერადი“ გამარჯვებულია. სარეკორდო აღმოჩნდა მისი II და III წრეების შემდგომი შედეგებიცა და ის სხვაობაც, რომლითაც უახლოესი მეტოქე ჩამოიტოვა.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29